ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲪᲔᲓᲘᲡ 1999 ᲬᲚᲘᲓᲐᲜ

ქართველობის გადასარჩენად

ილორი

www.ilori.ge
E-mail: r.jalagania@mail.ru

№283 (342) 2-9 სექტემბერი 2014 სახალხო მოძრაობა „სამეგრელოს“ ორგანო 30 თეთრი

“სირცხვილი ის კი არ არის, რომ მეგრულად ლაპარაკობენ, არამედ ისაა, რომ დანარჩენმა ქართველებმა არ ვიცით მეგრული ენა” — *აკაკი შანიძე*

საქართველო – დაწყევლილი სამოთხე!

დიახ, თუ ვინმეს უხდება ეს სახელი, ნამდვილად ჩვენი ბედკრულ საქართველოს, რომელიც დასაბამიდან დაწყევლილ სამოთხედ აქციეს გარეშე თუ შიდა მტრებმა.

თავი გავანებოთ ისტორიულად ჩვენი დაუძინებელი და სისხლისმსმელი მტრების – მურვან ყრუების, ბუღა თურქების, ჯალალედინების, შაჰ აბასების, ადა მაჰმად ხანებისა და სხვა გადამთიელთა უკეთურ საქმეებს, რომელთაც სათავე დაუდეს წალკოტად ქცეული სამოთხე – საქართველოს გაჯოჯოხეთების საქმეს და იმ თანამედროვე შადიმანებს მივხედოთ, რომლებიც ვერ ისვენებენ, გველებივით იკლაკნებიან და კვლავ ჩვენს დასაგესლად მოიწევენ!

შევარდნაძის სახით, საქართველოს, ყველაზე დიდმა წყევლამ მაშინ უწია, როცა ქართველმა ერმა ნანატრი თავისუფლება მოიპოვა და ქვეყნის სათავეში ჭეშმარიტად ეროვნული ძალები მოვიდნენ ზვიად გამსახურდიას ხელმძღვანელობით. სწორედ არჩევნებში ეროვნული მოძრაობის დამაჯერებელმა გამარჯვებამ დაუკარგა მოსვენება პოსტკომუნისტურ ნომენკლატურას, რომელიც პრივილეგიებს ჰკარგავდა და წინასწარდაჭერილი თადარიგით იმდენი აგენტი ჩანერგეს ეროვნულ მოძრაობაში, რომ დიდი ფულის პატრონ შევარდნაძეს სულაც არ გასჭირვებია პუტჩის მოწყობა, ზვიად გამსახურდიას ხელისუფლებიდან ჩამოშორება, შემდეგ მისი ვერაგულად მოკვლა და ძალაუფლების ხელში ჩაგდება.

ეს გახლდათ მეოცე საუკუნის მეორე დიდი წყევლის ახდენა საქართველოსათვის. მეოცე საუკუნის პირველი წყევლა კი გახლდათ დიდი ილია ჭავჭავაძის მკვლელობა, რაც ძვირად დაუჯდა კიდეც ჩვენს ქვეყანას!

მტრების გათვლით მერაბ კოსტავას და ზვიად გამსახურდიას მოკვდინება იყო აუცილებელი, რომ საქართველოს ღვთის რისხვად თავს დასტეხოდა მხოლოდ ნგრევაში დახელოვნებული ედუარდ შევარდნაძე. დიახ, იგი ჯერ საბჭოთა კავშირს მოევლინა დამანგრეველ ძალად, და როცა მეოცე საუკუნის ეს უძლიერესი, მრავალ ერთა გამაერთიანებელი სახელმწიფო ძირფესვიანად დაანგრია, შემდეგ საქართველოსთვისაც მოიცალა.

აი, ქვეყნის ნგრევა-დაშლა მერე უნდა გენახათ თქვენ – საქართველო მართლაც დაწყევლილ სამოთხედ იქცა – ჩამოეჭრა ძირძველი ტერიტორიები – აფხაზეთი და სამაჩაბლო, თავსმოხვეულ ძმათამკვლელ ომში დაიღუპა უამრავი ახალგაზრდა, მოხუცი, ქალი და ბავშვი, დევნილი გახდა 300.000 ადამიანი, გოლგოთად იქცა ქვეყნის უმშვენიერესი ჭუბერის უღელტეხილი...

სწორედ შევარდნაძის მმართველობის პერიოდში დაიწყო ქართველთა მიგრაცია **“დაწყევლილი სამოთხიდან”** ლუკმა პურის საძიებლად და მალე ნახევარი მილიონი ქართველი მოედო სრულად სამყაროს ებრაელთა, სომხეთა და ბოშათა მსგავსად, მისი **“ბარტყის”** საკაშვილის ზეობისას კი (მასზე ოდნავ ქვემოთ გვქნება საუბარი) ქვეყნიდან გადახვეწილ ქართველთა რიცხვი ერთ მილიონს გადასცდა. მაგრამ აქ არის ერთი უმნიშვნელოვანესი გარემოება – ებრაელი, სომეხი და ბოშა მარსზე რომ გადაასახლო, იქაც ებრაელებად, სომხებად და ბოშებად დარჩებიან, ქართველები კი ნოსტალგირებული ხალხი ვართ, უსამშობლოდ ვერ ვძლებთ და სადაც მივდივართ, იმ კუთხის შვილად ვიქცევით ხოლმე. ამის დასტურად თურქეთში, სპარსეთსა თუ ეგვიპტეში გაყვანილი ქართველები შეიძლება მოვიხმოთ, რომლებიც თავიანთი ახალი **“სამშობლობისადმი”** ერთგულებისა და თავდადების გამოისობით ამ ქვეყნების მმართველებიც კი ხდებოდნენ ხოლმე.

დიახ, ისინი **“დაწყევლილი სამოთხიდან”** ნებით თუ ძალით გაყვანილი ქართველები იყვნენ, რომლებიც სამუდამოდ დაიკარგნენ საქართველოსათვის!

არ ვიცით ვის დავალებას ასრულებდა ედუარდ შევარდნაძე, მაგრამ ფაქტია, რომ სწორედ მის ხელში იქცა საქართველო საშინლად დაწყევლილად – ისტორიულად ქართული ტერიტორიები უიმედოდ დაიკარგა, მიწები გასხვისდა უცხოელებზე, ქართველი კაცი იმდენად გაღატაკდა, რომ სამშობლოდან გადაიხვეწა, ოჯახის რჩენას მოწყურებული უმანკო ქალები მეძავებად იქცნენ...

როგორც იქნა, წავიდა ავადსახსენებელი ედუარდ შევარდნაძე, მაგრამ მერე რომ წყევლამ გვიწია დაშნაკი მიხეილ სააკაშვილის სახით, ამაზე დიდი უბედურების ქარაშოტი საქართველოს ალბათ მთელი თავისი არსებობის განმავლობაში არ დასტეხია თავს.

ცხრა წლის განმავლობაში ცდილობდა ეს დაშნაკი არამზადა, რომ საქართველოში მის მიერ მოწყობილი ჯოჯოხეთი სამოთხედ შეესაღებინა ქართველი ერისათვის და ბრიყვი ქართველების საკმაოდ დიდი ნაწილი დაარწმუნა კიდეც ამაში. ამიტომაც მისტირიან სამარეში სააკაშვილს ეს უბადრუკი ქართველები თუ გაქართველებული არაქართველები, რომელთაც სააკაშვილისეული ტირანია დღესაც **“დემოკრატიად”** ეჩვენებათ და ვერ წარმოუდგენიათ ციხეში გამოკეტილი მათი **“მამა-მარჩენალი”** სააკიანცი!

განვლო ამ ავადსახსენებელმა ცხრა წელიწადმა და თავაღერილად შემოვიდა ქართულ პოლიტიკაში მრავალნაირი დაპირებებით ხელდამშვენებული **“ქართული ოცნება”** და ხალხმაც შვებით ამოისუნთქა, მაგრამ ამოსუნთქვას ჩასუნთქვა თუ არ მოჰყვა, ადამიანი მალე გაიგუდება. დანაპირების ასრულების მოლოდინში მყოფ ქართველ ხალხს კი დღემდე ვერ ჩაუსუნთქავს სუფთა ჰაერი, რადგან რამდენიმე (ვიყოთ ობიექტურები და ვთქვათ, რომ ხალხისათვის ამ უაღრესად სასარგებლო) ქმედითი ნაბიჯის გარდა **“ოცნებას”** ჯერ ისეთი არაფერი გაუკეთებია, რომ ხალხის ცხოვრება დიამეტრალურად შეიცვალოს უკეთესობისაკენ! მართალია, რამდენიმე ნაციონალი უკვე ყურყუტებს ციხეში, მაგრამ ბევრად მეტი დამნაშავე ჯერ კიდევ გარეთ დასეირნობს.

გასაგებია, რომ **“ოცნებისტები”** კატაკვობანას ეთამაშებიან მათ მიერ ნიღაბჩამოგლეჯილ და პოლიტიკურად გაკოტრებულ **“ნაციონალებს”,** მაგრამ ჩვენ რა დავაშავეთ ისეთი, რომ კვლავ ბოკერიების, დარჩიაშვილების, თაქთაქიშვილების, კანდელაკების, ვაშაძეების, ჭიაბერაშვილების და სხვა ნაც-რევანშისტთა მახინჯ სიფათებს ვუცქიროთ და ზნეობას აცდენილ მსჯელობებს ვუსმინოთ. იმ გურული კაცისა არ იყოს, **“ნაციონალების”** ყურებას ხომ **“სვარკის”** ყურება სჯობია! ვერა და ვერ მოვიშორეთ ეს ჯოჯოხეთის მოციქულები, რომელიც მაზუთის ლაქასავით არიან დამჩნეულები საქართველოს სიმბოლოდ ქცეულ ღვთისმშობლის კვართს!

კაცმა არ იცის, უკვე **“ნაციონალთა”** რამდენ ხელმძღვანელ პირს წარედგინა ბრალი მძიმე დანაშაულში, მაგრამ რატომღაც არავინ საუბრობს იმაზე, რომ საქართველოს მართლაც წყევლად მოვლენილი ეს დაშნაკური ორგანიზაცია სისტემური დანაშაულის ქვაკუთხედს წარმოადგენს და **“ნაცმოძრაობა”** შერაცხულ უნდა იქნეს იმ მაფიოზურ-დანაშაულებრივ სტრუქტურად, რომელსაც ოპონენტებსა და მისთვის არასასურველ პირებთან ურთიერთობის საკუთარი სისტემა ჰქონდა შემუშავებული – სხვათა დასაშინებელი ციხეკური მკვლელობები დღისით-მზისით, შუა ქალაქში, მოქალაქეების თვალწინ, მათდამი კრიტიკული აზრის მქონე პირების ცემით სიკვდილის პირად მიყვანა, ქონების წართმევა, 2008 წლის აგვისტოს ომის გაჩაღება და საქართველოს დამატებითი ტერიტორიების დაკარგვა, კიდევ 30.000 ლტოლვილის გაჩენა, ისტორიულად **“აბრეშუმის გზის” “ნარკოტიკების გზად”** გადაქცევა, აზიიდან ევროპაში ნარკოტრაფიკის ორგანიზება და საქართველოში ტონობით ნარკოტიკული ნივთიერებების შემოტანა, ყოველგვარი დანაშაულის დამტკიცების გარეშე ადამიანების ციხეში გამომწყვდევა, პატიმრების წამება და შეურაცხყოფა, ბიუჯეტის სახსრების არადანიშნულებისამებრ ხარჯვა, პიროვნების უფლებების შელახვა და ღირსების ხელყოფა...

ამაზე მეტი წყევლა რა გინდათ!

და ეს საშინელი წყევლა მუდამ ჩვენს თავზე იტრიალებს, ვიდრე **“ნაციონალური მოძრაობა”** არ აიკრძალება როგორც დანაშაულებრივი და საქართველოს დაქცევაზე ორიენტირებული, დივერსიული ორგანიზაცია!

ამრიგად, საქართველოს დაწყევლილ სამოთხედ ქცევის საქმეში ნაციონალებმა უდავოდ დაამყარეს რამდენიმე მსოფლიო რეკორდი. აი, ზოგიერთი მათგანი:

– სახელმწიფო ხაზინაში ხელების უაპელაციოდ ფათურში;

– ხელისუფლებაში კახპებისა და ჰომოსექსუალების მომრავლებაში;

– თავხედობასა და უტიფრობაში;

– საზოგადოებისათვის ხელების გადაგრეხვასა და მასმედიის თუ ბიზნესის დაწიოკებაში;

სახელმწიფო ქონების კაპიკებად მითვისებაში;

– უდანაშაულო ადამიანების დაპატიმრებასა თუ მშვიდობიანი დემონსტრაციების მხეცურად დარბევაში...

– ციხეებში პატიმართა არაადამიანურად წამებაში, ცოცხებით მათ “დამშვენებასა” და პატიმართა რიცხვის აქამდე არნახულად მაღალ დონეზე აყვანაში;

– კულტურის ძეგლების განადგურებაში (თუმცა, ამ უკანასკნელში “ქართული ოცნების” ხელისუფლებამაც გამოიჩინა თავი, როცა საქრისის ისტორიამდელი ოქროს საბადო დიდი ფულის შოვნაში დახელოვნებულ ბიზნესმენებს მიუგდო საჯიჯგნად);

– ქართული მიწების ქართველებზე წართმევასა და გადამთიელებისათვის მიყიდვაში;

– პრესის დარბევასა და ტელეკომპანია “იმედი”-ს კანონიერი მფლობელისათვის წართმევაში;

– უდანაშაულო ახალგაზრდების ხალხის თვალწინ ჩაცხრილვაში.

– საქართველოზე ახალი ნარკოტრაფიკის გაჭრასა და მის მფარველობაში;

– ეკლესიების ნგრევასა და მართლმადიდებლობის წინააღმდეგ “ეფექტურად” ბრძოლაში;

– თავისუფალი სიტყვის ტირანულად შეზღუდვაში...

ნუღარ ჩამოვთვლით აქ ყველა უბედურებას, რაც სააკაშვილმა და ნაცებმა მოგვახვიეს თავს, რადგან ისინი სკრუპულოზურადაა ჩამოთვლილი კონკრეტულ ბრალდებებში პროკურატურის მიერ წარმოდგენილ განცხადებაში, რის გამოც სააკაშვილი უკვე, სასამართლოს მიერ, ბრალდებულადაა გამოცხადებული, რასაც ისტერიულად აპროტესტებენ სააკაშვილისნაირი გადაგვარებული მისი ევროპელი მაღალჩინოსანი მექრთამე მეგობრები!

“კაზანტიპზე” მეტი წყევლა ხომ საერთოდ რა იქნება, როცა საშოვარს დახარბებული ანაკლიელი გლეხი ამბობს: **“სახლების რემონტსა და მიშენებებში დიდი ფული დავხარჯეთ, რომ სტუმრები მივიღოთ და ფინანსურად ფეხზე დავდგეთ. ესენი** (იგულისხმება სამღვდელოება – **“ილორი”) საპროტესტო აქციების ჩატარებას და “კაზანტიპის” ჩაშლას აპირებენ. თუ ასე აწუხებთ ჩვენი ბედი, ილოცონ ჩვენთვის, ახალგაზრდები კი გაერთონ, ბატონო, სექსით ამ “კაზანტიპზე”, ჩვენ შემოსავალი გაგვიჩნდება და სხვისი დარდი სრულიადაც არ გვაწუხებსო”!**

ქართველი ადამიანის პირიდან ამოსული ამაზე მეტი წყევლა და ღვთის რისხვა თუ გაგიგონიათ როდესმე?!

მოკლედ, მიუხედავად იმისა, რომ კოალიცია **“ქართულმა ოცნებამ”** დაგვიხსნა დაშნაკი სააკაშვილისა და მისი ბანდის მსახვრალი კლანჭებისაგან (არაერთგზის გვიძღვნია მათთვის მადლობის სიტყვები და არც ახლა დავიშურებთ), ჯერჯერობით მაინც ვრჩებით **“დაწყევლილ სამოთხედ”**, რადგან ახალმა ხელისუფლებამ უამრავი საქმე წამოიწყო, მაგრამ ჯერჯერობით არცერთი არ მიუყვანია ბოლომდე.

მე არ ვიცი, რა იქნება ხვალ (მომავლის განჭვრეტა პოლიტიკოსების საქმე გახლავთ), მაგრამ ფაქტია, რომ თუ ყველაფერი ასე გაგრძელდება, საქართველო კიდევ დიდხანს შეინარჩუნებს **“დაწყევლილი სამოთხის”** სტატუსს!

როლანდ ჯალაღანია,
“აია”-ს და “ფაზისი”-ს აკადემიების
წევრი

უკრაინული დღიურები

ცხოვრებამ არაერთგზის დაგვარწმუნა, რომ ფაშიზმის წახალისება არსად და არასდროს არ შეიძლება! მეოცე საუკუნის ოცდაათიან წლებში ვიღაცეები ღიმილით უყურებდნენ ფაშისტური ბუნაგის დაარსებას გერმანული ნიურნბერგის ერთ-ერთ ლუდხანაში, მაგრამ გავიდა სულ რამდენიმე წელი, ახლადფეხადგმული ფაშიზმი საფუარმიცემული ცომივით აფუვდა, აზვავდა, გაძლიერდა გერმანიაში, იტალიაში, ესპანეთში, ევროპის საზღვრები გადმოლახა და საბჭოთა კავშირს შემოუტია ცეცხლითა და მახვილით!

მალე **"ნიურნბერგული"** ღიმილი მოთქმად და ვაებად ექცა მთელ სამყაროს, რომელმაც შემდეგ მხოლოდ დიდი მსხვერპლის ფასად მოახერხა ფაშიზმის განადგურება. და ამ საქმეში დიდი წვლილი შეიტანეს სწორედ საბჭოთა კავშირმა სტალინის მხედართმთავრობით, თუმცა, ამ გამარჯვებას ოც მილიონ საბჭოთა მოქალაქეზე მეტი შეეწირა. სულ კი გერმანული ფაშიზმის მიერ წამოწყებულ ბარბაროსულ ომს ორმოცდაათ მილიონ ადამიანზე მეტი ემსხვერპლა!

ამიტომ მინდა შევახსენო ზოგიერთ მოპოლიტიკო ელემენტს თუ ენაგატლეკილ ობივატელს, რომ ფაშიზმის ბუდე სწორედაც რომ ევროპაში გახლდათ და თუ მსოფლიოში ამჟამად მიმდინარე მოვლენებს საფუძვლიანად გავაანალიზებთ, დავრწმუნდებით, რომ ეს ავადსახსენებელი ბუდე ჯერ კიდევ არ არის საბოლოოდ მოშლილი.

სრულიად ვეთანხმები იმ აზრს, რომ სუვერენული სახელმწიფოს შიდა საქმეებში ჩარევის უფლება არცერთ სხვა სახელმწიფოს არ გააჩნია, მაგრამ არც ისაა მისაღები, რომ ხმა არ ამოიღო მაშინ, როცა მთავრობა ომს უცხადებს საკუთარ ხალხს, დაუნდობლად ხოცავს მოხუცებს, ბავშვებსა და ქალებს, ზუსტად ისევე სასტიკად ექცევა ადამიანებს, როგორც ამას ფაშისტები აკეთებდნენ დაპყრობილ ქვეყნებში, როგორ ამერიკელების მიერ წაქეზებული **ნატო**-ს ჯარები სჩადიოდნენ სერბეთში, როგორც თავად ამერიკელები სჩადიოდნენ კორეასა თუ ვიეტნამში, ან თუნდაც როგორც სააკაშვილი მოექცა მოძმე ოსებს, როცა **"გრადის"** ჭურვები დააყარა მძინარე ქალაქ ცხინვალს!

ახლა კი ეს პირწავარდნილი ფაშისტი სააკაშვილი უკრაინის პრეზიდენტ პოროშენკოს უდგას მხარში და ალბათ საკუთარი ხალხის მოშთობის საქმეში დაგროვილ მდიდარ გამოცდილებას უზიარებს!

როგორც ცნობილია, ფაშისტები დაუნდობლად ძარცვავდნენ როგორც საკუთარ, ასევე სხვა ხალხებს. ამას წინათ სოციალური ქსელები მოიარა ინფორმაციამ იმის თაობაზე, თუ უკრაინელი მაღალი რანგის ოფიცრები როგორ იპარავდნენ კიევში მათ მიერვე დარბეული ბანკიდან ფულს და ოქროულობას! ძალიან ეცადა პოროშენკოს მთავრობა, რომ ეს ფაქტი არ გახმაურებულიყო, მაგრამ შუბის ხალთაში დამალვა მაინც ვერ მოახერხა!

დიახ, ფაშიზმი უტევს დღეს უკრაინას, და არა მხოლოდ მას! იმის გათვალისწინებით, რომ უკრაინელი ფაშისტების ხელშეწყობით მიხეილ სააკაშვილმა უკრაინაში დააფუძნა **"საქართველოს ხსნის შტაბი"**, გამორიცხული არ არის, რომ უკრაინული ფაშიზმის ტალღა საქართველოსაც მისწვდეს და ჩვენი სამშობლო კვლავ ნაციონალი ფაშისტებისა და მათი ფიურერის სააკაშვილის მარწუხებში მოექცეს!

ამაზე რატომ არ ვფიქრობთ, როცა უკრაინის მოვლენებს ვაფასებთ?

თქვენი არ ვიცი, მაგრამ ყოველივე ამის შემდეგ დღევანდელი უკრაინა მე საქართველოს საშიშ მტრად მიმაჩნია!

ნახეთ ეს ფოტოები და დარწმუნდებით, თუ როგორ დაუნდობლად ხოცავენ უკრაინელი ფაშისტები დონბასის მშვიდობიან მოსახლეობას!

შეხედეთ წმიდა მართალი იოანე კრონშტადტელის ტაძრის ნარჩენებს ქალაქ კიროვსკოეში (დონეცკის ოლქი), რომელიც 2014 წლის 23 აგვისტოს, საკვირაო სადამისო სიფხიზლისას უკრაინის არმიამ მძიმე არტილერიით მთლიანად გაანადგურა. ტაძარში აღევლინებოდა დიადი დიდება, როცა ჭურვმა შენობის ცენტრში სახურავი შელეწა და მლოცველ ადამიანებს თავზე ჩამოანგრია, მესანთლე ოლგა რადჩენკო, მრევლი ზინაიდა მელუგა და ვიქტორ ჩერნიშევი ადგილზე გარდაიცვალნენ.

სიმძიმის სხვადასხვა ხარისხის ტრავმებით ჰოსპიტალიზებული იქნენ ტაძრის მღვდელი, დეკანოზი სერგეი პივენი, მისი მეუღლე ლუდმილა, ასევე, მრევლი ტატიანა, ვერა, ნადეჟდა და ლუბოვი.

ახლა ისიც გაიხსენეთ, თუ როგორი მონდომებით უნგრევდნენ კარიბჭეს გლდანის ეკლესიას ნაცი ფაშისტები სააკაშვილი, ადეიშვილი, ბოკერია, თარგამაძე და სხვები და იოლად დარწმუნდებით, რომ ფაშისტებს არც ადამიანების ეთნიკური წარმომავლობა ადარდებთ დიდად და არც მათი რელიგიური მრწამსი. მათ სჭირდებათ მხოლოდ მონები, დიახ, მხოლოდ ბრმად მორჩილი ან მკვდარი მონები!

შემდეგ ფოტოზე ასახულია ქალაქი ლუგანსკი (ლუგანსკის ოლქი), ასევე 2014 წლის 23 აგვისტოს. კიევის ფაშისტური ხუნტა, რომელმაც დონბასის მცხოვრებლებს ტერორისტები და სეპარატისტები უწოდა, დაუსჯელად ხოცავს ქალებს, ბავშვებსა და მოხუცებს, ქალაქის ქუჩები რეგულარულად ექვემდებარება საარტილერიო ცეცხლს და ავიაიერიშებს, რეგიონის გაუკაცრიელების მიზნით!

ნახეთ ყველამ და არ გაბედოთ მზერის არიდება! ესაა იმ ქვეყნის ხელისუფლების სადამსჯელო ოპერაცია, რომელმაც, საქართველოსთან ერთად, ხელი მოაწერა ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულებას და **„დასავლურ დემოკრატიულ ღირებულებებს"** ქადაგებს! რომელსაც მხარს უჭერენ საქართველოს ყოფილი და მოქმედი პრეზიდენტები – სააკაშვილი და მარგველაშვილი!

ამრიგად, ფაშისტები უკვე საქართველოში არიან! ხვალ ისინი ჩვენს სახლებში შემოიჭრებიან და მოხუცებს მკერდიდან გეორგიევსკისლენტიან დიდების ორდენებს ჩამოგლეჯენ – ისე, როგორც დღეს ატერორებენ რუს ტურისტებს, რომლებიც მალე საქართველოში აღარ იქნებიან! ჩაუსაფრდებიან ყველას, ვინც რუსულად ლაპარაკობს და ვინც პრორუსად მიაჩნიათ, ყოველმხრივ შეურაცხყოფენ მათ, აწამებენ და იძალადებენ მათ შვილებზე!

ამრიგად, თუ ობიექტურები ვიქნებით, უნდა ხმამაღლა განვაცხადოთ, რომ იანუკოვიჩის ხელსუფლების დამხობა გახლდათ ევროამერიკული ფაშიზმის ის შემოტევა, რომელმაც 1991 წელს საქართველოში დაამხო გამსახურდიას ეროვნული ხელისუფლება და საქართველო ხელში ჩაუგდო ჯერ შევარდნაძის ხუნტას, შემდეგ კი ნაციონალ ფაშისტებს სააკაშვილის თავკაცობით. და რომ არა 1991-92 წლების ავბედითი მოვლენები, არავინ იცის, რა სიმაღლეზე იქნებოდა დღეს ასული საქართველო.

და რაოდენ სამწუხაროა, რომ ჭკუა მაინც ვერ ვისწავლეთ და კვლავაც აქტიურად ვუჭერთ მხარს ფაშიზმს, რომელმაც შეიძლება ყოველ წამს მოაკაკუნოს ჩვენს კარებზე. სწორედ ამ პრობლემას მიეძღვნა საქინფორმის განცხადება, რომლითაც მან საქართველოს პრეზიდენტს, **"პლასტელინივით"** პიროვნებას გიორგი მარგველაშვილს მიმართა, რომელიც შემჩნეული ავადსახსენებელ სააკაშვილთან პოლიტიკურ კეკლუცობაში:

"მარგველაშვილო! თქვენ მუდამ პრეზიდენტი არ იქნებით და დაცვაც მუდამ არ გეყოლებათ!

ამიტომ, სანამ გვიან არ არის, შეწყვიტეთ „პლასტილინით" თამაში სააკაშვილთან და თავს ნუ ინუგეშებთ იმედით, რომ ასეთი რამ თქვენს ოჯახს არ დაემართება! ახალგაზრდა ქართველი ფაშისტები საშინლად დაამცირებენ თქვენს ქალიშვილს – იმის გამო, რომ მოსკოვში ცხოვრობდა და სწავლობდა! გაგისწორდებიან თქვენც – იმისათვის, რომ ერთხელ გაბედეთ და განაცხადეთ, რომ რუსული ენა ქართული კულტურის ნაწილიაო! დიახ, დღეს ეს სახელის განთქმის მოსურნე უიღბლო ერთი მუჭა ჯგუფია (სხვათა შორის, ნახევარი – არაქართული წარმოშობის!), სააკაშვილმა 100 დოლარად ბითუმად რომ იყიდა და ჯოგად რომ ესხმის თავს ჩვენს სტუმრებს. მაგრამ გაიგეთ – ფაშიზმი გაფართოვდება და თავისით არ შეჩერდება, ის უნდა შეაჩერო, როგორც ეს ჩვენმა მამა-პაპებმა გააკეთეს!

ძვირფასო თბილისელებო! ვიცი, რომ დღეს არ გილხინთ, მაგრამ კიდევ უფრო უარეს დღეში აღმოჩნდებით, თუკი კვლავ, როგორც 2003 წლის ნოემბერში, „ვარდების რევოლუციის" დროს, ლაჩრულად ისხდებით სახლებში! გაიხსენეთ „თბილისის ომი" 1992 წლის ნოემბერში, თუ როგორ გატერორებდნენ ბანდფორმირებები სახელმწიფო გადატრიალებისა და პრეზიდენტ გამსახურდიას ჩამოგდების შემდეგ! და მთელ იმედებს პრემიერ ღარიბაშვილზე ნუ დაამყარებთ – ის მხოლოდ 10 წლის იყო მაშინ და ვერ ეხსომება, რით დაიწყო ეს ყველაფერი!

ამიტომ თვალდახრილი გვერდით ნუ ჩაუვლით ამ საზიზღარ ნაძირლებს, რომლებიც დღეს საქართველოსა და ქართველებს არცხვენენ! გაერთიანდით – ოჯახებით, სახლებით, მეგობრებით, სადარბაზოებით, რაიონებით: რაკი ჩვენი პატრული ჯიქურ ვერ ამჩნევს დამნაშავეებს, შევქმნათ სახალხო პატრული და ერთად მოვაშთოთ ქართული ნეოფაშიზმი საქართველოში!

შემდეგ კი უკრაინაში სააკაშვილსა და მის მეგობრებს ჩავაკითხოთ...

საქინფორმის მთავარი რედაქტორი
არნო ხიდირბეგიშვილი".

უკვე პოლიტიკურ გვამად ქცეულ სააკაშვილს კი მაინც არ ასვენებს უფალი და მისთვის ჩვეულ ისტერიულ სტილში აქვეყნებს ეპისტოლეებს რუსეთის წინააღმდეგ, თუმცა, მის ამ განცხადებებს რომ არავითარი წონა და ფასი არ გააჩნია, თავადაც კარგად იცის. იგი ახლა იმ კოღოს ჰგავს, რომელიც მხოლოდ ბზუილით გვიწუხებს გულს და დანესტვრის თავიც კი აღარ აქვს!

რაც შეეხება მარგველაშვილს, მან პეტრე პოროშენკოს შემდეგი შინაარსის მოლოცვა გაუგზავნა: **„ბატონო პრეზიდენტო, პირადად ჩემი და საქართველოს მოქალაქეთა სახელით გულითადად გილოცავთ დამოუკიდებლობის დღეს – უკრაინის უმთავრეს ეროვნულ დღესასწაულს... ჩვენ ერთად ვიბრძოდით საბჭოთა რეჟიმისაგან დამოუკიდებლობისათვის... თქვენს ერთგულ მხარდამჭერებად ვრჩებით ახლაც... სუვერენიტეტის განმტკიცებისათვის ბრძოლა... ღრმად მწამს, რომ იმ დრამატული მოვლენებიდან, რომლებმაც მსოფლიო საზოგადოება შეძრა, უკრაინა გამარჯვებული გამოვა. ბატონო პრეზიდენტო, ჩვენ არაერთხელ გვისაუბრია ამ მომავლის შესახებ და მოხარული ვარ, რომ თანამოაზრენი ვართ.... გთხოვთ, გადასცეთ ჩემი და საქართველოს მოქალაქეთა საუკეთესო სურვილები და გულწრფელი თანადგომა მოძმე უკრაინელ ხალხს".**

საქინფორმის აზრით, აღნიშნული ტექსტი მეტყველებს იმაზე, რომ რეალობიდან და საქართველოს მოქალაქეებისგან ავლაბრის რეზიდენციაში გაფრენილ ვაი-პოლიტიკოსს **„ვერიტას პლასტელიოვიჩს"**, პუტინთან შეხვედრის შეეშინდა და სააკაშვილის ხელისბიჭობა არჩია!

რაც შეეხება უკრაინაში მიმდინარე პოლიტიკურ თუ საომარ პროცესებს, მისი სრული სურათის წარმოდგენისათვის სოციალურ ქსელებში გავრცელებული ის ინფორმაციაც იკმარებს, რომ ყოფილი **"მხედრიონელი"**, დოდო გუგეშაშვილი იარაღით ხელში უკრაინელ სამხედროსთან ერთად იბრძვის. მანამდე ვრცელდებოდა ინფორმაცია, რომ გუგეშაშვილი უკრაინაში მოხალისედ აპირებდა წასვლას, სადაც უკრაინელ მებრძოლებს დაეხმარებოდა. როგორც აღმოჩნდა, ინფორმაცია მართალია და ქართველი ქალი უკრაინელების მხარდასაჭერად საბრძოლო მოქმედებებში ჩაერთო.

დოდო გუგეშაშვილი 90-იან წლებში თბილისში ფორმირებული დაჯგუფება **"მხედრიონის"** წევრი იყო, რომელსაც მეთაურობდა ჯაბა იოსელიანი. საზოგადოების ერთი ნაწილი მათ ყაჩაღების ბანდად მოიაზრებდა, რომლებიც ხელისუფლებას დაუპირისპირდნენ, მეორე ნაწილი კი მიიჩნევდა, რომ ისინი ჭეშმარიტი მებრძოლები იყვნენ, რომელთაგანაც ბევრი შეეწირა ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობისთვის ბრძოლას.

ეს ის გუგეშაშვილი გახლავთ, რომელმაც სამეგრელოს სოფელ დარჩელში უდანაშაულო ადამიანებს გადაუწვა სახლები და რომლის თანამებრძოლებს ხელი აქვთ გასვრილი ქართველთა სისხლით!

აი, სწორედ ასეთი ხალხი უჭერს მხარს უკრაინულ-ბანდერულ ფაშიზმს, რაც მართლაც სამარცხვინოა ჩვენთვის!

მაგრამ ფაშიზმი ყველაფერს იტანს – ყველაფერ არაადამიანურს!

ამიტომაც გვმართებს დიდი სიფრთხილე, რათა საქართველოში კიდევ ერთხელ არ გაინავარდოს ფაშიზმმა!

(ბანდერელ ფაშისტთა მიერ უკრაინაში დატრიალებული უბედურებების ამსახველი ფოტოკოლაჟი იხილეთ გაზეთის ამ ნომრის მე-4 გვერდზე).

რ. შალამბერიძე

ვეხმაურებით დაბეჭდილს

ფსიქოტროპული პრეპარატები 800%-იანი ფასნამატით თავისუფლად იყიდება

გაზეთ "ᲘᲚᲘᲠᲘᲡ" რედაქციას!

ღრმად პატივცემულო რედაქცია,

თქვენი გაზეთის 279-ე ნომერში (29 ივლისი-5 აგვისტო, 2014 წელი) გამოქვეყნდა წერილი სახალხო მკურნალ დომენტი გაგნიძის სასწაულმოქმედი პრეპარატების თაობაზე, რომლის ფართოდ გამოყენებასა გააფთრებულ წინააღმდეგობას უწევს ფარმაკომაფია. რა თქმა უნდა, საქართველოს ახალ ხელისუფლებას გაუჭირდება მოკლე დროში აღმოფხვრას ყველა ის დანაშაულებრივი სქემა, რისი წყალობითაც ავადსახსენებელმა ნაციონალებმა საქართველო ერთ დიდ "შავ ბაზრად" აქციეს და არალეგალურად ასეულ მილიონობით დოლარს შოულობდნენ, რასაც ახლა საქართველოს ავტორიტეტის საერთაშორისო ასპარეზზე შერყვნის საქმეს ახმარენ. მაგრამ არის დარგები, რომელთა დროულად მოწესრიგება აუცილებელია, რადგან იგი პირდაპირ ურტყამს მომხმარებელთა ჯიბეს! ერთ-ერთი ასეთი დარგია საფთიაქო ქსელი, რომელიც ჯერ კიდევ იოლ ფინანსურ მოგებას დახარბებული ათასობით ვიგინდარის ლაღი ასპარეზია. დასკვნა ერთია: "ამ სფეროს სუსტი კონტროლი გარკვეული ბიზნესჯგუფებისთვის მომგებიან საქმედ იქცა"!

"ახალგაზრდა ფინანსისტთა და ბიზნესმენთა ასოციაციამ" ჩაატარა კვლევა და გამოავლინა, რომ ქვეყანაში ე.წ. საფთიაქო ნარკომანიის პრობლემა კვლავ მწვავედ დგას. ძვირადღირებული ნარკოტიკული საშუალებების იაფი მედიკამენტებით ჩანაცვლების პრაქტიკა საკმაოდ გავრცელებულია და სწორედ ეს იყო ერთ-ერთი მიზეზი იმისა, რომ გასული წლის მიწურულს შინაგან საქმეთა და შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინიტროებმა, ერთობლივი კანონპროექტი შეიმუშავეს, რომელიც სააფთიაქო ნარკომანიასთან ბრძოლას ისახავდა მიზნად.

კანონპროექტი 2014 წლის 24 იანვრიდან შევიდა ძალაში და მის თანახმად, აფთიაქებში ნარკოტიკული საშუალებების და ფსიქოტროპული ნივთიერებების შემცველი მედიკამენტების რეცეპტის წარდგენის გარეშე გაყიდვა აიკრძალა. ასევე გაფართოვდა ამ ტიპის მედიკამენტების ნუსხა. თუმცა, როგორც ახალგაზრდა ფინანსისტები აცხადებენ, მიუხედავად საკანონმდებლო ცვლილებებისა, სააფთიაქო ნარკომანია კვლავ სწრაფი ტემპით განაგრძობს ზრდას. ფსიქოტროპული მედიკამენტები, მიუხედავად მათი ურეცეპტოდ გაყიდვის აკრძალვისა, კვლავ თავისუფლად და ყოველგვარი ბარიერების გარეშე იყიდება. ამას მოწმობს **"ახალგაზრდა ფინანსისტთა და ბიზნესმენთა ასოციაციის"** მიერ ჩატარებული ექსპერიმენტი, რომელიც ფსიქოტროპული მედიკამენტების უკონტროლო რეალიზაციის ფაქტს ადასტურებს.

ორგანიზაციის წარმომადგენლებმა თბილისის მასშტაბით 15-მდე სააფთიაქო დაწესებულებაში სცადეს იაფი ნარკოტიკული თრობისთვის ყველაზე პოპულარული 6 დასახელების ფსიქოტროპული პრეპარატის (გაბაპენტინი, ბაკლოფენი, ზოლომაქსი, ქსანაქსი, დიაზეპამი, ტროპიკამიდი) შეძენა, რაც ყოველგვარი რეცეპტის მოთხოვნის და ბარიერის გარეშე თავისუფლად შეძლეს. ორგანიზაციის წევრებმა, კიდევ ერთხელ გადაამოწმეს ხსენებული პრეპარატების რეცეპტს დაქვემდებარების საკითხი და ჯანდაცვის სამინისტროს ცხელ ხაზზე დაუდასტურეს, რომ თითოეული ამ პრეპარატის რეცეპტის გარეშე რეალიზაცია წარმოადგენს კანონდარღვევას.

"რიგ შემთხვევებში, სხვადასხვა სააფთიაქო დაწესებულებებში ფსიქოტროპული პრეპარატების რეალიზაცია რეცეპტის გარეშე ხდებოდა არა დაუდევრობით, არამედ აბსოლუტურად შეგნებულად და გამყიდველი გარკვეულ "რეკომენდაციებსაც" იძლეოდა სხვადასხვა პრეპარატების მახასიათებლებზე ნარკოტიკული თრობის თვალსაზრისით. როგორც ჩანს, იაფ ნარკოტიკულ თრობაზე მაღალი მოთხოვნა და სახელმწიფოს მხრიდან ამ სფეროს სუსტი კონტროლი გარკვეული ბიზნესჯგუფებისთვის მომგებიან საქმედ იქცა და ფსიქოტროპული მედიკამენტების იმპორტი ყოველწლიურად სწრაფი ტემპებით იზრდება, მათ შორის, მას შემდეგ, რაც რეცეპტის გარეშე რეალიზაცია აიკრძალა. მაღალ მოთხოვნას იმპორტიორები, როგორც ჩანს, მაღალი ფასით პასუხობენ და სხვადასხვა ფსიქოტროპულ პრეპარატებზე 400%-დან 1500%-მდე ფასნამატებს აწესებენ. 2010 წლიდან 2014 წლის (პირველი 7 თვის) ჩათვლით 24 ტონა, 6 დასახელების, 98 მილიონი აბი და ფლაკონი ფსიქოტროპული პრეპარატი შემოვიდა", – ამბობს **"აფბას"** პრეზიდენტი ნოდარ ჭიჭინაძე.

"აფბას" განცხადებით, საერთო ჯამში, დასახელებული 6 მედიკამენტის საბაზრო ღირებულებამ 50 მილიონ ლარამდე შეადგინა. ორგანიზაციაში ასევე აღნიშნავენ, რომ მედიკამენტების განბაჟება წონით ხდება და რიგ შემთხვევაში, კონკრეტული მედიკამენტი არ არის დაფიქსირებული, ასევე აღსანიშნავია, რომ იგივე სასაქონლო კოდით, რომლითაც ფსიქოტროპული მედიკამენტების განბაჟება ხდება, შემოტანილია 2 მილიარდი ლარის ღირებულების არაკლასიფიცირებული მედიკამენტები, რაშიც, სავარაუდოდ, ფსიქოტროპულ მედიკამენტებს მნიშვნელოვანი წილი უჭირავს.

"ამ ყველაფრის შედეგი კი მკვეთრად ნეგატიურია, არაოფიციალური მონაცემებით ნარკოტიკული თრობის ამ იაფი წყაროთი ბევრი მოქალაქე სარგებლობს, მათ შორის არასრულწლოვნებიც, არადა ამ მედიკამენტებს საკმაოდ მწვავე უკუჩვენებები გააჩნია და ადამიანის ყველა სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან ორგანოზე ნეგატიურ ზემოქმედებას ახდენს. თუმცა, აქვე მნიშვნელოვანია კიდევ ერთი პრობლემა, კერძოდ, ფსიქოტროპული მედიკამენტები იწვევს ძლიერ დამოკიდებულებას და დაუშვებელია სპეციალური სარეაბილიტაციო კურსის გარეშე პრეპარატების მიღების შეწყვეტა. სამწუხაროდ, ეს არის არაეფექტიანი პოლიტიკის შედეგი და სახელმწიფოს ამ მიმართულებით დამატებით მოუწევს ხარჯების გაწევა", – განაცხადა ორგანიზაციის წარმომადგენელმა, პაატა ბაირახტარმა.

რ. შალამბერიძე

არნო ხიდირბეგიშვილი: უკრაინელი მკვლელები და სააკაშვილის დაქირავებული ქართველი მოხალისეები, რომლებსაც დღეს სერგეენკო ეხმარება, ხვალ კიევიდან თბილისში ჩამოვლენ და ღარიბაშვილს თავისი მთავრობით დაამხობენ!

მხოლოდ მას შემდეგ, რაც დონბასის მოსახლეობის რაზმები კონტრშეტევაზე გადავიდნენ, დონდლო მარგველაშვილმა **„გაიღვიძა"**, წინდების ქსოვა გადადო და უკიდურესად შეშფოთდა – აიო, უკრაინაში ომი დაიწყო და უკრაინაში რუსი აგრესორები შეიჭრნენ! მარგველაშვილმა მსოფლიოს განცხადებით მიმართა, რომლის ტექსტი სააკაშვილმა შეადგინა და მას სკაიპით გადაუგზავნა, რომელშიც ის საერთაშორისო თანამეგობრობას მოუწოდებს რუსეთის წინააღმდეგ დარაზმვას. და არა მარტო მარგველაშვილმა – სააკაშვილმა იმდენი იყვირა – საქართველოს მთავრობა კიევს არაფრით ეხმარებაო! – რომ ჯანდაცვის მინისტრ სერგეენკოში უკრაინული წარმოშობა გააღვიძა და, პატრიოტიზმგაღვივებული, გასულ კვირას კიევში, მთელი თავისი ჯგუფით, დასახმარებლად გაფრინდა!

კი, მაგრამ, იმ დროს, როცა თბილისის ბიუჯეტში მრავალმილიონიანი დეფიციტია და მერია გაჭირვებული თბილისელებისთვის წამლების ფულს აფთიაქებში ვერ რიცხავს; როცა დაბნეული და გაღატაკებული მოსახლეობა შიშით ელოდა ამ ორშაბათს, რადგან სარგეენკოს ბრძანებით დღეიდან წამლების უმრავლესობა ურეცეპტოდ არ გაიცემა, ხოლო რეცეპტებით წინასწარი მომარაგება, როგორც წამლებით, შეუძლებელია და აბსურდულიც, ვის და ვისი ფულით ეხმარებით მედიკამენტებით და ექიმებით, ბატონო მინისტრო?! ალბათ, კიევის ხუნტას, რომელსაც მთელი ევროკავშირი და ამერიკა ეხმარება და რომლის სათავეში ყოველი მეორე – ოფიციალური მილიარდერია, პრეზიდენტი-თურთ?!

გასაგებია, ბატონო სერგეენკო, უკრაინელი ბრძანდებით და ძმათამკვლელ ომში რატომღაც ერთი მხარის დახმარება გადაწყვიტეთ – იმავე მხარის, რომელსაც სააკაშვილი, ბენდუქიძე და ნაცგუნდი ეხმარებინ, მაგრამ დაეხმარეთ საკუთარი ჯიბიდან მაინც, ბატონო მინისტრო! ქართველ ხალხს გვკითხეთ, სანამ ჩვენი, გადასახადების გადამხდელების ფულით სახელმწიფო ბიუჯეტიდან, უკრაინაში თქვენი თანამშრომლებით გაფრინდით და ახლა კიდევ ეს ექიმების გამგზავრება, აპარატურითა და მედიკამენტებით, რეგულარულ ხასიათს მიიღებს?!

როდესმე საქართველოში ხომ უნდა დამთავრდეს ეს დანაშაულებრივი კეკლუცობა და უტრაკო ყარაჩოღლობა ხალხის ხარჯზე?! მშიერი და უპატრონო ხალხის, რომლისთვისაც სულერთია – მიშას შადრევნებში, ბოზებში და ზმანებში, თუ ავაკოვ-კალამოისკის მკვლელების მკურნალობაში გაფლანგავენ მის ფულს?! ნუთუ ივანიშვილს, მარგველაშვილის შემდეგ, სერგეენკომაც უღალატა და სააკაშვილის **„ნავში"** გადაჯდა?! გამორიცხულია, ამ ორ ადამიანს – რიგით ფილოსოფოსსა და ექიმს, ივანიშვილმა პრეზიდენტობით, მინისტრობითა და დიდი ფულით რომ დაასაჩუქრა, არ ესმოდეს – კიევში სააკაშვილის მიერ დაფუძნებული „საქართველოს გადარჩენის შტაბის" წევრები – ათასობით უკრაინელი მკვლელი და ქართველი დაქირავებული – მოხალისე, რომლებსაც დღეს სერგეენკო მკურნალობს, ხვალ საქართველოში ჩამოვლენ და ღარიბაშვილს თავისი მთავრობით დაამხობენ!

არნო ხიდირბეგიშვილი,

მაგრამ, როგორც ჩანს, სერგეენკოსადმი პრეტენზია სხვებსაც გააჩნიათ, რაც აშკარად ჩანს ქვემოთ მოყვანილ წერილში:

ღია წერილი, თხოვნა და გაფრთხილება ბატონ დავით სერგეენკოს!

ბატონო მინისტრო, ორიოდე კვირის წინ მოგწერეთ პირველი წერილი, რომელშიც ვცდილობდი, დამენახვებინა წამლების რეცეპტებით გაცემის შესახებ თქვენს მიერ დაწესებული ახალი კანონის მოსალოდნელი უარყოფითი შედეგები.

წერილი ჯანდაცვის სამინისტროს ფეისბუქის გვერდზეც გამოგიგზავნეთ, ათასობით ადამიანმა გაიზიარა და ასობით კომენტარი დაიდო. თუ თქვენ მართლა დაინტერესებული იყავით, გაგეგოთ, როგორია ამ საკითხზე საზოგადოებრივი აზრი, წერილმა ამის საუკეთესო საშუალება მოგცათ. მაგრამ ჩვენდა სამწუხაროდ, ბატონო დავით, თქვენ სხვა ტაქტიკა აირჩიეთ და ხალხის აზრს პასუხად ის დაუპირისპირეთ, რომ თქვენს ინტერნეტ-გვერდზე ყოველდღიურად დებდით სააგიტაციო ვიდეოებს, რომლებშიც თქვენი დავალებით ასაუბრებდით ჩვენთვის პატივსაცემ ექიმებს, თუ რამდენად აუცილებელია რეცეპტები და რომ ამის გარეშე დავიღუპებით.

რა სამწუხარო რეალობაა, ბატონო დავით, როგორ გავდა ეს ტაქტიკა სულ ახლო წარსულის ანალოგიურ ქმედებებს. არა და თქვენგან სხვა რამეს ელოდა ხალხი.

მას შემდეგ, რაც პირველი წერილი გამოქვეყნდა, მე ვესაუბრე უამრავ ექიმს, პაციენტს და აფთიაქის თანამშრომელს. ყველას აზრი ერთნაირია: თქვენი გადაწყვეტილება ნაჩქარევი და არასწორია და ეს ცვლილება უამრავ პრობლემას შეუქმნის თითოეული ამ რგოლის წარმომადგენელს.

მე ვესაუბრე რეგიონის ექიმებს, რომლებთანაც აქტიურად მუშაობდნენ ამ ხნის განმავლობაში თქვენი სამინისტროს წარმომადგენლები. ისინი შეშფოთებულნი არიან მოსალოდნელი პრობლემებით. მე ვკითხე მათ, რის საფუძველზე უნდა გამოწერონ რეცეპტი, მხოლოდ პაციენტის **"სურვილი"** საკმარისი იქნებოდა თუ არა ამისთვის. მათ მიპასუხეს, რომ რეცეპტები დანომრილია და თითოეული რეცეპტის გამოწერაზე ექიმი პასუხს აგებს, ამიტომ სამედიცინო დოკუმენტაცია თითოეულ შემთხვევაში წესრიგში უნდა ჰქონდეთ, ამისთვის კი ყოველი პაციენტი უნდა გაგზავნონ გამოკვლევებზე დიაგნოზის დასაზუსტებლად. აბა წარმოიდგინეთ, ბატონო დავით, როგორ უნდა მოხდეს სოფლის ექიმთან მისული თითოეული პაციენტის გამოკვლევა?

ნუთუ თქვენ ისე გაქვთ აწყობილი ქვეყნის ეკონომიკა და ჯანდაცვის სისტემა, რომ სოფლის მაცხოვრებელი თავისუფლად წამოვა ქალაქში საჭირო სამედიცინო გამოკვლევების ჩასატარებლად? თქვენ ალბათ არ იცით, რომ დღემდე სოფლის ექიმთა უმრავლესობა იძულებული იყო საკუთარ გამოცდილებაზე დაყრდნობით და ჰიპოკრატეს დროინდელი მეთოდების (პალპაციისა და პერკუსიის) გამოყენებით დაესვა დიაგნოზი, ახლა ეს შესაძლებლობაც მოუსპეთ და ამით მხოლოდ პაციენტი დაზარალდება.

ამას გარდა, თითოეულ პრეპარატზე ცალ-ცალკე რეცეპტი უნდა იყოსო, მითხრეს, ეს იმხელა შრომაა ჩვენთვის, ფიზიკურად ვერ მოვასწრებთ ამდენი დოკუმენტაციის გაფორმებასო.

რაც შეეხება ერთწლიან რეცეპტებს, რომლის გამოყენებითაც თქვენ საქმის გამარტივებას აპირებთ, ექიმების აზრი ამ საკითხზეც უარყოფითია: წესით და კანონით, ქრონიკული პაციენტი 4 თვეში ერთხელ მაინც უნდა გამოვიკვლიოთ, სხვაგვარად წამალს ვერ გამოვწერთო. ერთი წლის განმავლობაში წამლის გამოწერამ რამე რომ გაართულოს, პასუხს ჩვენ მოგვთხოვენ და იქნებ **"ციმბირი უკან დაგვატოვებინონ"**!

როცა ამ საკითხებზე თქვენ წარმომადგენელთან პროტესტი გამოუთქვამთ რეგიონის ექიმებს, საპასუხოდ მუქარა მიუღიათ, მაგ ხელფასებს ტყუილად რომ იღებთ, ჭკვიანად იყავითო – ასე გაუჩუმებიათ. იცით რა ხელფასზეა საუბარი, ბატონო დავით? 400 ლარზე!!! ახლა ის ვიკითხოთ, რა შრომაა რეგიონის ექიმობა? დღე და ღამე გასწორებული უნდა გქონდეს, სასწრაფოც შენ ხარ, მედ-დაც, გინეკოლოგიც და ზოგჯერ – ქირურგიც. შუადამის 3 საათზეც შეიძლება მოგადგეს თანასოფლელი, მიშველეო. ხელფასი კი უსაშველოდ დიდი – 400 ლარია. და აი, ასეთ აწყობილ სისტემას მხოლოდ რეცეპტების გამოწერა აკლდა, ბატონო მინისტრო! ნეტავ სად გაქრა რეალობის გრძნობა?!

ახლა ქალაქში გადმოვინაცვლოთ: თითქმის ყველა აფთიაქში გრძელი რიგებია და მყიდველთა უმრავლესობას ხშირი მოხმარების პრეპარატების დიდი სიები უჭირავთ ხელში. აგერ ერთი მოხუცი დგას. უცებ კიდევ რაღაც გაახსენდა: ესეც რეცეპტით იქნება? კითხულობს შეწუხებული სახით, – დიახ, ბატონო, – პასუხობს ფარმაცევტი. – მაშინ ეგეც მომეციო 2 კოლოფი – მერე ფულს გადათვლის და აღმოაჩენს რომ 2 კოლოფისთვის სამყოფი თანხა არ აქვს, კიდევ ერთხელ ამოიოხრებს, მოკითხვას შეუთვლის მის ამ დღეში ჩამგდებს და ვიშვიშით გადის აფთიაქიდან.

ბატონო დავით, აბა ჩაატარეთ ექსპერიმენტი და რომელიმე აფთიაქში მოიკითხეთ **კორინფარი**. ვერსად იშოვით. ყველგან გაიყიდა. ჩემს ნაცნობს დასჭირდა და მთელი ქალაქი მოიარა. ბათუმშიც კი დაბარა ახლობელს და არც იქ იყო. სააფთიაქო ცნობარმაც უთხრა, რომ ქსელში არსად არისო. მერე შემთხვევით სადგურის ქუჩაზე ერთ პატარა აფთიაქში შეიარა – იქნებ ბედმა გამიღიმოსო. ჰოი საოცრებავ,– გვაქვსო – უპასუხეს და დახლის ქვევიდან 2 კოლოფი ამოიღეს. ფასი რომ იკითხა, 22 ლარიო უთხრეს, გაოცებული და გაოგნებული დარჩა მყიდველი – 7 ლარზე მეტი არასოდეს მიმიციაო. – თუ გნებავთ იყიდეთ, ჩვენთან ასე ღირსო!!!

აი, ბატონო დავით – გზაც გამოჩნდა უკვე! თქვენ ამ რეფორმით გააძვირებთ წამლებს, გააჩენთ შავ ბაზარს, ხელს შეუწყობთ ექიმთა კორუფციას და კიდევ უფრო უარეს დღეში ჩაყრით გაჭირვებულ მოსახლეობას!

კიდევ ერთხელ გთხოვთ, რომ დაფიქრდეთ და გაფრთხილებთ, რომ ამ რეფორმას მოყვება დიდი უსიამოვნებები!

მერწმუნეთ, არავის ინტერესს არ ვიცავ, მხოლოდ რელობა მინდა დაგანახოთ, მაგრამ თქვენ ჯიუტად არ გსურთ სხვისი აზრის მოსმენა. დაფიქრდით, გთხოვთ! არა და მერე საკუთარ თავს დააბრალეთ!

თამარ მამაცაშვილი,
ჟურნალ "ოჯახის მკურნალის"
მთავარი რედაქტორი

Вокруг да около

ასე ამბობენ რუსები ადამიანზე, რომელიც მომაბეზრებლად უტრიალებს რაიმე თემას და მისი არსის გახსნას ვერ ახერხებს. ან ისეთ ადამიანზე იტყვიან, რომელიც გარს უვლის შენობას, მაგრამ შიგ შესვლის ეშინია.

სწორედაც რომ ზედგამოჭრილია ეს ფრაზა მიხეილ სააკაშვილისათვის, რომელიც სახლიდან გაგდებული მაწანწალა ძაღლივით გარს უტრიალებს საქართველოს, მაგრამ მას სიკვდილის შიშიც კი ვერ აიძულებს საქართველოს საზღვრის გადმოკვეთას, რადგან იცის, რომ აქ იგი დამსახურებულ სასჯელს ვერ ასცდება!

პრესაში გაიჟღერა ინფორმაციამ იმის თაობაზე, რომ მიმდინარე წლის აგვისტოს მიწურულს სააკაშვილი ჩავიდა სარფში, სადაც **"საქმიანი"** შეხვედრები გამართა თავის უსაქმურ თანაგუნდელებთან.

საქართველოს ექს-პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის სარფში მხარდამჭერებთან შეხვედრის ამსახველი ფოტოები ამას წინათ სოციალურ ქსელებში ატვირთეს.

დავადგინეთ, რომ ექსპრეზიდენტთან შესახვედრად ნაცი(ა)ნალური პარტიის 10-მდე წევრი, მათ შორის ლევან ბეჟაშვილი, ზურაბ ჯაფარიძე, აკაკი ბობოხიძე, გიორგი ვაშაძე, ზაზა ბიბილაშვილი და გოგა ხაჩიძე გაემგზავრნენ. ჟურნალისტები ესაუბრნენ გიორგი ვაშაძეს, რომელმაც სააკაშვილთან შეხვედრის ადგილი არ დააკონკრეტა და მხოლოდ ის განაცხადა, **"ნაციონალური მოძრაობის"** წევრები საქართველოში ექსპრეზიდენტთან შეხვედრის დღესვე დაბრუნდებიანო.

ვაშაძის და სხვა ნაცების საქართველოში დაბრუნება დასვენების სეზონს დაემთხვა, როცა საზღვარზე მოძრაობა სხვა პერიოდთან შედარებით ბევრად ინტენსიურია და ამიტომ საზღვართან რიგები დგება ხოლმე, რაც ჩვეულებრივი მოვლენა გახლავთ, სხვა, ჩვენზე ბევრად ძლიერი და განვითარებული სახელმწიფოებისათვისაც კი. სწორედ ამიტომ, როგორც ჩანს, თურქეთში მელიებივით გადაპარულ ნაცებსა და მათ შორის გიორგი ვაშაძესაც ალბათ რამდენიმე საათი მოუწიათ საქართველო-თურქეთის საზღვართან ყურყუტმა. ყბაამოგდებული და დღევანდელი ხელისუფლების ლანძღვა-გინებაში ლაშებმორღვეული ვაშაძე რისი ვაშაძე იქნებოდა ეს ამბავი პოლიტიკური პიარისათვის არ გამოეყენებინა დ მანაც ყველაფერი კაბინეტებში მოკალათებულ ხელისუფლების **"გაქსუებული"** ჩინოვნიკების უნიათობას დააბრალა, თითქოს ნაციონალთა ზეობის ჟამს ჩინოვნიკებს დღემუდამ იმაზე ფიქრი უხრავდა გულ-გვამს, დღეს ერისა და ქვეყნისათვის რა სასიკეთო საქმეები გავაკეთოთო!

მაგრამ, მიუხედავად განრისხებისა, ვაშაძის საუბარ-საქციელში მაინც შეინიშნებოდა ერთგვარი სიამაყე და თვითკმაყოფილება, რაც დამახასიათებელი არ უნდა იყოს ძალაუფლებების სიკეთეებს ხალხის ნებით ჩამოშორებული პოლიტიკოსისათვის. ვაშაძის ამგვარი ამაღლებული განწყობის მიზეზიც მალე დავადგინეთ – თურმე რამდენიმე დღის წინ მას ძმა – დათო ვაშაძე გაუთხოვდა და თანაც ისეთ ოჯახში შევიდა **"რძლად"**, რომ ყველა ინატრებს – დათო ცოლად გაჰყვა კინოთეატრ **„პრომეთეს"** ხელმძღვანელს გაგა ჩხეიძეს (დაწვრილებით ინფორმაციას მათი **"შეუღლების"** თაობაზე ჩვენი გაზეთის მომდევნო ნომერში მოგაწვდით).

ჩვენ კი ვულოცავთ მას ძმის გათხოვებას და მთელი **„ნაციონალური მოძრაობისთვის"** ძმების **„გათხოვება"** მიგველოცოს.

ისე კი, იმ ქვეყანას რა ვუთხარით, სადაც ვაშაძისნაირი გარყვნილი ოჯახის შვილები წესიერ ადამიანებს ნერვებს უშლიან და მორალს უკითხავენ. მაგ ბანდიტის ადგილი ციხეშია, ეს არის კაცი, რომელიც ყალბი პირადობის მოწმობების დამზადებით არჩევნების გაყალბების ერთ-ერთი თანამონაწილე იყო. ამრიგად, გიორგი ვაშაძე უფრო მეტად საშიშია ქვეყნისთვის, ვიდრე მისი „ახლადგათხოვილი" ძმა".

როგორც ჩანს, ნაციონალი ვირთხები და მათი პოლიტიკურად გაკოტრებული ფიურერი სააკაშვილი (რომლის **"ბრძნულმა რჩევებმა"** დაშლა-განადგურების საფრთხის წინაშე დააყენა ერთ დროს ძლიერი სახელმწიფო უკრაინა) მართლაც ფიქრობენ საქართველოში სისხლიანი გადატრიალების მოწყობას, რათა კვლავ დაბრუნდნენ ხელისუფლებაში. ალბათ მართლაც სჯერათ ამ არარაობებს, რომ რეალურად მათ მოაწყეს ავადსახსენებელი **"ვარდების რევოლუცია"** მათ მიერ დაარსებული არასამთავრობო ორგანიზაცია **"კმარას"** მეშვეობით. იმის გახსენება კი არ სურთ, რომ ის რევოლუცია შევარდნაძემ მოუწყო საკუთარ თავს ამერიკელებთან შეთანხმებით, რომ პოლიციას და უშიშროებას იმ ავბედით დღეებში იარაღი ჩამოართვეს და რომ ნაციონალი ბაცნები უშიშროებამ თავად შერეკა პარლამენტში, რათა ქართველი ხალხისაგან მოძულებული შევარდნაძე პოლიტიკურ მოუსავლეთში გაეშვათ. ეს ყველაფერი ავიწყდება სააკაშვილს და ჰგონია, რომ იგივე სცენარის გამეორებას მოახერხებს ახლაც – **"თავისუფალი ზონის"** მეშვეობით.

ჰო, **"თავისუფალ ზონაზე"** გამახსენდა: ამას წინათ, ე.წ. არასამთავრობო **"თავისუფალ ზონაში"** გაწევრიანებული ახალგაზრდების ჯგუფმა, რომლებიც ნაციონალური მოძრაობის მიერ შეთითხნილი არასამთავრობო ორგანიზაცია **"კმარას"** ალი-კვალი არიან, თბილისში, გალაკტიონის ხიდზე არსებული საბჭოთა სიმბოლოები უკრაინის დროშის ფერებში გადაღებეს, რასაც პოლიციის მხრიდან პროტესტი მოჰყვა. შედეგად ამ ჯგუფის რამდენიმე აქტივისტი დააკავეს. ამან კი **"თავისუფალი ზონის"** და მისი მხარდამჭერების (ნაცებისა და ყოფილი ხელისუფლების ლიდერების) აღშფოთება გამოიწვია. ერთ-ერთი, ვინც აქტიურობდა, დეპუტატი აკაკი მინაშვილი იყო, რომელმაც თვითონვე მისცა იმ კანონს ხმა, რომლის ძალითაც ეს სიმბოლოები იმ ადგილას დარჩა, სადაც გუშინ იყო და ალბათ ხვალაც იქნება. თუ საბჭოთა სიმბოლოების არსებობა დანაშაული იყო, რატომ არ მოანგრიეს და მის ადგილას ახალი არ ადმართეს, ხოლო თუ ეს დანაშაული არაა და მას იქ არსებობის უფლება აქვს, მაშინ მისი, ისევე როგორც ქალაქში არსებული სხვა ძეგლების ხელყოფა კანონით დასჯადი ქმედებაა. ვთქვათ, ახალგაზრდების ერთ ჯგუფს არ მოეწონა ბარათაშვილის ხიდი და მიადგნენ მას და უკრაინის დროშის ფერებში გადაღებეს, ტაში უნდა დავუკრათ?! ვიცი, ბევრი მეტყვის, საბჭოთა სიმბოლოებს და უბრალო რიკულებს თუ ვერ არჩევ, კარგად ყოფილა შენი საქმეო. ვარჩევ ბატონო, როგორ არ ვარჩევ, მაგრამ კანონი ვერ არჩევს და კანონისთვის სულ ერთია, იქ საბჭოთა სიმბოლოა თუ მავანი ხელოსნის მიერ გამოყვანილი ქარაგმა. კიდევ ერთი რამე მაინტერესებს, მაშინ როცა ზემოთხსენებული აკაკი მინაშვილი იყო ხელისუფლებაში, მე და ჩემს მეგობრებს რომ გვეთქვა, გული შეგვტკივა სომალში მიმდინარე ამბებზე, მოგადიშოს დღე-დღეზე დაიკავებენ სეპარატისტები და ხიდები სომალის დროშის ფერად უნდა გადავღებოთო, მოგვცემდნენ ამის უფლებას?

არსებობს პროტესტის ცივილური ფორმები, რომელსაც მთელი მსოფლიო იყენებს. თუ აგრერიგად გვინდა მხარდაჭერის გამოხატვა, შეგვიძლია დავამზადებინოთ ბანერი და სადაც გვინდა იქ გამოვფინოთ, გვიშლის ვინმე?! ძალიან მაინტერესებს იქ მყოფი პროტესტანტებიდან, ვინმესთან რომ მივიდე და სახლის კარები შევუღებო უკრაინის ფერებში და ვუთხრა, მხარს ვუჭერ უკრაინას და იმიტომ ვაკეთებ ასე-მეთქი, მოეწონებათ?

ურა-პატრიოტიზმი ძალიან დამღუპველია და ეს ჩემზე უკეთ მათ იციან, ვინც ხიდს უკრაინის დროშის ფერებში ღებავდა. იგივე ნაციონალთა **"კუდებმა"** ცოტა ხნის წინ უკრაინის საელჩოსთან უკრაინის მხარდამჭერი აქცია გამართეს. მიუღებელი არაფერია იმაში, რომ, რომელიმე ქვეყანას თანადგომას უცხადებ, მაგრამ როდესაც მეგობრობაზე თავს დებ, იმდენი მაინც უნდა მოახერხო და ამ მეგობრის დროშის სწორად დაჭერა მაინც უნდა შეძლო და აქციაზე უკუღმა არ უნდა გეჭიროს, ისე როგორც იქ მყოფ ერთ-ერთ აქტივისტს ეკავა. ასეთი ქმედება აქცია აქციისთვის უფროა, ვიდრე გულისტკივილის გამოხატვა.

მოკლედ, დაძრწის სააკაშვილი საქართველოს გარშემო და ინტრიგების ქსელს ხლართავს, რომელშიც ადრე თუ გვიან თავად გაებმება. ალბათ უკრაინელებმაც აუღეს ალღო მის დაშნაკურ პოლიტიკურ წიაღსვლებს და ნება არ მისცეს, რომ თავისი თანაგუნდელები კიევში ჩაეყვანა პოლიტიკური **"საიდუმლო სერობისათვის"**, თორემ იგი თურქეთში არ ჩავიდოდა და თოფის სროლის მანძილზე არ მიუახლოვდებოდა იმ ქვეყანას, სადაც მასზე ძებნაა გამოცხადებული.

რ. ნორაკიძე

"ბანდერული გაზაფხულის" ჭირნახული

 მოვლენათა ეპიცენტრშია უკრაინა

მეორე და მესამე ათასწლეულთა გზაშესაყარზე ქარბორბალაში მოხვედრისას თქმული



ოთხი ათასამდე წიგნს მიითვლის ჩემი საოჯახო ბიბლიოთეკა, რასაც მთელი ჩემი ცხოვრების მანძილზე ვუყრიდი თავს რუდუნებით. ამ წიგნების უმეტესობას ავტორის მიძღვნა ამშვენებს, რაც კიდევ უფრო მატებს ხიბლს ამ ისედაც ფასდაუდებელ განძს. მიუხედავად იმისა, რომ ინტერნეტის ეპოქაში წიგნმა დაჰკარგა ძველებური **"ინტელექტუალური ელვარება"**, ჩემი ეპოქის წარმომადგენლებს მაინც მიგვაჩნია, რომ წიგნს ვერც ინტერნეტი შეცვლის და ვერც მთელი სამყაროს რობოტიზირება. ინტერნეტი, რა თქმა უნდა, ძალიან კარგი რამაა, მაგრამ წიგნს მაინც ვერ შეედრება, რადგან ინტერნეტით მუდამ სარგებლობა **"ინფორმირებულობას"** ნიშნავს, წიგნით სარგებლობის პროდუქტი კი განათლება და ანალიტიკური აზროვნების უნარის განვითარება გახლავთ, რომლის გარეშე ადამიანი ვერაფერ ღირებულს ვერ შექმნის. სწორედ ამაზე მიუთითა ერთ-ერთ წირვაში საზოგადოებას უწმინდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ, როცა ე.წ. **"მოძრავი ბიბლიოთეკის"** შექმნის ორგანიზატორები დალოცა.

სამწუხაროა, რომ დღევანდელი ახალგაზრდობისათვის წიგნის დიდი მნიშვნელობის განმარტება გვიწევს, მაგრამ ბევრად უფრო სამწუხაროა ის, რომ ახალგაზრდობა მაინც არ იჩენს წიგნისადმი ინტერესს და კვლავ ინტერნეტისაკენ გაურბის თვალი...

თემამ ძირითადი სათქმელიდან გადამახვევინა და, მოდით, კვლავ წიგნს დავუბრუნდეთ. ჩემს წიგნის თაროს ახლახან კიდევ ერთი ლექსების კრებული შეემატა – ცნობილი ქართველი პოეტის, მწერლისა და ჟურნალისტის ალექსანდრე შენგელიას ასფურცელა **"მეორე და მესამე ათასწლეულთა გზაშესაყარზე ქარბორბალაში მოხვედრისას თქმული"**, რომელსაც ასეთი მიძღვნა ამშვენებს: **"ბ-ნ როლანდ ჯალაღანიას, ჩემს უმრწმეს კოლეგას და უახლოეს მეგობარს, რომლის გვერდით დგომა და შემართება მეამაყება. ძმური სიყვარულით, ალექსანდრე შენგელია. 22. 07. 2013 წელი"**. აშკარად გადაჭარბებული შეფასებაა, მაგრამ როცა კრებულის პირველივე ლექსს გაეცნობი, წამსვე გავიწყდება ამქვეყნიური ამაოება და ავტორის მხარდამხარ მიიწევ წინ ცხოვრების მოულოდნელობებით აღსავსე ბილიკებსა თუ ხიფათიან ლაბირინთებში...

ამიტომაცაა ასე ნიშანდობლივი კრებულის რედაქტორის ბატონ გივი ბოჯგუას წინასიტყვაობა: **"...თურმე გოეთეს ასაკში გადამდგარხარ და 80 წელი მოგიტოვებია უკან დაჭარმაგებულ-დაჭარმაღებულს; მხცით შემოსილხარ, ჯანგულოვანო, მიწყივ უსაშველოდ გონიერო და კეთილმოსურნეო, თანაც უშიშარო და დაურიდალო, როცა შეჭირვებულ სამშობლოს შენი წილი შველა სჭირდება** (განა სწორედ ალექსანდრე შენგელიამ არ დაარისხა პირველმა **"კაკაბეთის ზარები"**, როცა ქუდზე კაცი მოიხმო საქართველოს საშველად? – **"ილორი"**!) **და მეორეც – საჩინო პოეტი ხარ შენი საფიცარი აკაკის, გალაკტიონისა და ლადოს ფესვებიდან ამოხეთქილი..."**

ჭეშმარიტად მეამაყება, რომ ორივენი ჩემი მეგობრები არიან – ალექსანდრე შენგელიაცა და გივი ბოჯგუაც – ასეთი ქართველების სამშობლოს გაქრობა ნამდვილად არ უწერია!

როლანდ ჯალაღანია

P.S. ალექსანდრე შენგელიას შემოქმედების ერთმა ნიმუშმა "წვიმა ბათუმში" სულგანათლებული პოეტის არჩილ ფირცხალავას სულისშემძვრელი ორტაეპიანი ლექსი გამახსენა:

სი სო ულ, ბატა – დედების მოთქმა,
ზღვამ ჩაითრია ტალღის ბათქუნით,
სი სო ულ, ბატა! ზღვა აბობოქრდა,
როგორც ჭაბუკი, გემზე დაბმული.
თათარია თუ მონღოლია,
მამულში სიავკაცედ ამოჭრილი,
დედას გიტირებდი, ჯოღორია,
მკლავი რომ არ მქონდეს გაკოჭილი!

არჩილ ფირცხალავა

წვიმა ბათუმში

ნატანებამდე ვინც მიატანა,
ავბედითად მისი შებრუნდა ჩარხი.
რა ბედენაა ოქროს გატანა?
ოქროზე ძვირი გაჰყავდათ ხალხი!

მიწას ღრუბლებად ერტყა სუდარა
და ქარს მიჰქონდა ხვეწნა-მუდარა!

შინაომებით დაწყდნენ ლომები,
ცა განარისხეს, ზღვა განარისხეს
და მწვანე კონცხზე ამაოებით
ტოტებდასხეპილი დგას "თამარის ხე".

ახსოვს, მტერი რომ ძმას ძმას უსევდა,
ვერ გადიყარა დღემდე გულს სევდა,

მოგონებები დრომ ვერ ჩასძირა
და მეკობრეებს კვლავ ვხედავ ზღვაზე,
საქართველო რომ ნაწილ-ნაწილად
ჩამოურიგეს მონათა ბაზრებს.

ვაჭარი მუშტარს ქართველს უქებდა,
მხევლად, საცოლედ, სამამლუქედა.

მათ გზას ირეკლავს ყველა რადარი,
გულის ძარღვებს და ნერვებს რომ სჭიმავს;
აი, რად არი, დღემდე რად არი
ბათუმში მუდამ ამდენი წვიმა
და ცრემლის თქეშით ძირმომბალები
თმაგაწეწილი ძველი პალმები!

ხანგრძლივი სიცოცხლე და შემოქმედებითი წარმატებები ვუსურვოთ მკლავმოუღლელ პოეტს ალექსანდრე შენგელიას!

რას წერდა ალენ დელონი ვაჟა ფშაველაზე და როგორ გადაარჩინა მწერალმა მსახიობი სიკვდილს?

"ჩემს ცხოვრებაში იყო ისეთი მძიმე დეპრესიის პერიოდი, რომ ხშირად თავის მოკვლაზეც კი მიფიქრია, მაგრამ ამ მომენტში აბსოლუტურად შემთხვევით ჩემს ხელში მოხვდა პატარა წიგნი, მოთხრობების კრებული, რომელმაც ამქვეყნიური ცხოვრებისკენ მომაბრუნა და სიცოცხლის ხალისი კვლავ დამიბრუნა. რომ არა ეს წიგნი, ალბათ ძალიან გამიჭირდებოდა კრიტიკული სიტუაციიდან გამოსვლა. სწორედ იმ დიდსულოვნებამ, რომელიც მოთხრობებში იყო ჩადებული, სიკვდილისგან მიხსნა.

დიდად სამწუხაროა, რომ ამ დიდებულ ქართველ მწერალს კარგად არ იცნობენ ევროპაში. ეს გახლავთ ქართველი მწერალი და ქართული საზოგადოების ღირსეული წინაპარი – ვაჟა ფშაველა. მე მომხიბლა მისი ნაწარმოების სიღრმემ და თვითმყოფადობამ. სწორედ ამ წიგნის წაკითხვის შემდეგ დავინტერესდი ქართული ლიტერატურით" – წერდა მსოფლიო კინოს ლეგენდა ალენ დელონი.

წარმოიდგინეთ, ვარსკვლავს რომ ვაჟა ორიგინალში წაეკითხა, ალბათ შოკში ჩავარდებოდა. თუმცა მგოსნის სიტყვებმა – **„შენი ჭირიმე სიკვდილო, სიცოცხლე შენით ფასობსო"...** ენით აუწერელი შთაბეჭდილება მოახდინა მასზე და სიცოცხლისკენ შემოაბრუნა მსახიობი, რომელმაც გასული საუკუნის 60-70 წლებში მსოფლიო დაიპყრო იშვიათი სილამაზითა და არაჩვეულებრივი ნიჭით.

პოეზიის კუთხე

მედიაკავშირ "ობიექტივის" ტელეწამყვანებს!

აჰა, გამოჩნდა ეკრანზე,
მამა აბრამის ბატკანი,
მისი გვარი და სახელი
მოურავია თარხანი.
იერუსალიმის მეტრფეს,
ისიც ვეღარ გაუგია,
ჯვარს ვინ აცვა ქრისტე ღმერთი,
ვის რა მახე დაუგია.
ანგელოზად გარდასახულს,
მხოლოდ ფრთები აკლიაო,
ღვთის მგმობელთა განდიდება
ფრიად დიდი ნაკლიაო.
ორი ბატონის მონობას,
ვეღარ შეძლებ მოურავო,
ერთი უნდა შეიძულო,
მეორეს კი მოუარო.
ბოროტების ძირი, ფესვი,
ვერცხლის მოყვარეობაა,
ანტიქრისტეს ხოტბის შესხმა,
დიდი ყვარყვარეობაა.
ისრაელის მეხოტბე ხართ,
შენ და შენი კოლექტივი
ტანჯულ ქართველ ერს აბრიყვებს
მედია – ობიექტივი.
სამება ხომ ერთ არსია,
შემოქმედი – სიტყვა ლოგო,
მშვინვა სულის რანგში აგყავს,
თვითმარქვია თეოლოგო!
ან ღმერთი უნდა გიყვარდეს
ან ცრუთა ბელიარიო,
უფალმა ასე დაგვმოძღვრა,
მე სამხილად გითხარიო.
ლაზარეს მომაკვდინებელს
ღმერთი მოუვლენს განაჩენს,
თავად უფალი მოგკითხავს
მზაკვრული გეგმის დანარჩენს.
გონს მოეგე ბაიყუშო!!!
ჩაიწერე გონებაში,
უკვდავმყოფელ სულს ნუ გაცვლი,
ბელზებელის ქონებაში.
წმინდა წერილი გვაუწყებს
ასე ამბობს უფალიო:
„შევიყვარე იაკობი"
„შევიძულე ესავიო"
უნდა ვიცნოთ რომელია,
ბოროტების მთესველიო!

გიორგი პირველი

მუზა

ზღუაშ ქვინჯს ენოძ უმინჯურო,
კინოხ ნწყვილი ღუფიშ ღუზა,
წყარიშ თუდო გაქვარქვუნა
ჩხომეფ ჭიფე დო მედუზა...
მა ჭარუას თიწკმა იბჭყანქ:
გომიძიცანს თუთა-მუზა...
სი ჭარუა ვეშეილებდა,
ვეშეილებდა, ვა მაღუზა...

რამაზ კუპრა

ვარძიის ამობრუნებული "პორტრეტი" და აღმოჩენილი სამშობლოს რეალობა...

დაფიქრებული დაგვყურებს. დიდი ხნის სადარდელი აქვს შეყინული სახეზე. მართალია, მხოლოდ სახის ნაწილს ვხედავთ, მაგრამ ისეთი შეგრძნებაა, რომ ყველა ნაკვთი თვალსაჩინო აქვს. მხრით არის შემდგარი დიდ სიმძიმეს, როგორც ანტიკური ატლანტი.

გულიც სტკივა და თვალებიც ამოდამებული აქვს ლოდინით, ლოდინი კი უსაშველოა, ისეთი, როგორიც ვაჟა-ფშაველას მთების მოლოდინი... რომ არა მწვანე ბალახი, აქა-იქა რომ მოსჩანს მის **"სახეზე"**, სიცოცხლის ნიშანწყალი არ დაეტყობოდა. ახლა კი თითქოს ცოცხალია, წვერიც ეზრდება და მისი გულისცემაც შორს ისმის.

ამ ფოტოს, რომელსაც მართლაც ცოცხალი კაცივით უნდა შეხედო, თავისი ისტორია აქვს. მას მერე, რაც წარსულში ცნობილმა ქართველმა სპორტსმენმა, უბადლო მოკრივემ, საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატმა დავით კვაჭაძემ ფოტოაპარატი აიღო ხელში და არაერთი მადალმხატვრული ფოტოსურათი გადაიღო, მის ობიექტივში ვარძიის ეს შთაბეჭდავი **"პეიზაჟიც"** მოხვდა, უფრო სწორად, იგი პორტრეტად უნდა მოვიხსენიო, იმიტომ რომ ადამიანს ენა ვერ მოგიბრუნდება, ამ ემოციით სავსე სახეს სხვაგვარი სახელი მიუსადაგო.

ფოტო ჩვენი მდიდარი წარსულის საუნჯე – ვარძიაშია გადაღებული, სადაც დავანებულია ქართველთა ეს საამაყო ისტორიულ ძეგლი. არაერთ სხვა ფოტოს შორის ამ ერთს განსხვავებულად შეხედა ავტორმა, არა ისე, როგორც რეალობა სთავაზობდა, არამედ ამობრუნებულად. აქ ცა მიწადაა ქცეული და მიწა – ცად. ვარძიის უკვდავ სულს, ქართულ ატლანტს სამშობლოს მიწის მთელი სიმძიმე და საკრალურობამდე მისული ისტორია უტვირთავს და დღემდე მოუტანია. ქედუხრელად შესდგომია და **"ამაგრებს"**, რომ ისევ მყარად იდგეს საქართველო, ისევ დაგვყურებდეს ზემოდან მისი ზეციური ნაწილი...

ამ დროს ჩვენ ათას ფუსფუსში ვართ ჩართული: უმრავლესობას მიწა და სახნავ-სათესი მიტოვებული აქვს და სიდატაკეს უცხოეთში, უკეთეს შემთხვევაში კი ქალაქ თბილისში გამოჰქცევია, სადაც მაინც სიღატაკეში უწევს ყოფნა... ზოგი მომხვეჭელია და ღამე არ სძინავს იმის ფიქრით, კიდევ რა მოიხვეჭოს და რა მიიტაცოს, ზოგი – პესიმისტი, ზოგი – უუნარო და ზოგიც ფარხმალდაყრილი... კიდევ კარგი, სხვანაირი ადამიანებიც სახლობენ თანამედროვე საქართველოში: მიწასთან მებრძოლები და ალალი ლუკმის მჭამელები, მართალი სიტყვის მთქმელები და საქმის მკეთებლები...

თვითონ დავით კვაჭაძეც ასეთია... და მიუხედავად იმისა, რომ ბევრი გასაჭირი ადგას, მაინც ინარჩუნებს დიდსულოვნებას. ამიტომაც **"გაეხსნა"** ვარძიის უკვდავი სული, ამიტომაც დაენახა... მან კი ეს დიდებული წამი დააფიქსირა. ზოგჯერ ცოტა უფრო მეტი უნდა დავინახოთ, თუ საჭიროა, **"ამოვაბრუნოთ"** კიდეც რეალობა და განსხვავებულად აღმოვაჩინოთ სამშობლო, რომელიც ამ ვარძიის უკვდავი სულივით დგას და მოთმინებით ელის... ელის დაუსრულებლად...

ლეილა ჯიყაშვილი

გამოცხადებული ომის და გაქცეული "მთავარსარდლის" სირცხვილის ქრონიკა

როგორ მივედით 2008 წლის აგვისტოს ომამდე ანუ სეპარატისტული პოლიტიკის რეალიზაცია "ნაციონალურად", რომლებიც დღეს, გრძნობენ რა საკუთარ დანაშაულს ქართველი, ოსი და რუსი ხალხის წინაშე, კატეგორიულად ეწინააღმდეგებიან ჰაგის სასამართლოს მოწოდებას, რომ ობიექტურად იქნას გამოძიებული აღნიშნული ომის დაწყების მიზეზები და გამოვლენილი იქნან ამ ავანტიურის მთავარი შემოქმედები!

ჩვენთვის ავბედითად დამთავრებული (ნეტავი სხვაგვარი შედეგის მოლოდინი თუ შეიძლებოდა ჰქონოდა რომელიმე ჭკუათმყოფელს?) რუსეთ-საქართველოს ომიდან 6 წელი გავიდა და მაშინდელი ხელისუფლების პირველი პირები, მათ შორის იმჟამინდელი პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი, აგრძელებენ მცდელობას, თავიდან აირიდონ პასუხისმგებლობა ამ ძმათამკვლელი ომის გაჩაღების გამო. სააკაშვილი დღესაც აკეთებს მინიშნებებს, რომ ამჟამინდელი ხელისუფლება პრორუსულია და ომის წლისთავის აღსანიშნავად ვლადიმერ პუტინს სასიამოვნო საჩუქარს უკეთებს სააკაშვილის მიმართ ბრალის წარდგენით. ამიტომ, საბოლოოდ მკაფიოდ უნდა გაირკვეს, რამდენად მოქმედებდა 2008 წლის აგვისტოს ომის პერიოდში საქართველოს ნაციონალური ხელისუფლება სეპარატისტთა სცენარის მიხედვით.

ჯერ კიდევ არ არის გაანალიზებული ყველა ის ნაბიჯი, რომელმაც სეპარატისტებსა და მათ მფარველებს სამხედრო მოქმედებებისათვის ხელ-ფეხი გაუხსნა.

სეპარატისტული პოლიტიკის გამტარებელი აფხაზი და ოსი პოლიტიკოსები ამ გზის გასახსნელად ყველა ღონეს რომ იხმარდნენ, ეს ალბათ, გასაკვირი არ არის, მაგრამ მოვლენების ისე გასავითარებლად, რომ ბარიკადების მეორე მხარეს მდგომ პოლიტიკურ ძალას სამხედრო აგრესიისა და აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის აღიარების გარდა **"სხვა გზა არ დარჩენოდა"**, საქართველოს იმჟამინდელმა ხელისუფლებამ სეპარატისტულ პოლიტიკას მაქსიმალურად აუწყო ფეხი. რატომ მოხდა ასე – იყო ეს შეცდომების კასკადი, გულბრყვილო მინდობა მოწინააღმდეგისადმი თუ შეგნებული დანაშაული, ამის დადგენას იმედია, დიდი დრო არ დასჭირდება. თუმცა, შედეგი ერთია – ომი, ოკუპაცია და აღიარება – სეპარატისტული პოლიტიკის ინტერესები მაქსიმალურადაა რეალიზებული საქართველოში და ამას ხელი შეუწყო სწორედ იმ გუნდმა, რომელიც დღევანდელ ხელისუფლებას მუდმივად ადანაშაულებს პრორუსულობაში და რუსეთის ინტერესების გატარებაში.

იმისთვის, რომ ნათლად დავინახოთ, როდის, როგორ დაიწყო, გააგრძელა და ბოლომდე მიიყვანა **"ნაციონალური მოძრაობის"** ხელისუფლებამ სეპარატისტული პოლიტიკის წესებით თამაში, ომის წინა, ომისა და შემდგომი დღეების მნიშვნელოვან მოვლენებსა და მოგონებებს გადავავლოთ თვალი. რაც შეეხება მოგონებებს, იმ პერიოდის სხვადასხვა ფრაგმენტს ხშირად იხსენებს ხოლმე თავად მიხეილ სააკაშვილი, თუმცა, მას ამ მოგონებების დასადასტურებლად არასოდეს მოუტანია რაიმე დოკუმენტი და მტკიცებულება. მისი მონათხრობები ხშირად ურთიერთგამომრიცხავია და ხშირად ისმის კითხვა – ყოფილი პრეზიდენტი სიმართლეს ამბობს თუ საკუთარი უსუსურობის და შეცდომების გასამართლებლად, მარტივად რომ ვთქვათ, ჭორაობს. საკუთარ მოგონებებში სააკაშვილი ხან დარწმუნებულია, რომ რუსეთი ომს არ დაიწყებს და ცხინვალში წარმატებული ოპერაციისთვის მას მხოლოდ კვირეები დასჭირდება, ხან იხსენებს, როგორ აფრთხილებდნენ მოსალოდნელი ომის შესახებ არა მხოლოდ მადალჩინოსანი დასავლელი მეგობრები, არამედ თვით ვლადიმერ პუტინი.

პირველი ნიშნები იმისა, რომ საქართველოს ხელისუფლება სეპარატისტული პოლიტიკის თამაშს იწყებდა, ჯერ კიდევ 2006 წელს გამოჩნდა – აფხაზეთის მიმართულებით – შეიცვალა ქართული პოლიტიკა კოდორის ხეობაში და იქ საქართველოს შეიარაღებული ძალები შევიდა, სამხრეთ ოსეთის მიმართულებით კი, შეიქმნა ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის დროებითი ადმინისტრაცია. შემდგომში მოვლენებმა აჩვენა, რომ ამ ორივე პროექტმა ხელი შეუწყო მოწინააღმდეგე მხარეს, იოლად მიეთვისებინა კოდორის ხეობა და ახალგორის რაიონი.

მიხეილ სააკაშვილის და საქართველოს იმჟამინდელი ხელისუფლების სხვა წარმომადგენელთა მონათხრობები, ვარაუდები, დაპირებები და ილუზიები:

ნიშნები იმისა, რომ მოსკოვი არ აპირებდა აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში დათმობებზე წასვლას, მიხეილ სააკაშვილს ჯერ კიდევ აჭარის მოვლენების დროს – 2004 წელს ჰქონდა. ამის შესახებ თავად სააკაშვილმა გაიხსენა 2013 წლის 7 აგვისტოს ტელეკომპანია **"რუსთავი2"**-თან საუბარში. კერძოდ, იგი აჭარის მოვლენების დროს პუტინთან საუბარს იხსენებს: **"მან (პუტინმა) მითხრა, რომ აჭარაზე დაგვეხმარებოდნენ, მაგრამ აფხაზეთსა და ცხინვალში იგივეს ვერ მივიღებდით."**

მიხეილ სააკაშვილს ბევრჯერ გაუხსენებია პუტინთან თუ სხვებთან საუბრები თუ მიმოწერა, თუმცა, როგორც უკვე აღინიშნა, არასოდეს მოუტანია დამადასტურებელი რაიმე ჩანაწერი ან დოკუმენტი. სახელმწიფოს მეთაურისგან ამგვარი ჭორაობა კი, როგორც მოგეხსენებათ, ძალიან უსუსური და არასერიოზულია.

ომის დაწყებამდე გაცილებით ადრე ძალიან მკაფიო ნიშნები არსებობდა იმისა, რომ რუსეთი აფხაზეთისა და სამაჩაბლოს წინააღმდეგ წამოწყებულ აგრესიას არავის აპატიებდა და ამის მიუხედავად, მიხეილ სააკაშვილი მაინც მიჰყვა სეპარატისტულ სცენარს. მიუხედავად ამ ნიშნებისა, სააკაშვილი უხვად გასცემდა დაპირებებს აფხაზეთში დაბრუნების თუ ცხინვალის რეჟიმის დამარცხების შესახებ.

2005 წლის 11 ნოემბერს, სოფელ კარალეთში, შიდა ქართლის განსაკუთრებულ დავალებათა სამმართველოს გახსნაზე მიხეილ სააკაშვილმა განაცხადა: **"ჩვენ ვართ ცხინვალის მახლობლად, ჩვენი ხეობების – დიდი და პატარა ლიახვის მახლობლად და მინდა, ვუთხრა ამ ხეობების მცხოვრებლებს, ნურაფრის ნუ შეგეშინდებათ, ქართული სახელმწიფო იცავს თქვენს უსაფრთხოებას. მინდა, გავაფრთხილო შეიარაღებული ბანდიტები, რომლებიც აქედან შორს არ არიან და სულ რამდენიმე კილომეტრში იმყოფებიან, ყველა თქვენგანი პასუხს აგებს. საქართველო ის აღარ არის, რაც იყო, ეს არის სახელმწიფო, რომელსაც შესწევს უნარი, დაიცვას თავისი მოქალაქეები."**

სად წავიდა სააკაშვილის ეს სიტყვები, დაპირება თუ მუქარა? რატომ ვერ მოახერხა მან შეესრულებინა 2005 წელს მიცემული პირობა და როგორ დაუშვა მან 2008 წლის აგვისტოს მოვლენები, თუ ასე კარგად იცოდა, სად იყვნენ **"შეიარაღებული ბანდიტები"** და რას აპირებდნენ ისინი?

დიმიტრი მედვედევის ციტატა 2006 წლის შესახებ: ჟურნალისტი ეკითხება მედვედევს: რას იტყვით ბატონი პუტინის განცხადებებზე იმის შესახებ, რომ ჯერ კიდევ 2006 წელს არსებობდა გეგმა და ამ გეგმის ფარგლებში ამზადებდნენ მეამბოხეებს სამხრეთ ოსეთში? მედვედევი პასუხობს: **"რა თქმა უნდა, შეიძლება, ვილაპარაკოთ იმაზე, რომ ჩვენ ვცდილობდით, ამ ორ ხალხს დავხმარებოდით, რომლებიც ჩვენ შესაბამისი თხოვნებით მოგვმართავდნენ."**

ფაქტობრივად, მედვედევი ადასტურებს, რომ 2006 წლიდან გარკვეული მზადყოფნა იყო...

რადიო **"ეხო კავკასს"** 2011 წლის 14 სექტემბერს გამოქვეყნებული ინფორმაციის მიხედვით, 2007 წლის 11 მაისს, ვანო მერაბიშვილი ესაუბრება რუსეთზე ჯონ ტეფტს, აშშ-ს იმჟამინდელ ელჩს საქართველოში, და ეყრდნობა რუსეთის უსაფრთხოების ფედერალური სამსახურის ხელმძღვანელის მოადგილის გენერალ ვიქტორ კომოგოროვის მონაცემებს. მას მერაბიშვილი საქართველოს შესახებ რუსულ პოლიტიკაში არსებული იდეების უმრავლესობის წყაროს უწოდებს. მერაბიშვილი ამბობს, რომ ომი რუსეთის ინტერესებში არ შედის, რუსეთი არ აპირებს აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობის აღიარებას და რეგიონში არსებული სტატუს-კვოს შენარჩუნებას ანიჭებს უპირატესობას. იგი ჩვენი მეგობარი, მოკავშირე ქვეყნის ელჩს არწმუნებს, რომ ამერიკელებმა არაფერი იციან, რუსი კომოგოროვი კი ეუბნება, რომ რუსეთს არ აინტერესებს სამხრეთ ოსეთი და მისი აღიარება.

მერაბიშვილი-ტეფტის ამბავი გრძელდება იმით, რომ სოხუმიდან ახალ ჩამოსული **აშშ**-ს ელჩი მერაბიშვილს სერგეი ბაღაფშთან საერთო ენის გამონახვას სთავაზობს იმ ფონზე, როცა 2006 წელს კოდორის ხეობაში ჯარის შეყვანის შემდეგ ქართულ და აფხაზურ მხარეებს შორის ყოველგვარი კონტაქტია გაწყვეტილი. საქართველოს მეგობარ ელჩს ბაღაფშისგან ჩამოაქვს ინფორმაცია, რომ იგი ურთიერთობების აღდგენისთვის მზადაა. და აი, **"საქართველოს ხერხემლის"** პასუხი ამ შეთავაზებაზე: **"ბაღაფშს სერიოზული პრობლემები აქვს ალკოჰოლთან დაკავშირებით, იგი ყოველდღე სვამს და ამის გამო მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა გაუარესებულია. ბაღაფში ფაქტობრივად, ჩამოსცილდა აფხაზეთის მმართველობას და ეს ფუნქცია ე.წ. ვიცე-პრეზიდენტ ალექსანდრ ანქვაბს გადააბარა."** (გაიხსენეთ სახალხო მოძრაობა **"სამეგრელოს"** თავმჯდომარის ბატონ ალექსანდრე ჭაჭიას იმდროინდელი სტატია, რომელშიც პოლიტიკოსი გვაფრთხილებდა, რომ ბაღაფშის ქართველებისადმი კეთილგანწყობის გამოუყენებლობა დანაშაულის ტოლფასიაო, რომელსაც ოდნავადაც არ ათხოვა ყური სააკაშვილის დაშნაკურმა ხელისუფლებამ). მერაბიშვილს რომ ეთქვა, რომ აფხაზეთის მართვა რომელიმე რუსის ხელში გადავიდა, კიდევ გასაგები იქნებოდა მისი უარი ელჩის შეთავაზებაზე, მაგრამ ხომ შეიძლებოდა, იგი ანქვაბთან საუბარს მაინც დათანხმებოდა (რომელიც ასევე უაღრესად კეთილგანწყობილი გახლდათ ქართველების მიმართ, რამაც შეიწირა კიდეც მისი პრეზიდენტობა). ეს აჩვენებს, თუ რამდენად მონუსხულები იყვნენ მაშინდელი ხელისუფლების პირველი პირები საქართველოს სასარგებლოდ რუსული პოლიტიკის ვითომდა გამოყენების შანსებით – მერაბიშვილი იმ მომენტში არც კი ცდილობდა, ამერიკელების აშკარა მხარდაჭერით აღედგინა ურთიერთობები ბაღაფშთან ან თუნდაც ანქვაბთან. ეს ძალიან სერიოზული მტკიცებულებაა იმისა, თუ რამდენად ეფექტურად მუშაობდნენ რუსები მერაბიშვილთან და სააკაშვილთან.

ომისწინა დაძაბულობის დასაწყისი

რატომ იყო **აშშ**-ს ელჩი 2007 წლის მაისში ჩასული სოხუმში? იმიტომ, რომ მაშინ ვითარება დაიძაბა – 2008 წლის აგვისტოში მომხდარის მცდელობა 2007 წლის გაზაფხულზეც იყო. მაშინ უკვე იგრძნობოდა ომის გარკვეული ვარიაციები და პროვოკაციები.

ცხინვალის რეგიონში კონფლიქტის გაჩაღება სეპარატისტთა ინტერესებში შედიოდა. გამორიცხული არ იყო, რომ ქართული მხარის პროვოკაციაში ჩათრევის მიზნით, განხორციელებულიყო ქართულ სოფლებზე შეტევა, რაც ამ აქტიურობას გრძელვადიან შეუქცევად პროცესში გადაიტანდა. ამის რეალური საშიშროება არსებობდა. ამ ყველაფერს პოლიტიკოსები ომამდე 1 წლით ადრე ამბობდნენ, ანუ საზოგადოებაში იგრძნობოდა, რომ სეპარატისტთა მხრიდან სამზადისი მიმდინარეობდა და ამას ვერ ან არ ხედავდა რუსეთისადმი სიძულვილით დაბრმავებული ხელისუფლება.

სააკაშვილის ნაბოდვარი პუტინის მუქარის შესახებ, 2007 წლის 14 სექტემბერს, მედვედევის დაბადების დღეზე მომხდარ ამბავთან დაკავშირებით

"2007-ში მედვედევის დაბადების დღეზე მიიყვანეს კონდოლიზა (რაისი), კარგად დალიეს და უცებ პუტინმა დაუწყო მას ლაპარაკი სრულიად გამჭვირვალედ, რომ საქართველოში უნდა იყოს ომი. კონდოლიზა წამოხტა და ტოვებდა სუფრას. ამას რუსები გვიყვებოდნენ. მაშინ მათ ეს სიგნალი მიიღეს და "კარგი, კარგიო", დაიხიეს უკან", – იხსენებს სააკაშვილი. მისივე თქმით, პუტინის ამ განცხადებას საჯარო რეაქცია არ მოჰყოლია. საინტერესოა, რის საფუძველზე ჰყვება ამ ყველაფერს მიხეილ სააკაშვილი? როცა ვსაუბრობთ იმაზე, რომ მიხეილ სააკაშვილმა გარკვეულ კითხვებზე პასუხი უნდა გასცეს, იგულისხმება ამგვარი მისი მოგონებებიც და უნდა გაირკვეს, ეს ნაამბობები ჭორია თუ მას, როგორც სახელმწიფოს მაშინდელ ხელმძღვანელს, აქვს გარკვეული მტკიცებულებები. ამ ფაქტში საგულისხმოა, რომ მიუხედავად იმისა, რომ 2007 წელს ამგვარი ინფორმაცია ჰქონდა, სააკაშვილი მაინც აჰყვა სეპარატისტულ თამაშს.

2007 წლის 28 ნოემბერს კი (როცა სააკაშვილმა თითქოს უკვე იცის, რომ პუტინი ომს აპირებს), თბილისის მერიაში დევნილებთან შეხვედრაზე სააკაშვილი ამბობს: **"უახლოეს მომავალში, მე ვგულისხმობ უახლოეს თვეებს, მე არ ვამბობ უახლოეს წლებს, ჩვენ საერთაშორისო თანამეგობრობასთან ერთად შევქმნით პირობებს, თქვენი ღირსეული და უსაფრთხო დაბრუნებისათვის აფხაზეთში".**

ამ განცხადებიდან სულ რაღაც ერთ კვირაში ანუ 4 დეკემბერს (ომამდე დარჩენილია 8 თვე) სააკაშვილი შემდეგ განცხადებას აკეთებს: **"ცხინვალის რეჟიმი არის მოყანყალებული, როგორც ამოსაღები კბილი და მე დარწმუნებული ვარ, რომ ეს არის მართლა კვირების ან თვეების საკითხი. ამაში აბსოლუტურად ვარ დარწმუნებული, ამაზე ზუსტი ინფორმაცია მაქვს".**

სააკაშვილის სიტყვებიდან ნათლად ჩანს, როგორ არის იგი აყოლილი სეპარატისტული პოლიტიკის ტალღას და თავს ვეღარ აკონტროლებს. შესაძლოა, დავუშვათ, რომ სააკაშვილის ეს სურვილები და დაპირებები იმ მომენტისთვის გულწრფელი იყო და ამ დაპირებებისა თავადაც სჯეროდა, მაგრამ მოგვიანებით იგი თავად განაცხადებს, რომ იცოდა, რომ რუსეთი ომს აპირებდა. კიდევ ერთი ნათელი მაგალითი იმისა, როგორ კარგად მოხერხდა სააკაშვილის ჩათრევა სეპარატისტთა თამაშში.

შეკითხვა სააკაშვილს: საიდან ჰქონდა მას ინფორმაცია, ვინ დააჯერა იგი, რომ ცხინვალის საკითხს რამდენიმე თვეში მოაგვარებდა, მაშინ როცა უკვე იცოდა, როგორ უთხრა პუტინმა რაისს, რომ საქართველოში ომს აპირებდა?

სააკაშვილი ჩვეული აპლომბით აცხადებს: **"ამრიგად, საუბარია მართლაც ძალიან მოკლე პერიოდზე – რუსებსაც წამოსცდათ რამდენჯერმე, რომ სამხრეთ ოსეთი მათ არ აინტერესებთ."**

საინტერესოა, სად და როდის წამოსცდათ რუსებს, რომ სამხრეთ ოსეთი არ აინტერესებდათ? 2008 წლის აგვისტომ კარგად ააჩვენა, რამდენად **"არ აინტერესებდა"** რუსეთს ცხინვალი. ეს კიდევ ერთი მტკიცებულებაა იმისა, როგორ მარიონეტივით მართავდნენ სეპარატისტები სააკაშვილს.

მაშინდელი პრესის ფურცლებიდან: **"მიხეილ სააკაშვილი ვლადიმერ პუტინთან 2008 წლის თებერვალში დსთ-ს სამიტზე შეხვედრას და რუსეთის პრეზიდენტის მოძალადეობრივ რიტორიკას იხსენებს: "მან კი (პუტინმა) დაიწყო საუბარი კოსოვოს შესახებ. გაგვაფრთხილა, კოსოვო მზადდებაო. როდესაც მე ვკითხე, ჩვენ ამასთან რა შუაში ვიყავით, მან გაუპატიურებაში სტაჟიანი მოძალადის ტერმინოლოგიით მიპასუხა, რომ ეს ჩვენთვის ძალიან მტკივნეული არ იქნება. პუტინმა გვითხრა, ეს დიდი გეოპოლიტიკური თამაშია და უბრალოდ, მოდუნდით და სიამოვნება მიიღეთო."**

საინტერესოა, როდისაა იგი მართალი, როცა ამბობს, რომ რამდენიმე თვეში დაიბრუნებს ცხინვალს და თუ მაშინ, როცა პუტინის ამ მუქარას იხსენებს? იგი მუდმივად ავრცელებდა ურთიერთსაწინააღმდეგო ინფორმაციას და რაც მთავარია, ისევ და ისევ ეკზალტირებული ადამიანის სიბრმავით მიჰყვებოდა სეპარატისტულ პოლიტიკას.

2008 წლის 26 თებერვალს სააკაშვილი ჩვეული ყელყელაობით აცხადებს: **"კოკოითი ბოლო 3 წლის განმავლობაში იძახის – აი, ახლა, შემდეგ კვირაში ცნობენ ჩვენს დამოუკიდებლობას. ბაღაფში ალაპარაკდა ამაზე და თქვა, მაქვს ზუსტი ინფორმაცია, უახლოეს კვირებში ცნობენ ჩვენს დამოუკიდებლობასო. არის ეხლა ეს ხალხი ცარიელ-ტარიელი. დარჩნენ მშრალზე ბაღაფშიც, კოკოითიც და სხვა სეპარატისტებიც. ვერავინ გაბედა, ვერ გაბედეს მათმა მფარველმა ძალებმა ამ საკითხის დაძვრაც კი და ეს არის საქართველოს დიდი საშინაო და საგარეო პოლიტიკური გამარჯვება".**

(გაგრძელება მე-7 გვერდზე)

გამოცხადებული ომის და გაქცეული "მთავარსარდლის" სირცხვილის ქრონიკა

(გაგრძელება მე-6 გვერდიდან)

ჩნდება რიტორიკული კითხვა: ვინ იყო მართალი – კოკოითი და ბადაფში თუ სააკაშვილი? ვის ჰქონდა ზუსტი ინფორმაცია? რუსეთი კოკოითისა და ბადაფშს უფრო მაღალი კატეგორიის პოლიტიკოსებად თვლიდა, ვიდრე სააკაშვილს, შესაბამისად, ისინი გაცილებით მეტად ინფორმირებული ჰყავდა და სულ ამაო იყო სააკაშვილის ასეთი თავდაჯერებული განცხადება, რომ სეპარატისტებს არაფერი გამოსდიოდათ.

ნინო ბურჯანაძე იხსენებს 2008 წლის გაზაფხულის მოვლენებს. იგი ამბობს, რომ მას დამის 01:00 საათზე თავდაცვის სამინისტროში შეხვედრაზე სოხუმამდე მისვლის გეგმა გააცნეს. ბურჯანაძე ასეთი გაადწყვეტილების მომხრეთა შორის ქვეყნის მაშინდელ პირველ პირებს – სააკაშვილს, მერაბიშვილს, ბოკერიას, ტყეშელაშვილს, ლომაიას, ვაშაძეს და კეზერაშვილს ასახელებს. როგორც ბურჯანაძემ აღნიშნა, ის და ბეჟუაშვილი ომის დაწყების კატეგორიული წინააღმდეგნი იყვნენ, გიგა ბოკერია კი ბოლო ხმაზე აღფრთოვანებული გაჰყვიროდა, **"კარტა ბელე" გვაქვს და აუცილებლად უნდა დავიწყოთ ომი აფხაზეთშიო"** (ამის თაობაზე **"ილორი"** ადრეც წერდა).

ბურჯანაძის თქმით, იქ შეკრებილთ ეგონათ, რომ აფხაზეთში სარკინიგზო ჯარების შეყვანა და აფხაზეთის რკინიგზის აღდგენა იყო სოხუმამდე მისვლის გეგმა.

ბურჯანაძე აგრძელებს: **"ამას ესწრებოდა გენერალური შტაბის შემადგენლობა, მაგრამ სოხუმს იქით დანარჩენი აფხაზეთი სააკაშვილს და მის მეგობრებს არ აინტერესებდათ. სწორედ მაშინ შედგა სატელეფონო საუბარი სააკაშვილსა და პუტინს შორის. ამ სატელეფონო საუბარს ვესწრებოდი და ის ჩემი ინიციატივით შედგა. სააკაშვილმა გაიხსენა კიდეც, რომ სწორედ მაშინ უთხრა პუტინმა, რომ თუ შენ ომს დაიწყებ, იქ დგანან ჩვენი სამშვიდობო ძალები, დავამარცხებ შენს ჯარს, ვცნობ აფხაზეთს და სამხრეთ ოსეთს და დაგიშლი ქვეყანასო".**

ანუ, როგორც ნინო ბურჯანაძე იხსენებს, სააკაშვილი პირიდაპირ პუტინისგან იყო გაფრთხილებული. ამ შემთხვევიდან სულ მალე იწყება ომი და ამ გაფრთხილების მიუხედავად, სააკაშვილი ასეთ ავანტურისტულ ნაბიჯს დგამს.

სააკაშვილი ომისწინა პერიოდის მოგონებისას ერთ საინტერესო ამბავზეც საუბრობს – თუ როგორ შესთავაზა მან პუტინს საქართველოს მიერ აშშ-სთან მეგობრობაზე და **ნატო**-ზე უარის თქმა. კერძოდ, პრეზიდენტი სააკაშვილი ვლადიმერ პუტინს ტერიტორიების სანაცვლოდ **ნატო**-ში გაწევრიანებაზე და აშშ-სთან მეგობრობაზე უარის თქმას ჰპირდება.

თუმცა, მისივე ნაბოდვარის მიხედვით, პუტინმა დაუფიქრებლად უპასუხა, რომ საქართველოს ტერიტორიებს მის გეოპოლიტიკურ ორიენტაციაზე ვერ გაცვლის. სააკაშვილის ინფორმაციით, ამის შემდეგ რუსეთმა აფხაზეთში 26 ეშელონი შეიყვანა, ონჩამჩირეში, გალსა და ჯავაში კი ბაზების მშენებლობა დაიწყო. მისი თქმით, საქართველომ ეუთოს მექანიზმის ჩართვა მოითხოვა, რაც რუსეთმა დაბლოკა.

აქ კი უფლებას ვიტოვებთ ეჭვის ქვეშ დავაყენოთ ცრუპენტელა სააკაშვილის მონათხრობი და ვკითხოთ მას. თუ რა პირობებში და როდის უთხრა სააკაშვილმა პუტინს ეს – ტელეფონით ელაპარაკა, წერილით მიმართა თუ პირად საუბარში შეპირდა პუტინს, რომ საქართველო **ნატო**-ში გაწევრიანებაზე უარს იტყოდა და შეაჩერებდა მეგობრობას აშშ-სთან?

სააკაშვილი კი კვლავ აგრძელებდა ბოდვას: მან პუტინისადმი მიწერილი წერილიც გაიხსენა (ანუ, უნდა არსებობდეს წერილი ან მისი ასლი). სააკაშვილმა აღნიშნა, რომ პუტინს მოლაპარაკება შესთავაზა, თუმცა, პასუხად მისგან უარი მიიღო. ასევე, საინტერესოა, რა ფორმით მიიღო უარი.

სააკაშვილი კი კვლავ **"აბოლებს"** ევროამერიკელ მოკავშირეებს და ქართველ ხალხს: **"2008 წლის მაისში ჩვენი უპილოტო საფრენი აპარატი ჩამოაგდეს, რის შემდეგაც რკინიგზელების მეორე ბატალიონი შევიდა აფხაზეთში. ამის შემდეგ მივწერე მედვედევს წერილი, (ასევე საინტერესოა, სად არის ეს წერილი!) რომელიც, ვფიქრობ, ისტორიკოსების კამათის საგანი გახდება. ჩვენ მათ ლტოლვილების შეყვანის სანაცვლოდ კოდორის ჩრდილოეთით გადანაცვლება შევთავაზეთ. ლტოლვილები შევიდოდნენ საერთაშორისო ადმინისტრაციის ქვეშ. სამაგიეროდ დავპირდი, რომ დავუკანონებდით ეკონომიკურ ინტერესებს ბიჭვინთაში, გაგრასა და სოხუმში – სოხუმის აეროპორტს, რკინიგზას, ანუ დე ფაქტო ვაკანონებდით მათ ინტერესებს საქართველოს მნიშვნელოვან ნაწილში. მათ უარი განაცხადეს და მედვედევმა მომწერა (ანუ უნდა არსებობდეს მედვედევის საპასუხო წერილიც), დაივიწყეთ ლტოლვილები და ტერიტორიაო".**

ანუ სააკაშვილი მზად იყო, რუსეთის მაქსიმალური ინტერესები გაეთვალისწინებინა. თუმცა, საჭიროა ამ ყველაფრის მტკიცებულებები.

2008 წლის 6 ივლისი: სააკაშვილის ნაამბობის მიხედვით, მედვედევი კარგა ხანს ემალებოდა, მის ტელეფონს კი მშობელივით პუტინი პასუხობდა. "პირველად, როცა პუტინმა აიღო ყურმილი, მკითხა, მედვედევს რას ურეკავ, ჩემთან არ გაქვს საქმეო? მეორედ რომ დავურეკე, საერთაშორისო თანამეგობრობის კრიტიკულ განცხადებებზე მივუთითე. პუტინისგან წამოვიდა ირონიული პასუხი – "უჰ, როგორ დაგმეს რუსეთიო!" **ბუშის პრესმდივნის განცხადებაც წავუკითხე. პუტინმა თქვა, ვფიქრობ, ბევრი ქადალდი დაგროვდა, ეგ ქადალდები დაახვიონ და ერთ ადგილზე გაიკეთონო. ამ საუბრის შესახებ მეორე დღეს ბუშმა ყველაფერი იცოდა, რადგან აღმოჩნდა, რომ ამერიკელები ყველაფერს უსმენდნენ."**

ანუ სააკაშვილის თქმით, მან ორჯერ სცადა მედვედევთან დარეკვა. ეს თავისთავად საინტერესო იყო და როცა ომის რეალიების გამოძიებაზე ე.წ. **"დავითაიას კომისია"** მუშაობდა, ეს კითხვები უნდა დაესვათ, რაც არ იქნა გაკეთებული.

დასავლელი **"მეგობრები"** იხსენებენ, რომ შესაძლო ომის ან პროვოკაციის შესახებ პირადად მიხეილ სააკაშვილს საქართველოს პარტნიორებიც აფრთხილებდნენ, მათი საშუალებით საქართველოს პრეზიდენტამდე მნიშვნელოვანი სიგნალები მიდიოდა, თუმცა, სააკაშვილის ქმედებებში ვერც ამ სიგნალებმა შეიტანა კორექტივები და იგი ჯიუტად აგრძელებდა სვლას სეპარატისტული პოლიტიკის გზაზე, რომელიც საბოლოოდ მივიდა ომამდე, ოკუპაციამდე და აღიარებამდე.

აშშ-ს იმჟამინდელი სახელმწიფო მდივანი კონდოლიზა რაისი მემუარებში წერს: **"მიხეილ სააკაშვილმა რუსეთს ომის დაწყების პროვოკაციაში ჩათრევის საშუალება მისცა".** რაისი იხსენებს, რომ არწმუნებდა სააკაშვილს, ძალის გამოუყენებლობის შეთანხმება გაეფორმებინა, მაგრამ საქართველოს პრეზიდენტმა ამაზე უარი განაცხადა.

"ბატონო პრეზიდენტო, რაც არ უნდა გააკეთოთ, არ მისცეთ რუსეთს თქვენი პროვოცირების საშუალება. გახსოვთ, პრეზიდენტმა ბუშმა თქვა, რომ მოსკოვი ეცდება, რამე სულელური გაგაკეთებინოთ. არავინ მოვა თქვენს დასახმარებლად და თქვენ წააგებთ", – ეუბნება რაისი სააკაშვილს ომამდე – **იგი თბილისში ივლისში იყო ჩამოსული. რაისი აგრძელებს: "ამგვარად სააკაშვილი მოკავშირეებს ნატოში უფრო დაშორდა".**

რაისი ასევე, აღწერს შეხვედრას სააკაშვილთან ომის წინ: **"ის ამაყი და იმპულსურია, ამიტომ ჩვენ ყველა ვშიშობდით, რომ მას შეეძლო, მოსკოვისთვის ძალის გამოყენების პროვოცირების საშუალება მიეცა. მან თავად წარმატებულად განახორციელა პროვოკაცია ქვეყნის სხვა ნაწილში – აჭარაში და სარგებელიც მიიღო, როცა შიდა და საერთაშორისო ზეწოლით ამ რეგიონის რეინტეგრაცია მოხდა. ვშიშობდით, რომ ეს პრეცედენტი აფიქრებინებდა სააკაშვილს, რომ იგივე გაუვიდოდა პუტინის საყვარელი სოჭის სიახლოვეს."**

ანუ პარტნიორები აფრთხილებდნენ სააკაშვილს, არ ეთამაშა რუსული თამაში. სააკაშვილი კი იხსენებს: **"კონდოლიზა რაისი იძახოდა, რა ომი, დაივიწყეთ ეს, რადგან რუსები ამას არ იზამენო. შტაინმაიერმა კი პირიქით გვითხრა, რომ იზამდნენ. მან გვითხრა: ახლა ისინი გააგრძელებენ პროვოკაციას, მერე რაღაც ეტაპზე მოგიხდებათ მათი სამშვიდობო სტატუსის გაუქმება, მერე სულ უფრო მეტად გესვრიან, გააძლიერებენ თავის ჯარებს და რაღაც მომენტში თქვენ ვალდებული იქნებით, უპასუხოთ".**

ანუ სააკაშვილმა თავის განცხადებებში შტაინმაიერიც ჩართო და ურიგო არ იქნება, როდესმე ბატონ შტაინმაიერს დავუსვათ კითხვა – რამდენად შეესაბამება სიმართლეს ინფორმაცია სააკაშვილისა და მისი საუბრის შესახებ.

ამრიგად, სააკაშვილმა ჩვეული პროვოკაციული წიაღსვლებით ჩართო მის სიბინძურეში შტაინმაიერი: **"დასავლეთიდან პირველმა შტაინმაიერმა გვითხრა, რომ ომი იქნებოდა. ამის შესახებ შტაინმაიერმა საქართველოს მთავრობის წევრებს ომის დაწყებამდე რამდენიმე დღით ადრე ბათუმის ერთ-ერთ სასტუმროში განუცხადა. აგვისტოს დასაწყისში, როცა დაიძაბა სიტუაცია, ჩამოვიდა შტაინმაიერი – გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრი. ეს იყო პირველი ოფიციალური პირი, რომელმაც დასავლეთიდან გვითხრა, რომ ომი იქნება. გეგმა შემოგვთავაზა, რომელიც იყო ორაზროვანი და მიუღებელი, თუმცა, იმდენად გაბრაზებული ვიყავით, რამეზე რომ ჩაგვეჭიდა ხელი, ამაზეც ვთანხმდებოდით. ჩავიდა გალში და შეხვდა ბადაფშს. მანამდე იყო მოსკოვში და შემდეგ ჩამოვიდა ბათუმში. თემურ იაკობაშვილმა უთხრა, დაგვეხმარებოდა თუ არა დასავლეთი ახალი სამშვიდობო ფორმატის მიღებაში. ამაზე შტაინმაიერმა იაკობაშვილს უთხრა: "რა ახალი სამშვიდობო ფორმატი, ბიჭებო, მალე აქ თქვენ ომი გექნებათ".** (ფაქტია, რომ შტაინმაიერი საქართველოში ვიზიტით 2008 წლის 17-18 ივლისს იმყოფებოდა) სააკაშვილი მას საჯაროდ ბევრ პასუხისმგებლობას აკისრებს. საჭირო იყო ამ ყველაფრის გადამოწმება, რაც აშკარად ტენდენციურმა დავითაიას (თვალებში რომ შესციცინებდა სააკაშვილს და ვერ გაიგებდი, ვინ აწარმოებდა დაკითხვას და ვინ იყო დასაკითხი) კომისიამ შეგნებულად არ გააკეთა.

ბატონი ალექსანდრე ჭაჭია და სხვა საღად მოაზროვნე პოლიტიკოსები კი გვაფრთხილებდნენ, რომ **"ცხინვალის რეგიონში საომარი მოქმედებების დაწყება საფრთხეს შეუქმნის მთელი საქართველოს სტაბილურობას. აქ საერთაშორისო დონის გზები გადის..."**

ამიტომ, ქართულ მხარეს ჭკუა უნდა ეხმარა და დაფიქრებულიყო, თამაშობდა თუ არა სეპარატისტულ თამაშს, როცა რაღაც პროვოკაციას პასუხობდა ან პროვოკაციას თვითონ იწვევდა.

ანუ ომის დაწყებამდე 7 დღით ადრე ნათელი იყო, რომ რუსეთის ჯარი უკვე შემოყვანილია, სააკაშვილი კი აცხადებდა, რომ ჯარი 7 აგვისტოს შემოვიდა. ჯარის შემოყვანა არ უნდა ყოფილიყო საბაბი სააკაშვილისთვის, გაემართლებინა თავისი მოქმედებები. აშკარად ჩანს, რომ სეპარატისტები პროვოცირებას ახდენდნენ და თავისას 7 აგვისტოს მიაღწიეს.

შეგახსენებთ ნაწყვეტს პოლონეთის იმჟამინდელი პრეზიდენტის, სააკაშვილის მეგობრის ლეხ კაჩინსკის თანაშემწის ინტერვიუდან: **"7 აგვისტოს ღამეს დარეკა საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა. სააკაშვილს არ ჰქონდა კარგი ახალი ამბები. მან უთხრა ჩვენს პრეზიდენტს, რომ ქართული სოფლები იბომბებოდა და რუსები რაღაც დიდი ოპერაციისთვის ემზადებოდნენ. კაჩინსკიმ უპასუხა, რომ რაიმე სისულელე არ ჩაედინა და პროვოკაციას არ წამოეგებოდა".** ვაგრძელებთ კაჩინსკის თანაშემწის სიტყვებს: **"7 აგვისტოს ღამეს სააკაშვილმა სამხედროებისადმი სამი ბრძანება გასცა – შეეჩერებინათ ცხინვალისკენ მიმავალი რუსული ტანკები, საცეცხლე წერტილების გაუვნებელყოფა, საიდანაც ქართული სოფლები იცხრილებოდა, მინიმუმამდე შეემცირებინათ დანაკარგები სამოქალაქო მოსახლეობაში. საქართველოს თავდაცვის მინისტრი დავით კეზერაშვილი ტელეფონით დაუკავშირდა გენერალ კულახმეტოვს და აცნობა, რომ საქართველომ სამხედრო ოპერაცია დაიწყო. საქართველოს თავდაცვის მინისტრმა თავის კაბინეტში მიიწვია რამდენიმე ჟურნალისტი და ისინი ამ საუბრის მოწმენი იყვნენ. "ყველაფერი ნათელია, კარგი, თქვენი ნებაა", – უპასუხა კულახმეტოვმა".**

სააკაშვილის მიერ მოქრთამული ამერიკელი **"მეგობარი"** მეთიუ ბრაიზა იხსენებდა: **"7 აგვისტოს, როცა საქართველოს მთავრობა დარწმუნდა, რომ რუსეთს ჯარი შემოჰყავდა, ქართულმა შენაერთებმა უკან არ დაიხიეს. არადა, ვურჩევდით, რომ უკან დაეხიათ და მიეღოთ თავდაცვითი პოზიციები. ამ შემთხვევაში მთელ მსოფლიოს ეცოდინებოდა, რომ რუსეთი საქართველოს დაესხა თავს. დიდი შეცდომა კი ის იყო, რომ მას შემდეგ, რაც რუსებმა და ოსებმა ქართული სოფლების დაბომბვა დაიწყეს, საქართველომ მათ ცეცხლით უპასუხა. ასე რომ არ ექნათ, ქვეყანა ომის შემდგომ პოლიტიკურ ომს მოიგებდა. ქართველებს დაავიწყდათ, რომ ომი პოლიტიკის გაგრძელებაა. მათ ასევე, იფიქრეს, რომ საომარ ოპერაციებში მოიგებდნენ."**

მოკლედ, ბრაიზამ ამ სიტყვებით უდანოდ გამოჭრა ყელი სააკაშვილს.

მაწყველი კვლავ კაჩინსკის თანაშემწის მოგონებებიდან: – **"კაჩინსკის სურდა, რომ თბილისისთვის მხარი დასავლეთის ქვეყნებს დაეჭირათ. ამისთვის იგი ნიკოლა სარკოზის დარწმუნებას შეეცადა. ეს დიდი წარმატება იქნებოდა, რადგან 2008 წლის აგვისტოში ევროკავშირის პრეზიდენტობა ფრანგთა ხელთ იყო. 10 აგვისტოს ესაუბრნენ კიდეც ტელეფონით ერთმანეთს, თუმცა, მალევე გამოჩნდა, რომ საკმაოდ განსხვავებული პოზიციები ჰქონდათ. პოლონეთის პრეზიდენტი ყურმილში ამბობდა, რომ ქართველები უნდა დავიცვათო. ამტკიცებდა, რომ კავშირი** (სავარაუდოდ, იგულისხმება ევროკავშირი) **ვალდებულია, კავკასიაში გააგზავნოს სამშვიდობო ძალები. თუმცა, სარკოზიმ მტკიცედ უპასუხა, რომ ამ ყველაფერში სააკაშვილია დამნაშავე, რადგან მან დაიწყო სროლა. კაჩინსკი შეეპასუხა, რომ ახლა შესაფერისი დრო არ არის იმის გამოსარკვევად, თუ ვისი ბრალია ყოველივე ეს. სარკოზის თითქოს, არც ესმოდა. "ნუ ნერვიულობ, მე თვითონ მოვაგვარებ ყველაფერს. სააკაშვილი დამნაშავეა, მან გამოიწვია რუსეთის ამგვარი რეაქცია". კაჩინსკისთან საუბარში გაისმა რამდენიმე გაურკვეველი სიტყვა სააკაშვილის მისამართით. იგი ამტკიცებდა, რომ სააკაშვილმა მისცა უფლება, საქართველო პროვოკაციაში ჩაეთრიათ".**

ამის შემდეგ მართლაც თავხედობაა იმის მტკიცება, რომ 2008 წლის აგვისტოს ომი რუსებმა წამოიწყეს და არა სააკაშვილმა და მისმა ბანდამ!

მნიშვნელოვანი ეპიზოდი ექვსპუნქტიანი გეგმის შექმნის ისტორიიდან, სადაც ჩანს, თუ როგორ ვერ მოხვდა ამ დოკუმენტში საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის შესახებ პოზიცია. ალბათ, არ არის ძნელი წარმოსადგენი, დღევანდელ ხელისუფლებას ამგვარი ნაბიჯი რომ გადაედგა, რა ქარცეცხლი დაატყდებოდა მას **"ნაციონალური მოძრაობის"** მხრიდან.

ისევ კაჩინსკის თანაშემწის მოგონებებიდან: **"ლეხ კაჩინსკის არასასიამოვნო ინფორმაცია მიაწოდეს: სარკოზის 6 პუნქტიან სამშვიდობო გეგმაში საუბარი არ იყო საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობაზე. პოლონეთის პრეზიდენტმა განაცხადა, რომ ეს საქართველოსთვის აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ფორმალურ ჩამორთმევას გულისხმობდა. გადაწყვიტა, სააკაშვილისთვის ეთქვა, რომ არ დათანხმებოდა ამგვარ შეთანხმებას".**

ამასთან დაკავშირებით კაჩინსკის თანაშემწე შემდეგ ეპიზოდს იხსენებს:

"...მოულოდნელად, დარბაზში, სადაც აღმოსავლეთ ევროპის სახელმწიფოების მეთაურები იმყოფებოდნენ, შემოვიდა საფრანგეთის პრეზიდენტი, ყველას მიესალმა, მაგრამ არ დამჯდარა, კაჩინსკისთან შეჩერდა, რომელსაც პოლონურად უთხრა: "თქვი "დიახ. დიახ". კაჩინსკიმ კი თქვა: "არა, არა". სარკოზი ტაიფუნივით აბობოქრდა. "უკვე უნდა გავფრინდე", – თქვა მან გასვლისას. პოლონეთის პრეზიდენტი მიხვდა, რომ ხელშეკრულება, რომელშიც საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის გარანტიები არ იყო ჩადებული, ხელმოწერილია. "ეს ცუდად დამთავრდება", – უთხრა სააკაშვილს. "ნუ ნერვიულობ", – სააკაშვილი ცდილობდა, დაემშვიდებინა იგი, უხსნიდა, რომ სხვა გამოსავალი არ ჰქონდა."

(გაგრძელება მე-8 გვერდზე)

გამოცხადებული ომის და გაქცეული "მთავარსარდლის" სირცხვილის ქრონიკა

(გაგრძელება მე-7 გვერდიდან)

2014 წლის 16 მარტს სენატორი ჯონ მაკკეინი უკრაინასა და საქართველოს შორის პარალელებზე საუბრისას სატელევიზიო ეთერში ამბობს: **"საქართველოს შემთხვევაში შეცდომა სააკაშვილმა დაუშვა, როცა მან კონფლიქტი დაიწყო. ახლა ის წარმოუდგენელ, ძალიან რთულ ვითარებაშია".**

ესეც გახლავთ კიდევ ერთი მნიშვნელოვანი დოკუმენტი, რომელიც ნათლად აჩვენებს იმჟამინდელი მთავარსარდლის დაბნეულობას, მათ შორის საქართველოს ტერიტორიაზე რუსული ჯარების შემოსვლის თარიღთან დაკავშირებით.

ესე ამბავი ჰალსტუხით ვახშმობისა

საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა 2008 წლის 9 აგვისტოს გამოსცა ბრძანებულება საქართველოს მთელ ტერიტორიაზე საომარი მოქმედებების და სრული მობილიზაციის გამოცხადების შესახებ. ბრძანებულების ტექსტი პრეზიდენტის საიტზე გამოქვეყნდა 9 აგვისტოს 17:26 საათზე. ანუ ამ დროისთვის უკვე მომხდარია 7 და 8 აგვისტოს მოვლენები, დგას 9 აგვისტო და საღამოს 6-ის ნახევარზეც კი ვერ ხვდება სააკაშვილი, რომ სეპარატისტები ატყუებდნენ.

ბრძანებულებაში წერია: **"მიუხედავად საქართველოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებისა, ცალმხრივად შეეწყვიტა ცეცხლი და შეთავაზებული წინადადებისა, გამართულიყო სამშვიდობო მოლაპარაკებები, სეპარატისტების მიერ – 8 აგვისტოს განხორციელდა მასირებული შეტევა მშვიდობიანი მოსახლეობის მისამართით. საქართველოს ხელისუფლების მიერ გამოყენებული იქნა აუცილებელი და ადეკვატური ზომები შეიარაღებული თავდასხმის აღსაკვეთად. სეპარატისტების მიერ საქართველოს ტერიტორიაზე განხორციელებული ქმედებები აქტიურად იქნა მხარდაჭერილი რუსეთის ფედერაციის მიერ, კერძოდ 8 აგვისტოს რუსეთის ფედერაციის მხრიდან როკის გვირაბის გავლით საქართველოში შემოვიდა ასეულობით სამხედრო პირი და სამხედრო ტექნიკა."**

ანუ სააკაშვილს იმ დროისთვის ჯერ კიდევ აქვს რუსეთის იმედი და ერთგვარად ინდობს კიდეც – 9 აგვისტოს საღამოს ჯერ კიდევ არ არსებობს ლეგენდა, რომ რუსული ჯარი 7 აგვისტოს შემოვიდა საქართველოში. ეს არ არის ინტერვიუ, ეს პრეზიდენტის ბრძანებულება – სახელმწიფო დოკუმენტია. რუსეთს სააკაშვილი იმდენად ჰყავდა გაბრუებული, რომ მას 9 აგვისტოს კიდევ აქვს იმედი, რომ რუსეთი უთმობს ცხინვალს.

მაგრამ როცა დარწმუნდა საკუთარი იმედების ამაოებაში, სწორედ მაშინ ივახშმა სააკაშვილმა საკუთარი ჰალსტუხით, რაც მისი ზოგადი არაადექვატურობისა და ლაჩრობის აშკარა ნიმუში გახლდათ, თუმცა მისი ლაჩრობის კულმინაციად სავსებით **"დამსახურებულად"** მიიჩნევა გორის ცნობილი გაქცევა, როცა სიკვდილის შიშით ატანილ გაქცეულ **"მხედართმთავარს"** თავისი დაცვა ძლივს დაეწია და ცხვირით ახვნევინა მიწა!

ისევ ტერიტორული მთლიანობის საკითხი და როგორ ამოვარდა შეთანხმებიდან აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის სტატუსის საკითხი

საქართველოს პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის განცხადებით, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის საკითხთან დაკავშირებით კომპრომისები არ იქნება. ამის შესახებ პრეზიდენტმა 12 აგვისტოს საფრანგეთის პრეზიდენტთან შეხვედრის დასრულების შემდეგ განაცხადა.

"მნიშვნელოვანია, ყველამ გაიგოს, რომ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის საკითხთან დაკავშირებით კომპრომისზე არ წავალ. რაც შეეხება ე.წ. სამხრეთ ოსეთის და აფხაზეთის სტატუსს, ეს საკითხები განხილვას არ საჭიროებს." მისი ეს ნათქვამი ეხება ექვსპუნქტიანი შეთანხმების პუნქტს, რომელიც მოიცავდა საერთაშორისო მსჯელობის დაწყებას სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის სტატუსის განსაზღვრისა და მათი უსაფრთხოების დაცვის გარანტიების თაობაზე.

ექვსპუნქტიანმა საერთაშორისო გეგმამ ქართულ მხარესთან კონსულტაციების შემდეგ მნიშვნელოვანი კორექტირება განიცადა. როგორც საქართველოს უშიშროების საბჭოს მდივანმა ალექსანდრე ლომაიამ განაცხადა, ყველაზე დიდი რედაქციული ხასიათის ცვლილება მეექვსე პუნქტში შევიდა, რომელიც ე.წ. სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის სტატუსის განსაზღვრას შეეხებოდა. **"ამ რეგიონების სტატუსი განხილვას არ ექვემდებარება. ეს ჩვენი პოზიცია იყო, რომლის გათვალისწინებითაც აღნიშნული პუნქტი შემდეგნაირად ჩამოყალიბდა: "უზრუნველყოფილი იყოს ამ ორი რეგიონისთვის საერთაშორისო გარანტიები სტაბილურობისა და უსაფრთხოებისათვის."**

საფრანგეთის პრეზიდენტის, ნიკოლა სარკოზის განცხადებით: **"ექვსპუნქტიანი დოკუმენტიდან, რომელიც მან მოსკოვიდან თბილისში ჩამოიტანა, ქართული მხარის კატეგორიული მოთხოვნის შედეგად ამოღებული იქნა პუნქტი, რომელიც ე.წ. სამხრეთ ოსეთის და აფხაზეთის რეგიონებისათვის პოლიტიკური სტატუსის განსაზღვრას შეეხებოდა."**

ანუ იმას, რომ ამ პუნქტიდან ეს ფრაგმენტი ამოღებული იქნა, ადასტურებენ სარკოზიც, ლომაიაც და სააკაშვილიც. ამის საფუძველზე მომავალში რუსეთმა განაცხადა, რომ საქართველო კიდევ გეგმავდა გარკვეულ აგრესიულ ღონისძიებებს და ამიტომ იძულებული იყო, ეღიარებინა აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობა. ისმის კითხვა, ვინ ურჩია სააკაშვილს, დოკუმენტიდან სტატუსის საერთაშორისო განხილვის შესახებ პოზიცია ამოღებულიყო? ვინც მას ეს რჩევა მისცა, აშკარად სეპარატისტულ პოლიტიკას თამაშობდა, რადგან ამით ფაქტობრივად, გზა გაუხსნა რუსეთს აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობის აღიარებისკენ.

რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრი სერგეი ლავროვი აღნიშნავდა: **"დამოუკიდებლობის აღიარება მიზანი არ ყოფილა, მაგრამ თბილისიდან რევანშისტული სიგნალები გაისმოდა. სააკაშვილმა უარი განაცხადა წინადადებაზე, რომელიც რუსეთის და საფრანგეთის პრეზიდენტებმა შესთავაზეს – დაეცვა ზავი და დაწყებულიყო საერთაშორისო დისკუსიები სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის სტატუსის განსაზღვრის შესახებ. ჩვენ მზად ვიყავით, სტატუსი საერთაშორისო კონტექსტში განგვეხილა. სააკაშვილმა თქვა, არანაირი განხილვები. მისმა მომდევნო რევანშისტულმა განცხადებებმა მიგვიყვანეს დასკვნამდე, რომ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ხალხების უსაფრთხოებისა უზრუნველსაყოფად და გადასარჩენად დამოუკიდებლობის აღიარების გარდა სხვა გზა არ არსებობდა."**

ანუ უკვე 12 აგვისტოა და სააკაშვილი ჯერ კიდევ თამაშობს სეპარატისტულ თამაშს. მიუხედავად იმისა, რომ შეთანხმების ტექსტი არსებითად შეიცვალა, სააკაშვილი არ მალავდა ამ დოკუმენტის მიმართ კეთილგანწყობას. იგი ამ შეთანხმებას **"გადარჩენის ოპერაციას"** უწოდებდა და სარკოზის მადლიერიც იყო.

ამ ფაქტების რიგი ადასტურებს, რომ ამ ომის თავიდან აცილება გაცილებით უფრო იოლი და შესაძლებელი იყო, ვიდრე ომის დაშვება. სამწუხაროდ, საქართველოს მაშინდელმა ხელისუფლებამ არაფერი გააკეთა იმისთვის, რომ ომი თავიდან აეცილებინა და ყველაფერი გააკეთა, რომ სეპარატისტული სცენარით ომი დაეშვა.

ასე განხორციელდა ყველაზე უარესი სცენარი საქართველოსთვის 2008 წელს და ეს შედეგი გამოიღო რუსულ პოლიტიკას აწყობილმა ნაბიჯებმა **"ნაციონალური მოძრაობის"** ხელისუფლების მხრიდან. ყველა ეს ციტატა და ფაქტი მოტანილი მაქვს საჯარო დოკუმენტებიდან. ამ წერილში შესაძლოა, არ არის ამ ნაბიჯების სრული ჩამონათვალი, რადგან მათი ყველა ქმედება ალბათ, არც გამხდარა საჯარო. თუმცა, ცნობილი ფაქტებიც საკმარისია სიმართლის დასანახად. ამდენად, როდესაც ამ ნაბიჯების შემოქმედები – **"ნაციონალური მოძრაობის"** წარმომადგენლები ამჟამინდელ ხელისუფლებას, ჩვეული უტიფრობით, პრორუსულობაში ადანაშაულებენ, თუმცა სათანადო მტკიცებულებები არ გააჩნიათ.

ამრიგად, ჩვენთვის სამარცხვინოდ დამთავრებული 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ იყო **"რუსებზე ბრწყინვალე გამარჯვების"** აღლუმი რუსთაველის გამზირზე, ტრიბუნაზე ალშვანგის ნოქარივით გამოჯგიმული პრეზიდენტი სააკაშვილი და გატუტუცებული ქართველი ხალხი...

ასე რომ, ჩვენ ვერასოდეს ვერ დავადგენთ თუ ვინ იყო მიხეილ სააკაშვილი – თავქარქაშა, მექალთანე, გაუნათლებელი და სულელი დაშნაკი თუ ბრძენი ნაძირალა და საქართველოს მტრების მიერ დაქირავებული მოღალატე, რომელმაც შეგნებულად ძირს დასცა და ლაფში ამოთხვარა ჩვენი ქვეყნის საბრძოლო დიდება და მთელი დუნიას სასაცილოდ გაგვხადა ერთ დროს უძლეველი ქართველი ერი...

იქნებ ჰააგის ტრიბუნალმა მაინც დაადგინოს!

რ. შალამბერიძე

წერილში გამოყენებულია ფრაგმენტები ქართველ პოლიტიკოსთა მოგონებებიდან

შარლ ბოდლერის ნაწარმოებები მეგრულ ენაზე

თარგმანი გიორგი ხულორდავასი

ურცხო

– სალამუსობათ გოქუნილ კოჩი, ქომიწი, მი გიცორც არძაშ უმოსო: დიდა, მუმა, და დო ვარ ჯიმა?

– მა ვაპუნც დიდა, ვართ მუმა, ვართ და დო ჯიმა...

– მორო მაცალეფი?

– თე ზიტყვაშ არზი ამდღარშახ უჩინებუ რე ჩქიმო...

– ვანე ოდაბადე?

– მა ვართ თინა მიჩქ ნამ განს იდვალუაფგ თინან...

– სასვება?

– მა ზათ ვორექ ქიბპოროფუე სასვება,

ღორონთიერი დო უღურალი ქიცუაფ თინა-და...

– ორქო? - მა ბჯოგუ ორქო, თეშ, მუჭოთ თქვა რჯოგგნა ღორონთი.

– მორო მუ გიცორც ბოლო-ბოლო სი თოისერი ურცხო კოჩი?

– მუნაფეფი მიცორც... ეჰე, ცაშ ოწონდეს

მენჩურუნან თი სარკო მუნაფეფი...

დედიბიში რზაფა

ღვალეფაკოჭირაკილი დედიბიქ თოთმაცი ბაღანაშ ძირაფაშვანს გოხვიჩონდგ. თე მასქვამია შურდგუმას, მუცალო უჩხენჭოს, უკიბირეს დო უთუმალეს,

არძა დუც გალუაფუდგ დო უფერუანდგ.

თიქით მიანჭგ ბაღანას მაფერაფუშა, მარა ანთხებული ჩქიჩქუქ ხეშე გაგწუზგირტგ რჩინუს, შქურინაფილქ დო ერჩხვიალაფირქ.

თიმწკგმა ღალუ დედიბიქ კინე დაართგ მუში ირიათონული ხვათახვალობას, ნგარა ქოდაჭყგ კუნთხუს მიკორინელქ საცოდალო დო თვალუნდგ: "ვაი ახავი, ჩქინ, სარალო დედიბეფშენ, ხანგულირეფშენ, ლილუ ჩქიჩქუეფს ხოლო ვა მოპწონთ დო ვოწკიწკუთ თინეფს, მიდგაშ ცოროფათ ჩქი მოზალუნანი.

ხანტუშ აღსარება

მუნერი გურშა ინმანჭაფუ რე დამორჩილიშ დღალეფიშ დათებუ. გურშა ინმანჭაფუ დო ნარღიშ მუმაკათინაფალი! ხო ქორე სასვება ღიაბეფი, მურუჟიერეფი დო ნძალუანეფი, მარა მუთუნ ბორზალი ვა რე, ირიათონიშ ბორზალშე უმოს ცანდიერი.

მუნერი ხიბული რე ჯინა ცა დო ზღუაშ, უთანჯობაშ ხვალახობა, შურუბუმობა, ლენიშფერ ოწონდეშ ელუზიმაფუ ნიარი. ამარ აცანია ერქემი ხოლო იძირე ოწონდეს. მელახი დო უმინჯური, მუჭოთ ჩქიმ ჭყელი რინან. ზღუაშ მორიაშ მონოტონური ხუმინი; თელ აკან ფირქენც ჩქიმით, ვარ-და, ვანე მა ფიფრქე აკანით? (ა, მუშ მამალას მიდინუ დორხველი "მა" თეფერ ჭვიტინიშ დიდებუანობაშ ინოხინ); იახა დო, ფირქენა, არზუანენამაქ, იფჩიებუდგ; არზუანენა ხატუანო, მუსიკალურო, ჩქინ არძანერ დედუქციეფიშ უმშო, ირნერ სოფიზმეფიშ დო სილოგიზმეფიშ უმშო.

ჰო, მარა ჩქიმ დინოხ ეთმერჩქინდგნა თე არზეფი დო ვარ მეკონეფი გუთმარჩქინანა თინეფს, თინეფიშ უგნულუ მოღალუ რე ჭირკინი. თენერ ემახვამილაფარი მოშქუმალა ჭუას იჭანუანს შურშეიანს დო ტანჯუნს რსხულობურს. უძგალაშო ჭირკალ ნერვეფი სანწალე ბურაცხუეფით გამულენა თეს ირფელს.

დო, აჰა, ბზანთგნს ქაქაბიშ სიტომბა, გურშა ჯაბის მუთმომიკათინუანს ჟინცაშ სიწკონდა, ზღუაშ უშონთუობა, აკანიშ უზაბაკალა, ეთმიახინარენა ჩქიმ შურცგ...

დასურო დო ვარ, ირიათონო ოკო იფჭიროთენიო ოკო, ვარა ეგგბა ირიათონო ოკო ვენტე სისქვამას? ეჰეი ვო ორთა, სი უჭყოლოფე მენწარი! დიბადინე თანთუა ჩქიმ ნარტიშ დო პეკალაშ!

სასვებაშ ინონჭაფა უწორწო დუელიე, სოდეთ ხანტუ უმოღეთ თვალუნს, ეკონია მარცხებაშახ.

გიორგი ხულორდავა

თუ არ გექნება, ვერც გაფლანგავ...

შალვა ნათელაშვილი რომ თანდათან იქცა ხელმოცარულ, მაგრამ საკმაოდ გამამხიარულებელ პოლიტიკურ ფიგურად, ამაში უკვე არავის ეპარება ეჭვი. მას ან არ ესმის, ან არასოდეს გაუგონია, რომ პოლიტიკოსის მთავარი იარაღი მისი გულწრფელობა უნდა იყოს და, რაც მთავარია, უნდა გააჩნდეს საკუთარი გადაცდომების აღიარებისა და დაშვებული შეცდომების გამოსწორების უნარი და არა მუდამ საკუთარ შეცოდებათა მიფუჩეჩების მცდელობისაკენ ლტოლვა.

თავად შეაფასეთ – 2008 წლის საპრეზიდენტო არჩევნების მონაწილე შალვა ნათელაშვილი ამომრჩეველს პირდებოდა, რომ მისი არჩევის შემთხვევაში საქართველოს პრემიერ-მინისტრად მოიწვევდა ბიძინა ივანიშვილს. შემდეგ კი, როცა თავად ბიძინამ არ მიიწვია ნათელაშვილი თავის გუნდში და კალთა ფულით არ აუვსო, სამკვდრო-სასიცოცხლოდ გადაეკიდა ივანიშვილს და მისი საჯაროდ ლანძღვის შანსს არ უშვებს ხელიდან. იგივე განმეორდა 2014 წლის აგვისტოს თვის ტელეარხ **"იმედის"** ერთ-ერთ საკვირაო გადაცემაში, რომელიც ჟურნალისტ ინგა გრიგოლიას მიჰყავდა და რომელიც ბადრი პატარკაციშვილის აქტიურ პოლიტიკაში მონაწილეობის პერიოდს, მის წინააღმდეგ შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ განხორციელებულ პროვოკაციებს და 2007 წლის ნოემბრის მიტინგის მონაწილეთა დარბევას მიეძღვნა. ამ გადაცემაში მოწვეული გახლდათ ლეიბორისტების ლიდერი შალვა ნათელაშვილიც, რომელმაც ძირითად თემაზე საუბრის ნაცვლად მოხსნა გუდას პირი და მხოლოდ **"კრიმინალ-ოლიგარქი ივანიშვილის დანაშაულებრივ საქმიანობაზე"** ილაპარაკა.

არავინ იფიქროს, რომ ივანიშვილის ავტორიტეტზე ვზრუნავდეთ (იგი ამას თავადაც კარგად მოახერხებს). უბრალოდ, როცა ადამიანს დიდ პოლიტიკოსად მოგაქვს თავი (ნათელაშვილი ამგვარი არასოდეს ყოფილა და თუ მისი რეიტინგი ოდესმე დღევანდელზე მაღალი გახლდათ, ეს მხოლოდ იმიტომ, რომ მას ხმას ძირითადად **"ნაციონალებზე"** განაწყენებული ხალხი აძლევდა), მეტი თავშეკავება და ობიექტურობა გმართებს.

სხვაგვარად, შეიძლება ისეთივე ცირკის მასხარად იქცე, როგორადაც თავის დროზე იქცა ის მიხეილ სააკაშვილი, რომელსაც იგივე ნათელაშვილმა თბილისის საკრებულოს თავმჯდომარეობა მიუძღვნა!

ამიტომაც ვურჩევთ შალვა ნათელაშვილს, რომ დაანებოს დიდ პოლიტიკას თავი, ვიდრე თავისი გაუაზრებელი გამოხტომებით ქვეყნის დასაცინად არ გაუხდია თავი!

არა და, ამის შანსი უკვე აშკარად იკვეთება.

მაგალითად, მსახიობი, ნატა მურვანიძე ფეისბუქის საკუთარ გვერდზე ინგა გრიგოლიას გადაცემას ეხმაურება, რომელსაც გადაცემაში შალვა ნათელაშვილი ჰყავდა მიწვეული:

"ნათელაშვილი არის ცირკაჩი. მადლობა ინგა გრიგოლიას, რომ პატარკაციშვილის ცირკის კადრი გამოიყვანა და მაგრად გაგვართო. მე მყავდა ძალიან მაგარი პედაგოგი ლენარდ პტი, კლოუნი, რომელიც დავალებას კარგად რომ შევასრულებდით წითელი ცხვირით გვაჯილდოვებდა. ამ ცხვირზე ვოცნებობდით და თავს ვიკლავდით შრომით. მე ყველაზე გვიან დავიმსახურე. შალვა ნათელაშვილი ხელის ჩამორთმევისთანავე გახდებოდა ნიუ იორკის ლა მამმას დასის წევრი. მე ვარ შალვისტი!" – წერს მსახიობი.

რ. შალამბერიძე

სომეხი ვაიმეცნიერების მიერ ისტორიის გაყალბების უპრეცედენტო მცდელობა

მსოფლიოს ისტორიაში ანალოგი არ მოეპოვება მეზობელი ქვეყნის მიმართ ისეთ უპატივცემულობას, ისტორიული წარსულის გაყალბებისა და კულტურული მემკვიდრეობის მითვისების ისეთ მცდელობას, როგორც ამას აკეთებენ სომეხი ვაიმეცნიერები. ისინი ურცხვად ამბობენ: სომხებმა შექმნეს საქართველო და თბილისი, ჩვენ მოვნათლეთ ქართველები, ავუშენეთ სატახტო ქალაქი და მივეცით სამეფო შტოო. განსაკუთრებული იერიში საქართველოს დედაქალაქზე მიაქვთ, მაგრამ ერთ რამეში თვითონაც ვერ გარკვეულან, კერძოდ, თბილისი სლავებმა დააარსეს თუ სომხებმა.

სომეხი ვაიმეცნიერი აკადემიკოსი სურენ აივაზიანი უაპელაციოდ აცხადებს: რას ნიშნავს თბილისი? რუსულად ეს ნიშნავს **„თბილ ადგილს“.** წარმოიშვა სახელწოდებიდან **„ტეპლიცეო“.**

მაგრამ განა თბილისი ქართულად **„თბილს“** არ ნიშნავს? ხომ ცნობილია, რომ თბილისმა სახელი აქ არსებული თბილი გოგირდოვანი წყაროებისგან მიიღო. ამასთანავე, ქართულ ისტორიულ წერილობით წყაროებში დაცული უტყუარი ცნობების თანახმად, **IV საუკუნის მეორე ნახევარში თბილისი ააშენეს ქართველებმა ციხედ „მცხეთისა“, ე. ი. საქართველოს ძველი დედაქალაქის – მცხეთის გასამაგრებლად, ხოლო ვახტანგ გორგასალმა V საუკუნის შუა წლებიდან თბილისის სატახტო ქალაქად გადაქცევას ჩაუყარა საფუძველი და, როგორც „ქართლის ცხოვრება“ მოგვითხრობს, მისმა მემკვიდრემ, დაჩიმ „განასრულნა ზღუდენი ტფილისისანი და ვითა ებრძანა ვახტანგს, იგი შეიქმნა სახლად სამეუფოდ“.**

ძნელბედობის ჟამს სომეხი ხალხისადმი უანგარო დახმარებას, ქართულ მიწა-წყალზე, კერძოდ, თბილისში მათ დასახლებას და, ბუნებრივია, შემდგომში აქ ცხოვრებასა და საქმიანობას ზოგიერთი სხვაგვარ ინტერპრეტაციას აძლევს. საუკუნეების განმავლობაში თბილისმა იმდენი სომეხი შეიფარა, რომ გარკვეულ პერიოდში სომხები რაოდენობრივადაც კი სჭარბობდნენ ქართველებს. ეს მოხდა იმ პერიოდში, როდესაც თბილისში მოსახლეობა მცირე იყო – 15-20 ათასი კაცი.

ქართული წერილობითი წყაროებიდან ცნობილია, რომ თბილისში 853 წელს 50 ათასი კაცი ცხოვრობდა, ხოლო 1226 წელს – 150 ათასი და მისი მოსახლეობის უმრავლესობას ქართველები შეადგენდნენ.

გარკვეულ პერიოდში თბილისში სომხების სიჭარბე **„აძლევს საფუძველს“** მიგრანიანებს, მანუკიანებს, აივაზიანებსა და სხვა იანებსა თუ იანცებს, განაცხადონ, ქართველებს სატახტო ქალაქი ავუშენეთო. **საინტერესოა, როგორ ახსნიან სომხები ფაქტს, რომ XIX საუკუნეში მათი დედაქალაქის – ერევნის მოსახლეობის უმრავლესობას თათრები შეადგენდნენ. კერძოდ, 1832 წელს ერევანში 11 463 კაცი ცხოვრობდა, მათგან – 7 331 თათარი (აზერბაიჯანელი) და მხოლოდ 4 132 –სომეხი, ანუ 36,0 პროცენტი.**

1886 წელს შედგენილი საოჯახო სიების მიხედვითაც, ერევანში მეტი თათარი ცხოვრობდა ვიდრე სომეხი. საინტერესოა ისიც, თუ ვისი ქალაქი იყო აშხაბადი, ფრუნზე, კიშინიოვი, ვილნიუსი, დუშანბე, ალმა-ატა, ტაშკენტი, რიგა, რომლებშიც გაცილებით ნაკლები მკვიდრი მოსახლეობა ცხოვრობდა, ვიდრე სხვა ერის წარმომადგენლები.

თუ მიგრანიანებისა და აივაზიანების მოსაზრებას გავიზიარებთ, მაშინ ერევანი საქართველოს ქალაქი ყოფილა. ცნობილია, რომ **XII საუკუნესა და XIII საუკუნის I მეოთხედში საქართველომ შემოიერთა ისტორიული სომხეთის მნიშვნელოვანი ნაწილი, კერძოდ, ქალაქი ერევანიც, რომელსაც XIV საუკუნეშიც კი საქართველოს ქალაქად მიიჩნევდნენ თვითონ სომხებიც.**

მაგალითად, 1336 წელს ყირიმში გადაწერილ სომხური ხელნაწერის ანდერძ-მინაწერში გადამწერი ორჯერ აღნიშნავს: **„მოვედი საქართველოდან, ეჩმიაძინის მეზობელ შესანიშნავ ქალაქ ერევნიდან.“** სიყალბის ნიმუშია ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის, ვინმე მანუკ მანუკიანის სტატია: **„საუკუნის მანძილზე ასიმილირებულია საქართველოს სომხობის ნახევარი.“** ავტორის მიერ მოტანილ არც ერთ მონაცემს რეალობასთან ოდნავი შეხებაც არ აქვს. მანუკიანი ციფრობრივ მონაცემებს თვითონვე თხზავს, მაგრამ იმდენი ჭკუა არ ჰყოფნის, რომ ფანტასტიკის სამყაროში არ გადავიდეს. აშკარაა მისი დაფარული მიზნებიც. **სომეხი „ისტორიკოსი“ ქართულ მიწებს სომხურად აცხადებს და ქართველებისგან მტრის ხატის შექმნას ცდილობს, მაგრამ რა შეიძლება მოჰყვეს ამას, არ აღელვებს. იგი შუღლსა და მტრობას თესავს ორ მეზობელ ხალხებს შორის, რომლებსაც თავიანთი ქვეყნების დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ ბევრი მნიშვნელოვანი საქმე აქვთ გასაკეთებელი.**

მანუკიანი წერს: *„მე-18 საუკუნის დასაწყისში, თბილისში მცხოვრები 20 000 ადამიანისგან 12 000 სომეხი იყო. ამდენ ადამიანს ბუნებრივი ასიმილაცია რომ არ განეცადა, XX საუკუნის დასაწყისში თბილისში სომხების რაოდენობა 2,5 მილიონს მიაღწევდა“.* ჯერ ერთი, მე-18 საუკუნეში მეტად ძნელია თბილისის მოსახლეობის რაოდენობის და, მით უმეტეს, ეროვნული შემადგენლობის დადგენა. და მეორე – რა ვუყოთ იმ ფაქტს, რომ მე-19 საუკუნის ბოლოს, 1897 წელს, რუსეთის იმპერიის მიერ ჩატარებული მოსახლეობის აღწერის მონაცემების მიხედვით, თბილისში მხოლოდ 160.000 კაცი ცხოვრობდა და არა – 4,2 მილიონი (მანუკიანის გაანგარიშებით, თუ 12 000 სომეხი მე-20 საუკუნის დასაწყისში 2,5 მილიონს მიაღწევდა, მაშინ 8 ათასი ქართველი ამავე პერიოდში 1,7 მილიონი უნდა ყოფილიყო, სულ კი თბილისის მოსახლეობას 4,2 მილიონი კაცი უნდა შეედგინა). **მანუკიანი ისეა დაბრმავებული ბნელი ზრახვებით, ერთი წუთითაც არ უფიქრდება, რომ 4,2-მილიონიანი ქალაქი იმ პერიოდის მსოფლიოში საერთოდ არსებობდა თუ არა. 1897 წელს მოსკოვის მოსახლეობა – 1 039 ათასს, პეტერბურგისა – 1265 ათასს, ხოლო კიევისა – 248 ათას კაცს შეადგენდა.**

თუ მანუკიანის გაანგარიშებით ვიხელმძღვანელებთ, მაშინ ამჟამად მსოფლიოში 7 მილიარდი კაცის ნაცვლად 218 მილიარდი უნდა ცხოვრობდეს, მაგრამ ეს არ არის მთავარი. **მანუკ მანუკიანი ხაზს უსვამს, თბილისის მოსახლეობის უმრავლესობას სომხები შეადგენდნენ და ამით ამ გარემოებას სხვაგვარ დატვირთვას ანიჭებს.** არადა, **თბილისი, მიუხედავად მისი მრავალეროვნულობისა, ყოველთვის და, შეიძლება ითქვას, მთლიანად ქართული ყოფის, ტრადიციებისა და სულის გამომსახველი იყო.**

საუკუნეების განმავლობაში მტრებისგან შევიწროებული სომხები ყოველთვის პოულობდნენ თავშესაფარს საქართველოსა და მის დედაქალაქში. ცნობილია, რომ **დავით აღმაშენებელმა თბილისის აღების შემდეგ დედაქალაქში ბევრი ანისელი სომეხიც ჩაასახლა იქ ქრისტიანობის გაძლიერების მიზნით და მათ ქართველებთან გათანაბრებული მოქალაქეობრივი უფლებები მისცა.** ამასთანავე, მათეოს ურხაეცის ცნობით, დავით აღმაშენებელმა გორში სომეხი ვაჭრები ჩაასახლა და მათ პრივილეგიური პირობები შეუქმნა. სომეხი ისტორიკოსები დავით აღმაშენებელს დიდი პატივისცემით მოიხსენიებენ, როგორც სომეხთა მფარველსა და მათ მოჭირნახულეს. როგორც **ვ. ნალბანდიანი** აღნიშნავს, თემურ-ლენგის შემოსევების დროს მოძმე ქართველი ხალხი, მიუხედავად თავისი მძიმე პოლიტიკური მდგომარეობისა, შემწეობის ხელს უწვდიდა უფრო მძიმე პირობებში მყოფ სომეხ ხალხს, რომელიც მოკლებული იყო სახელმწიფოებრიობას. ამ თვალსაზრისით საყურადღებოა, რასაც მე-15 საუკუნის ცნობილი სომეხი ისტორიკოსი თოვმა მეწოფეცი გადმოგვცემს: **„1431 წელს სასტიკი შიმშილი დაიწყო ჩვენს ქვეყანაში როგორც მორწმუნეთა, ისე ურწმუნოთა შორის, ისე, რომ შეჭამეს ძაღლები და კატები, გვამები, ცხენები, ვირები, ჯორები და აქლემები. აღარაფერი რომ არ დარჩათ, მაშინ თავიანთ ვაჟებსა და ასულებს მიმართეს. საქმე იქამდეც კი მივიდა, რომ ... ფარულად და აშკარად ათასი კაცი შეჭამეს... მორწმუნენი ზამთრის ჟამს არარატის გავარიდან აიყარნენ და საქართველოსკენ გასწიეს.“** კიდევ უფრო ადრე, მონღოლთა შემოსევების დროს, სომეხი მოსახლეობის ნაწილმა საქართველოს ცენტრალურ რაიონებს მიაშურა. მიუხედავად იმისა, რომ ქართველი მოსახლეობა მეტად მძიმე მდგომარეობაში იყო ჩავარდნილი, თანაგრძნობით შეხვდა ყარსიდან აყრილ თანამოძმეებს. **XIII საუკუნის სომეხი ისტორიკოსი კირაკოს განძაკეცი შენიშნავს: „ქართველები... ძალზე კეთილნი და გულითადნი იყვნენ მოსულების მიმართ, რომლებიც მათთან თავშესაფარს ეძებდნენ.“**

ოსმალო ავტორის, გურჯიზადეს, თხზულებაში დაცულია სომხების თბილისში დასახლების ცნობა. იბრაჰიმ ფაშამ 1723 წელს **„განჯიდან თბილისისკენ მოაბრუნა სადავე, დამორჩილებულ და დაქვემდებარებულ სომეხთა ტომიდან 3 000 რეია წამოიყვანა და თბილისში დაასახლა.“**

1804 წელს თბილისში 2.000-ზე მეტი სომეხი გადმოსახლდა. ამ პერიოდში აღა მაჰმადხანის შემოსევის გამო თბილისი თითქმის დაცლილი იყო ქართული მოსახლეობისგან. 1897-1910 წლებში თბილისში სომხების რაოდენობა 47.000-დან 125.000-მდე გაიზარდა. მათგან 68 ათასი ახალმოსული სომეხი იყო, უპირატესად თურქეთიდან.

საქართველოს ხელისუფლება მტრებთან გამუდმებული ბრძოლების შედეგად შეთხელებული ქართული მოსახლეობის შევსებას მეზობელი ქვეყნებიდან შემოყვანილი ხალხების ხარჯზე ცდილობდა. ქართულ ისტორიულ წერილობით წყაროებსა და დოკუმენტებში არაერთი ცნობაა დაცული საქართველოში სომხების, ოსების, ბერძნების, ლეკების, ჩერქეზების, ელის თათრების შემოყვანის შესახებ. მათ დასამაგრებლად გარკვეულ შედავათებსაც აწესებდნენ. ქართველი მეფეები და დიდებულები ცდილობდნენ, თბილისში შემოეყვანათ **სომეხი ვაჭრები, რომლებიც გადასახადს თეთრით იხდიდნენ, ფული კი ძნელი საშოვარი იყო იმდროინდელ საქართველოში. ამასთანავე, სომხები ძირითადად აღებ-მიცემობას მისდევდნენ და ეს ქვეყნის ეკონომიკის წინსვლასაც უწყობდა ხელს.** შემთხვევითი არ არის **„ქართლის ცხოვრებაში“** დაცული ცნობა იმის თაობაზე, რომ, როდესაც იმერეთის მპყრობელმა ალექსანდრე III-მ (1639-1661) მოინდომა დადიანის ტყვეობიდან თავისი მამა გამოეხსნა, დადიანმა სანაცვლოდ ჩიხორსა და ჩხარში დასახლებული სომხები მოითხოვა: **„დადიანმა სთხოვა ჩიხორსა და ჩხარს სომხები სახსრად. აჰყარა და მისცა, რაც შემოუკუეთა, და გამოიხსნა მამა თვისი და მოიყვანა იმერეთს.“** ამ ამბავს იტალიელი მისიონერი დონ ქრისტეფორო დე კასტელიც გადმოგვცემს, რომელიც 1627-1654 წლებში საქართველოში იმყოფებოდა: ***„იმერეთის მეფეს გიორგის ვალდებულება უკისრია ... იმერეთიდან სომეხთა და ებრაელთა მოსახლეობა სამეგრელოში გაეგზავნა იქ სავაჭრო მეურნეობის მოსაწყობად“.***

ეკონომიკური მოსაზრებებით იყო ნაკარნახევი 1779 წელს ერევანში ლაშქრობისას ერეკლე II-ის მიერ რვა სოფლის მოსახლეობის აყრა და საქართველოს სოფლებსა და ქალაქებში ჩასახლება. აღსანიშნავია ისიც, რომ ცალკეულ შემთხვევებში სომხები პირადი ინიციატივითაც გადმოდიოდნენ თავშესაფრის საძებნელად თუ ცხოვრების პირობების გასაუმჯობესებლად საქართველოში, უმეტესად – თბილისში.

1863 წელს თბილისის მოსახლეობა 62 318 კაცი იყო და მათგან ახალმოსული – 14 928, რომელთა სამ მეოთხედსაც სომხები შეადგენდნენ.

საქართველოში და, კერძოდ, თბილისში სომხები დიდი რაოდენობით ჩამოსახლდნენ 1930-იან წლებშიც. შედეგად 1939 წელს სომხების რაოდენობა საქართველოში 415 ათასი იყო, ნაცვლად 307 ათასისა 1926 წელს. 13 წლის განმავლობაში სომხების რაოდენობის ზრდა 108 ათასი კაცით, რა თქმა უნდა, არ შეიძლებოდა მხოლოდ ბუნებრივ მატებას გამოეწვია.

ბევრი ასეთი მაგალითის მოყვანა შეიძლება, მაგრამ ესეც ნათელ წარმდგენას გვიქმნის თბილისში სომხების გადმოსახლების მასშტაბებზე.

ამის მიუხედავად, სომეხი ვაიმეცნიერები ცდილობენ ისტორიის ხელახლა გადაწერას და ამისთვის სიცრუესა და გამოგონილ ამბებს არ ერიდებიან.

საქართველოსა და მის დედაქალაქში სომხების მასობრივად გადმოსახლებისა და დამკვიდრების შესახებ უცხოელი და თვით სომეხი მეცნიერებიც აღნიშნავენ თავიანთ შრომებში. ამ მხრივ აღსანიშნავია რუსი საზოგადო მოღვაწისა და მწერლის **ევგენი მარკოვის** (რომელიც მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში იმყოფებოდა საქართველოში) ნაშრომი **„კავკასიური ნარკვევები“,** რომლებშიც იგი ხსნის იმ მიზეზებს, რომლებმაც განაპირობა თბილისის მოსახლეობის საერთო რაოდენობაში ქართველების სიმცირე სომხებთან შედარებით. მარკოვის აზრით, **„სომხები, ქართველებთან შედარებით, გამოირჩეოდნენ უფრო მშვიდობიანი, წყნარი ცხოვრებით. გამომდინარე მათი ცხოვრების წესიდან, ძირითადად, ეწეოდნენ ვაჭრობასა და ხელოსნობას და ამიტომ მათი ყველაზე ნაკლებად ეშინოდათ გამარჯვებულებს და ამიტომაც სომხები ნაკლებად იღუპებოდნენ შემოსევებისა და ომების დროს.**

ამის გარდა, საუკუნეების განმავლობაში ახალგაზრდა ქართველ ქალებსა და ვაჟებს, რომლებიც განთქმულნი იყვნენ სილამაზით, ჰყიდდნენ აღმოსავლეთსა და კონსტანტინეპოლში.“ მარკოვი აღნიშნავს, რომ **„ფრანგი კონსული გამბა უშუალოდ იყო იმის მოწმე, როგორ გადმოსახლდა თურქეთიდან მრავალი სომეხი თბილისსა და სხვა ქალაქებში, სადაც მათ იცავდა რუსული კანონი თურქეთის სამეფოს ყოველგვარი უკანონობისა და უწესრიგობისგან.“** საბოლოოდ კი ასკვნის: **„თბილისელი სომხები ისე აიგივებენ საკუთარ თავს ქართველებთან, რომ ბევრმა მათგანმა მხოლოდ ახლახან დაიწყო სომხურის სწავლა, დიდი უმრავლესობა კი ლაპარაკობს და ცხოვრობს ქართული ცხოვრების წესით. ასეთი მდგომარეობა, რა თქმა უნდა, ძველი დროიდან ძლიერ დაეხმარა მათ, მთლიანად მოეცვათ საქართველოს დედაქალაქი, ხელში ჩაეგდოთ და მიეტაცებინათ მთელი ვაჭრობა და ფულადი მასა და, შესაბამისად, ძალაუფლება.“**

სათანადო ცნობებისა და დოკუმენტების ანალიზის საფუძველზე დაახლოებით ანალოგიურ აზრს გამოთქვამს **ამერიკელი მეცნიერი, წარმოშობით სომეხი ა. კოჩიკიანი:** *„რუსეთ-თურქეთის 1828-1829 წლების ომამდე გადასახლებულ სომეხთა უმრავლესობა საქართველოს დედაქალაქ თბილისში ცხოვრობდა. როდესაც ქვეყნის სამხრეთი რაიონები რუსეთს შეუერთდა, ბევრი სომეხი ოსმალეთის იმპერიიდან ემიგრაციაში წავიდა, დასახლდა მესხეთსა და ჯავახეთში, სადაც თანდათანობით შეადგინეს მოსახლეობის უმრავლესობა. ამჟამად ამ ტერიტორიების მცხოვრებთა ძირითადი ნაწილი იმ სომხების შთამომავლები არიან, რომლებმაც დატოვეს ერზრუმი 1877-1878 წლების რუსეთ-თურქეთის ომის შემდეგ“.*

რუსი მოღვაწე ი. კაიადპევი, რომელმაც კავკასიაში თითქმის 20 წელი იცხოვრა, 1902 წელს პეტერბურგში გამოცემულ წიგნში მიუთითებდა, რომ **„სომხები თბილისში „ქართველების კუთვნილ, 7-8 ათას მანეთად ღირებულ, სახლებს ხელში 200-300 მანეთად იგდებდნენ და ამ საქმეში განსაცვიფრებელ ვირტუოზულობას იჩენდნენ“. „აი, ასეთ შედეგს მიაღწია სომეხმა ერმა, რომელიც არასოდეს ყოფილა საქართველოს მკვიდრი მოსახლეობა“.** ანალოგიურ მოსაზრებებს გამოთქვამს XIX-XX საუკუნეების ცნობილი რუსი ისტორიკოსი **ვ. ველიჩკო** წიგნში „Кавказ, Русское дело и междуплеменные вопросы.“ **ი. კაიადპევმა საქართველოში მოღვაწეობის პერიოდში შეამჩნია, რომ სომხები, კოლოსალური სიმდიდრის შეძენასთან ერთად, ცდილობდნენ, ქართული კულტურული მემკვიდრეობის წაშლას და მათ მითვისებას. იგი აღნიშნავს, რომ სომხებმა რამდენიმე მართლმადიდებლურ ტაძარში გაანადგურეს ქართული წარწერები, შეცვალეს განადგურებული წარწერები სომხური წარწერებით და ქართული ტაძრები სომხურ-გრიგორიანულ ტაძრებად გადააკეთეს. ამასთანავე, მდიდარი სომხები ყიდულობდნენ მიწებს და ამ მიწებზე ასახლებდნენ სომეხ იმიგრანტებს“.**

საბოლოდ სომხებმა ვაჭრობის სფეროში გაბატონებული მდგომარეობა დაიკავეს საქართველოში. **რუსი მოღვაწე ევგენი მარკოვი მიუთითებს, რომ სომხებთან შედარებით, მათი პრაქტიკული თვისებების გამო, რომ არაფერი ვთქვათ ქართველების, თათრების, რუსების ეკონომიკურ დამონებაზე, ებრაელებიც კი, რომლებიც თავიანთი დახელოვნებული ექსპლოატაციით მსოფლიოს ყველა ქვეყანაში დრტვინვას იწვევენ, სომხის თანდასწრებით ბალახზე დაბლები არიან, წყალზე ჩუმი და აღარ წარმოადგენენ საშიშ ელემენტს ისევე, როგორც დიდი ვირთხის შემყურე პატარა თაგუნა.**

იმდროინდელი სომეხი მოღვაწეები სომხებს კავკასიაში მოწინავე, მომავლის მქონე ხალხს უწოდებდნენ, ქართველ თავადაზნაურობას კი დაძაბუნებულად თვლიდნენ და შუა საუკუნეების გადმონაშთს ეძახდნენ.

ის, რაც ზემოთ ითქვა, ეხება მხოლოდ სომეხ ვაიმეცნიერებსა და მათ დამჭაშებს. საქართველოში მცხოვრებ სომხებს გულწრფელად უყვარდათ საქართველო და მისი დედაქალაქი. ცნობილი სომეხი პოეტი **ჰოვანეს თუმანიანი** ქართველი და სომეხი ხალხების მეგობრობის მგზნებარე დამცველი იყო. მას 13 შვილი ჰყავდა. ოსმალეთის ომის დროს, სადაც მისი უფროსი ვაჟი დაიღუპა, ჰოვანეს თუმანიანმა შვიდი ქალიშვილი გაგზავნა ფრონტზე მოწყალების დებად. **„როცა სომხეთის დაშნაკურმა მთავრობამ საქართველოს ჯარი შემოუსია, ჰოვანეს თუმანიანის რამდენიმე ქალიშვილი ერევანში მოხვდა და მან უბრძანა შვილებს, არ მიეღოთ მონაწილეობა ამ ომში, თორემ დაწყევლიდა“.** საქართველოსა და სომხეთს – მეზობელ ქრისტიანულ ქვეყნებს – ჰქონდათ სახელმწიფოებრივი აყვავების პერიოდები, როდესაც შეიქმნა საკაცობრიო მნიშვნელობის კულტურული ღირებულებები. ამასთანავე, დამოუკიდებლობის დაკარგვის, უცხო ტომთა მოძალების, რბევა-აწიოკების ჟამიც გადაუტანიათ. ბუნებრივია, მათ შორისაც იყო გაუგებრობის შემთხვევები, მაგრამ ამას ყოველთვის გადაფარავდა ხოლმე ძმური თანაცხოვრებისა და საერთო-ეროვნული ინტერესების გათავისების სურვილი. როგორც დიდი ილია ამბობდა, ჩვენ ჩრდილოეთით ვინახავდით სომხებს და სომხები ჩვენ გვინახავდნენ სამხრეთით. სამწუხაროა, რომ ეს უდავო ჭეშმარიტება ზოგს დღემდე ვერ გაუცნობიერებია და თავისი აუწონავი სიტყვით ორ მეგობარ ხალხს შორის ქმნის დაპირისპირებას და ამით ორივე ხალხის მტრის წისქვილზე ასხამს წყალს.

ანზორ თოთაძე,
პროფესორი, დემოგრაფი

გმირულად არდაბრუნებულები...

2014 წლის 4 სექტემბერს მამაჩემი – შალვა ალექსანდრეს ძე ჯალაღანია 100 წლის გახდებოდა.

მაგრამ ცხოვრების მეასე კი არა, ოცდამეცხრე წელსაც კი ვერ მოესწრო, რადგან სადღაც, რუსეთის ქალაქ ეისკთან დაეცა გერმანელ ფაშისტებთან ბრძოლაში. ეს მოხდა 1942 წელს, როცა ფაშისტთა ურდოები წინააღმდეგობის გაწევის გარეშე მოიწევდნენ საბჭოთა კავშირის დასაპყრობად. რამდენიმე თვეში მიადგნენ მოსკოვს, სამხრეთით კი უკვე კავკასიონის მოსადგომებთან იდგნენ. ფაშისტებმა რამდენიმე დღეში აიღეს სევასტოპოლი და ქერჩის ნახევარკუნძული, რომელიც მხოლოდ ორი წლის შედეგ დაიბრუნეს საბჭოთა ჯარებმა. ვინაიდან ქერჩთან დაღუპული მამაჩემის და მისი თანამებრძოლების ცხედრების მოძიება ვერ მოხერხდა, ერმიტაჟის სამხედრო არქივში მისი გვარის გასწვრივ გაჩნდა ავბედითი გაურკვევლობის მუდმივ მოლოდინად ქცეული საბედისწერო ფრაზა – **“უგზო-უკვლოდ დაკარგული”.**

უამრავი ქართველი დაიკარგა მაშინ უგზო-უკვლოდ, მაგრამ ისე, რომ ღირსება არ დაუკარგავთ!

მიუხედავად იმისა, რომ ყველამ კარგად იცოდა თუ რა ბედი ეწიათ საბჭოთა ჯარებს ქერჩის ეპოპეისას, არავის, არასდროს მოუხსენებია მამაჩემი როგორც იმქვეყნიურ საქართველოში გადასული. მთელი ოჯახი ველოდით მის ჩამოსვლას და დედაჩემი ისე გაერიდა ამ წუთისოფელს, რომ უკანასკნელ ამოსუნთქვამდე სწამდა მეუღლესთან შეხვედრის შესაძლებლობისა.

ახლა, როცა მამაჩემი 100 წლის გახდებოდა, თავს უფლებას ვაძლევ გმირულად დაღუპულად მოვიხსენიო იგი და მოძღვარს პარაკლისი გადავახდევინო მისი სულის მოსაოხებლად.

მე კი ვეცდები გადმოგცეთ მამაჩემის სახელთან დაკავშირებული განცდა, რომელიც სამუდამო დაღად გვქონდა აღბეჭდილი სულსა და გულში მე, სულგანათლებულ დედას და ჩემს წინაპრებს.

მე მამა არასოდეს მინახავს, რადგან იგი ჩემს დაბადებამდე 6 თვით ადრე გაიწვიეს ომში, საიდანაც აღარ დაბრუნებულა. მან მხოლოდ ის იცოდა, რომ ბიჭი ეყოლა და სახელი **“როლანდიც”** მან დამარქვა. როცა ერთი წლის გავხდი – 1942 წლის 2 ნოემბერს – მამას ჩემი ფოტო გაუგზავნეს, მაგრამ წერილი უკან დაბრუნდა, რადგან ადრესატი უკვე აღარ იძებნებოდა. ამ სტატიაში გამოქვეყნებული სურათიდანაც ჩანს, რომ მამა – შალვა ჯალაღანია მფრინავი იყო, ლეიტენანტის ჩინით. მხოლოდ მოგვიანებით გახდა ცნობილი, რომ ქალაქ ეისკში მდგომი მათი ავიაშენაერთი გერმანელმა ფაშისტებმა დაბომბეს, რამაც შეიწირა კიდეც მამაჩემისა და მისი თანაპოლკელების სიცოცხლე...

ალბთ უფლის ნება გახლდათ ის, რომ მე არავისთვის არასდროს არ მიმიმართია სიტყვით **“მამა”**. ახლა, როცა აღარც დედა მყავს და აღარც მამა, საოცარი მონატრება მომეძალება ხოლმე ამ ორი ადამიანის მიმართ, მიუხედავად იმისა, რომ მამისათვის არასოდეს შემივლია თვალი და მთელი ბავშვობის განმავლობაში დედას ვიყავი ჩაბღაუჭებული, რადგან იგი მამაც იყო ჩემთვის და დედაც. ამიტომ, მინდა ბოდიში მოვიხადო მამაჩემის სულის წინაშე, იმისათვის, რომ ზოგჯერ, ჩემი თავნებობის გამო, გული მიტკენია დედისათვის...

ახლა კი რამდენიმე სიტყვა მამაჩემის ბოგრაფიის გასაცნობად.

შალვა ჯალაღანიამ 1939 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტი და, პარალელურად, აქტიურად იყო ჩართული ავიასპორტში. უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ განაწილებით უშვებდნენ გურჯაანის პარტიის რაიკომის მეორე მდივნად, მაგრამ უარი განაცხადა და, სამეცნიერო საქმიანობას შეუდგა, 1941 წლის თებერვალში დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია. საბჭოთა კავშირში არსებული წესის თანახმად საკანდიდატო თუ სადოქტორო დისერტაცია საკავშირო საატესტაციო კომისიას – (ВАК)-ს უნდა დაემტკიცებინა, რასაც ექვსი თვე სჭირდებოდა, მეცნიერებათა კანდიდატებს და დოქტორებს კი ჯავშანი ჰქონდათ და სავალდებულო სამხედრო სამსახური ომის დროსაც კი არ ეხებოდათ. 1941 წლის 28 ივნისს მამა ფრონტზე გაიწვიეს, სამი დღის შემდეგ კი ВАК-დან კანდიდატის ხარისხის მინიჭების საბუთი ჩამოვიდა, რომელსაც ჯერ დედაჩემი ინახავდა რუდუნებით, ახლა კი იგი ჩემს პირად არქივს ამშვენებს!

– მამაშენი ისეთი კაცი იყო, საბუთი დროზე რომ ჩამოსვლოდა, ჯავშანს მაინც მოიხსნიდა და მოხალისედ წავიდოდა ფრონტზე, – ხშირად მეტყოდა ხოლმე დედა. გასაკვირი და დაუჯერებელი ამაში არაფერია – მაშინდელ ახალგაზრდობას სწამდა, რომ ისინი სამშობლოს საქმის საკეთებლად მოევლინენ ქვეყანას.

ამიტომაც წავიდა ფრონტზე...

წავიდა და დაგვიტოვა გაუნელებელი ნაღველი, გაჭირვება, სიღარიბე, უსასოობა...

მახსოვს შიმშილი, სიცივე, უსახსრობა, მაგრამ მახსოვს ავ ბედისწერას შეურიგებელი დედაჩემის სიმედგრეც, რაც მათბობდა, მაპურებდა და, რაც მთავარია, მომავლის იმედს მინერგავდა!

თბილისში, პეტრიაშვილის ქუჩაზე, მამაჩემის სტუდენტობისდროინდელ ბინაში ცხოვრებისას (სულ ერთი ოთახი გვეკავა, ფართობით 8,5 კვადრატული მეტრი) ეზოში 14 ოჯახი ცხოვრობდა და მიუხედავად მატერიალური შეჭირვებისა, მაინც შეხმატკბილებულად თანავარსებობდით. მახსენდება ერთ-ერთი შუა ხანს მიღწეული მეზობელი მამაკაცი (ვინაობას შეგნებულად არ ვუთითებ), რომელიც არაბუნებრივად იყო გამხდარი და მუდამ შეწუხებული სახით დადიოდა. იგრძნობოდა, იმდენად აწუხებდა რაღაც სატკივარი, რომ ხალხისათვის სალმის მიცემასაც კი ვერ ახერხებდა.

– რა სჭირს-მეთქი? – ვკითხე ერთხელ დედაჩემს.

– ძალიან მძიმედაა დაავადებული, შვილო, ომში წასვლა არ უნდოდა, ნახევარი კილოგრამი საპონი შეჭამა, რათა დიზენტერიით დაავადებულიყო. ჰოდა, როგორც ჩანს, იმ დეზენტერიამ დაუტოვა კუჭის მძიმე დაავადება. ეგ დიდხანს ვეღარ გასტანს... – ჩაილაპარაკა დედაჩემმა, შემდეგ კი თავისთვის გააგრძელა ხმამაღლა ფიქრი, – მკვდარი შალვა მირჩევნია ასეთ ცოცხალ თანამეცხედრეს...

მართლაც მალე დავკრძალეთ ის ჩემი მეზობელი, რომელიც უსახელოდ გადაეგო იმქვეყნად. გულწრფელად მეცოდებოდა, რადგან ბავშვი ვიყავი და არ მესმოდა, თუ რაოდენ დიდი სიბოროტე ჩაიდინა საკუთარი თავის მიმართ და გმირულ სიცოცხლეს სამარცხვინო სიკვდილი არჩია...

ჰო, ბინაზე მოგახსენებდით – ვიწროდ ვცხოვრობდით-მეთქი. თბილისის ორჯონიკიძის რაიონის აღმასკომში საერთო რიგში ვიდექით და ბინის მიღებას ველოდით. როგორც წესი, წლიდან წლამდე უიმედოდ გადაგვიდებდნენ ხოლმე თხოვნის დაკმაყოფილებას, მაგრამ აუტანელი საცხოვრებელი პირობების გამო დედა მაინც ხშირად აკითხავდა აღმასკომს და ხშირად კრიტიკულად აფასებდა მათ დამოკიდებულებას დიდ სამამულო ომში დაღუპული ოჯახების მიმართ. შეიძლება ბიუროკრატებს დიდად არ სიამოვნებდათ დედის ამგვარი უარყოფითი დამოკიდებულება მათ მიმართ, მაგრამ ვერაფერს აპროტესტებდნენ, რადგან გულის სიღრმეში კარგად იცოდნენ, რომ სიმართლე ომში უგზო-უკვლოდ დაკარგული ოჯახის მხარეს იყო.

– შეგვაწუხა ამ ქალმა, – ჩუმად გადაულაპარაკა ერთხელ აღმასკომის თავმჯდომარის გაქსუებულმა მოადგილემ ბინების აღრიცხვის განყოფილების ინსპექტორს, მაგრამ დედაჩემის მახვილ სმენას ეს შეურაცხმყოფელი ფრაზა არ გამოპარვია.

– არ გავხარ შენ შეწუხებულ ადამიანს, ძალიან ნაპატიები სახე გაქვს! ჩემი მეუღლე და მისნაირი ბიჭები იმ ომში რომ არ დაღუპულიყვნენ, შემწუხებლები მერე უნდა გენახათ თქვენ, გერმანელი კოლონისტი გეყოლებოდა ახლა ზურგზე წამოსკუპებული და წინ და უკან გარბენინებდა! – მიუგო განრისხებულმა დედამ და კაბინეტი ერთად ისე სწრაფად დავტოვეთ, რომ ავყია თავმჯდომარის მოადგილემ ბოდიშის მოხდაც კი ვერ მოასწრო.

არ ვიცი, დაფრთხა ეს კაბინეტის ვირთხა, თუ სინდისმა შეაწუხა, მაგრამ ფაქტი ის იყო, რომ ერთ კვირაში ახალი ბინა მივიღეთ...

ახლა, როცა ასაკი მომეძალა და სულ მალე 73 წლისა გავხდები, მეცოდებიან ის **“საპნიჭამიათა”** შთამომავალი ნაცები – სააკაშვილები, გაბაშვილები, ვაშაძეები, კანდელაკები, დარჩიაშვილები და სხვანი და სხვანი, რომლებიც ქართველი ერისადმი შეურაცხმყოფელად აცხადებენ, რომ დიდი სამამულო ომი სხვათა ომი იყო და საქართველოსთან მას არავითარი კავშირი არ გააჩნდაო. არა და, სწორედ ამ ომს შეეწირა 230 ათასი ღირსეული, და არა მათი წინაპრებივით ტახტის ქვეშ შემალული არამზადა წინაპრები, რომლებიც ყველაფერს კადრულობდნენ სამხედრო სამსახურიდან თავის დასახსნელად.

არ უნდათ სარკეში საკუთარი თავის დანახვა, მაგრამ არაფერი გამოუვათ, რადგან მუდამ იქნებიან მათი თავსლაფდასხმული, მოუნანიებელი დანაშაულის ჩამდენი დეზერტირი წინაპრების ჩრდილქვეშ, რისთვისაც იძულებული არიან ანგარიში არ გაუწიონ მათი ბოროტი ნების საწინააღმდეგო საზოგადოებრივ აზრს, შერყვნან ჩვენი ერის გმირული წარსული და ამ გზით გაამართლონ საკუთარი უბადრუკი ყოფა!

არაფერი გამოუვათ და ვერც გენეტიკას შეიცვლიან. ამიტომ არიან იძულებული, რომ ისტორიის გაყალბებით დაიცვან მამაპაპათა ის **“ღირსება”**, რომელიც მათ არასოდეს ჰქონიათ!

მე კი კიდევ ერთხელ მოვიგონებ მოწიწებით 100 წლის მამაჩემის – შალვა ალექსანდრეს ძე ჯალაღანიასა და დიდ სამამულო ომში გმირულად დაცემული სხვა ქართველებისა თუ არაქართველების სახელებს და ვისურვებდი, რომ მათი სისხლი ამაოდ არ ყოფილიყოს დაღვრილი!

P.S. ***რამდენიმე წერილი გამოვაქვეყნე, სადაც აღვნიშნავდი დედაჩემისა და სხვა ქვრივად დარჩენილი ქალების მოწიწებას დიდი სამამულო ომის ფრონტიდან არდაბრუნებული გმირი მეუღლეების მიმართ. არ ვიცი, რა ვუწოდო მათ ამგვარ დამოკიდებულებას ცხოვრებისადმი – ფანატიზმი თუ თუნდაც განახევრებული ოჯახისადმი ტრადიციული ქართული ერთგული დამოკიდებულება, რაც, სამწუხაროდ, დღეს არ არის სამაგალითო ქართული საზოგადოების გარკვეული ნაწილისათვის.***

დედაჩემმაც “თავისებურად” დააფიქსირა საკუთარი ერთგულება ომში უგზო-უკვლოდ დაკარგული მეუღლისადმი – გარდაიცვალა 2002 წლის 4 სექტემბერს – მამაჩემის, შალვა ალექსანდრეს ძე ჯალაღანიას დაბადების დღეს!

ამ ქვეყნად არ ეღირსათ ერთად ყოფნა, მაგრამ ღრმად მწამს, რომ იმქვეყნიურ საქართველოში მაინც შეერთდებოდნენ მათი სულები.

ნათელში იყვნენ!

როლანდ ჯალაღანია

შვიდი ყველაზე ცნობილი საფლავი მსოფლიოში

ოსკარ უაილდის საფლავი

პარიზში, პერ-ლაშეზის სასაფლაოზე მდებარე ოსკარ უაილდის საფლავი თავისი პოპულარულობით კონკურენციას უწევს იქვე მდებარე ჯიმ მორისონის საფლავს. მაგრამ დიდი მწერლის საფლავზე არსებულ სკულპტურაზე თაყვანისმცემლებისგან დატოვებული კოცნის კვალი უფრო მეტია. ძეგლი სკულპტორ ჯეიკობ ეპშტეინს ეკუთვნის და მან თავის დროზე ბევრი კამათი გამოიწვია. თავის დროზე, ძეგლის გენიტალიები საზოგადოების აღშფოთების გამო ლეღვის ფოთლით დაფარეს, თუმცა მოგვიანებით ცენზურის მოწინააღმდეგეებმა ძეგლს ფოთოლი მოაშორეს (თუმცა, ფოთლის მოშორებას სხვა ნაწილებიც თან გაჰყვა) ამჟამად ვნებათაღელვა ჩამცხრალია, ძეგლი შეაკეთეს და ახლა ის ჰომოფობიის წინააღმდეგ მებრძოლთა შეკრების ადგილია.

ჯონ კიტსის საფლავი

რომში არსებული **”ინგლისური”** სასაფლაო ცნობილია ინგლისელი რომანტიკოსი პოეტის, ჯონ კიტსის საფლავით. კიტსი ტუბერკულოზით გარდაიცვალა. მისივე სურვილით, საფლავის ქვაზე პოეტის სახელი და გვარი არ დააწერეს.

სილვია პლათის საფლავი

იორკშირის საგრაფოში მდებარე პოეტისა და მწერლის, სილვია პლათის საფლავი დიდი ვნებათაღელვის ადგილი გამხდარა. პოეტის თაყვანისმცემლებმა პლათის საფლავის ქვას არაერთხელ **”მოაძვრეს”** სილვიას ქმრის გვარი. როგორც ცნობილია, სილვია პლათმა თავი მოიკლა და თაყვანისმცემლები ამაში სილვიას ქმარს, ტედ ჰიუზს ადანაშაულებდნენ.

ბეტ დევისის საფლავი

კალიფორნიაში მდებარე ორი ოსკარის მფლობელი ლეგენდარული მსახიობის, ბეტ დევისის საფლავს დევისის მიერ საკუთარი თავისადმი მიძღვნილი ეპიტაფია ამშვენებს – **”მან გაიარა ეს რთული გზა”.**

ისაააკ ნიუტონის საფლავი

ლონდონში, ვესტმინსტერის საბატოში მდებარე ისაააკ ნიუტონის საფლავი ალბათ, ერთ-ერთი ყველაზე ცნობილია მსოფლიოში. ნიუტონის საფლავს შემდეგი ეპიტაფია აქვს: **”ბუნება და მისი კანონები ბნელით იყო მოცული და ღმერთმა თქვა: ”დაე იყოს ნიუტონი, დაე იყოს სინათლე”.**

ემილინ ვეტმორის საფლავი

ემილინ ვეტმორის სახელი არავის არაფერს ეუბნება და ეს გასაგებიცაა. ის იყო ცნობილი სკულპტორის, უილიამ ვეტმორის **(William Wetmore)** მეუღლე. სკულპტორმა გარდაცვლილ ცოლს ისეთი ქანდაკება მიუძღვნა, რომ ამჟამად ის მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე მეტად კოპირებადი გამოსახულებაა. ქანდაკება სახელწოდებით – **”მწუხარების ანგელოზი”,** რომელიც ემილინის რომში მდებარე სასაფლაოზეა აღმართული, მსოფლიოში სიყვარულისა და მწუხარების სიმბოლოდ იქცა.

უილიამ შექსპირის საფლავი

უილიამ შექსპირის საფლავზე ამოტვიფრულია წარწერა, რომლის მიხედვითაც დაწყევლილი იქნება ნებისმიერი ადამიანი, ვინც მის საფლავს **”შეაწუხებს”.** თუმცა, მეცნიერებმა შეძლეს სიტუაციიდან გამოსვლა. მათ შექსპირის საფლავს სკანირება გაუკეთეს და გაირკვა, რომ იქ არაფერი არ არის – არც ჩონჩხი, არც საფლავი, არც საცავი და არც ხელნაწერები...

მეგრული (იბერიული) ენა (მონაცემები და მნიშვნელობა)

მსგავსი მეთოდით შესწავლილი გვაქვს 500-მდე ძირისეული ფორმა და ეროვნული წარმოშობის ლექსიკა, რომელიც ინტერესმოკლებული არ უნდა იყოს.

ზემოთ აღვნიშნეთ, რომ ე.წ. მეგრულ ენას, ერთადერთს დედამიწაზე, შემონახული აქვს მეტყველების წარმოშობის საიდუმლოებანი და ეს უდიდესი ბედნიერებაა კაცობრიობისათვის, რამეთუ **„დასაბამიდან იყო სიტყვა, და სიტყვა იყო ღმერთთან და ღმერთი იყო სიტყვა. ის იყო დასაბამიდან ღმერთთან. ყველაფერი მის მიერ შეიქმნა და უმისოდ არაფერი შექმნილა, რაც კი შეიქმნა. მასში იყო სიცოცხლე, და სიცოცხლე იყო ნათელი კაცთა და ნათელი ბნელში ნათობს, და ბნელმა იგი ვერ მოიცვა“** (იოან. 1.1-5). ამ უდიდეს ჭეშმარიტებას მოწმობს ე.წ. მეგრული ენა.

ხილული და უხილავი სამყარო შემოქმედის, იგივე ღმერთის ფიზიკური გამოვლინებაა. ე.ი. ჩემს და ნებისმიერი ადამიანის ირგვლივ ყველაფერი ღმერთია, ანუ სამყარო – ადამიანი და ღმერთია. ღმერთში (ბუნებაში) დასაბამიდანვე იყო ბგერა, ანუ სიტყვა და ეს ბგერა (სიტყვა) იყო ღმერთთან (ბუნებასთან). თვითონ სიტყვა იყო ღმერთი (ბუნება). და სიტყვა (ბგერა) იყო დასაბამიდან ღმერთთან (ბუნებასთან), რადგან ყველაფერი ბგერის (სიტყვის; მეტყველების) მიერ შეიქმნა და მის გარეშე ვერაფერი შეიქმნებოდა, ვერ იარსებებდა მოაზროვნე არსება (სამყაროს გვირგვინი) – ადამიანი და ღმერთიც კი, რამეთუ მეტყველი არსების გარდა, სხვა ვერაფერი გახდებოდა მოაზროვნე არსება და ვერავინ გააცნობიერებდა სამყაროს (ღმერთის) არსებობას. ბგერაში (სიტყვაში, მეტყველებაში) იყო სიცოცხლე, რადგან სიტყვამ, მეტყველებამ განავითარა აზროვნება, ხოლო ცოცხლებს მიეკუთვნება მხოლოდ ის, ვინც აზროვნებს.

უძლიერესი ფონეტიკოსი – აკად. გიორგი ახვლედიანი წერდა: „ბგერების წარმოშობის გადაჭრას შეუძლია გადამწყვეტი სიტყვა თქვას საერთოდ მეტყველების წარმოშობის საკითხში, რამეთუ არაფერი არსებობს ისეთი საერთო რამ ყველა ენისათვის, როგორც ფიზიკურ-ბიოლოგიური ბგერის გამოყენება სამეტყველო მასალად“ (იხ. გ. ახვლედიანი, ზოგადი ფონეტიკის საფუძვლები, 1999, გვ. 390).

სწორედ, სამეტყველო ბგერების წარმოშობის საიდუმლოებებს ინახავს ე.წ. მეგრული (იბერიული) ენა. მოვიყვან რამდენიმე მაგალითს სამეტყველო ბგერების წარმოშობაზე.

ალბათ, ყველას ახსოვს კ/ფ ტარზანი, რომელშიც წარმოდგენილია ველური ადამიანის ცხოვრება და ახსოვს საფრთხის დროს გამოქცეული ტარზანი როგორ შეახტებოდა ზევით ჩამოკიდებულ თოკს და ხრამის ერთი ნაპირიდან მეორეზე როგორ გადაადგილდებოდა სწრაფად. უეჭველია, ადამიანის განვითარების ისტორიაში ასეთ რეალობებს ნამდვილად ექნებოდა ადგილი. ამ დროს თოკი სწრაფად დაჭიმვისას **ბგგ** ბგერათა კომპლექსს გამოსცემდა. ამაში ადვილად შეიძლება დავრწმუნდეთ, თუ სწრაფად გავქაჩავთ მკვრივ ბაწარს; ან კიდევ, დაჭიმულ სიმს შევაშფოთებთ. ასეთ შემთხვევებში გავიგონებთ ბგერათა კომპლექსს **ბგგ**. ამიტომ ეწოდა ორ წერტილს, ანუ ორ საგანს შორის განხორციელებულ ბმას, მათ შორის უმოკლეს კავშირს ბგ, რადგან ასეთი მდგომარეობა განხორციელების, ან განხორციელებული მდგომარეობის შეშფოთების მომენტში გამოსცემს ბგერათა კომპლექსს **ბგგ. ბგგ** ბგერათა კომპლექსი, რომ გამოვთქვათ, საჭიროა სახმოსნო ორგანოების დაძაბვა, ანუ ემფაზია. მაგრამ, თუ აღნიშნულ ბგერათა კომპლექსს გამოვთქვამთ ემფაზიის გარეშე, მივიღებთ **ბ** ბგერას, თუმცა შეუძლებელია, რომელიმე ერის წარმომადგენელმა წარმოთქვას იგი და ნებისმიერი სხვა თანხმოვანი, აბსოლუტურად დამოუკიდებლად, ირაციონალური **გ** ბგერის თანხლების გარეშე. ე.ი. ნებისმიერ თანხმოვან ბგერას, დამოუკიდებლად წარმოთქმის მცდელობისას, ყოველთვის ახლავს ირაციონალური **გ** ბგერა, რომელიც თანხმოვან ბგერას ე.წ. მეგრულ ენაში სრული სიტყვის მნიშვნელობას ანიჭებს. ხოლო ყველა სხვა ენაში თანხმოვანი ბგერები, ცალ-ცალკე აღებული, ყოველგვარ მნიშვნელობას მოკლებულია.

მკითხველს ირაციონალურ **გ** ბგერაზე წარმოდგენა რომ ჰქონდეს, მისი გამოთქმა შემდეგნაირად უნდა ისწავლოს: გარდა **ზ, ჟ, ს** და **შ** ბგერებისა, ნებისმიერი თანხმოვანი ბგერის წარმოთქმისას სახმოსნო ორგანოების დაძაბვით, ანუ ემფაზიით, გაგრძელებულად, თავში გვესმის თანხმოვანი ბგერა, ხოლო შემდეგ, რა ხანგრძლივობითაც არ გავაგრძელოთ მათი გაბმული ბგერადობა, გვესმის მხოლოდ **ggggg**. მაგ., **ბggggg**..., **ggggggg**..., **დggggggg**... და ა.შ. ხოლო თუ შევეცდებით ემფაზიური **ggggg**... წარმოვთქვათ მყისიერად, ემფაზიის გარეშე, მივიღებთ **g** ბგერას, მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ ემფაზიისგან აბსოლუტურად თავისუფლად, **g** ბგერის წარმოთქმა შეუძლებელია. ნებისმიერი თანხმოვნის წარმოთქმა გარკვეულწილად, რომ ითხოვს სახმოსნო ორგანოების დაძაბვას, იმის გამოა, რომ მას ყოველთვის ახლავს **g** ბგერა. ამიტომ ბ-ნი მ. ძაძამია ირაციონალურ **g** ბგერას ხშირად, **ემფაზიურ** ბგერას უწოდებს.

როცა მყუდრო გარემოში ვიმყოფებით და ბარდნის, ანუ თოვლის ფიფქი თავზე და მხრებზე გვეცემა, გავიგონებთ ბგერებს **თg-თg-თg** და ა.შ. ამიტომ აღნიშნა **თg** ბგერათა კომპლექსმა **თოვა**-ს გარდა, თავ-ა, სრულ-ა და **თავ**-ის მნიშვნელობა. მაგალითად, გაა-**თg** (გაა-თავ-ა, გაა-სრულ-ა), გე-**თg** (გა-თავ-და). სიტყვა **თg**-დან მივიღეთ ბგერა **თ**.

ჰgg-ჰgg-ჰgg... ბგერათა კომპლექსს გავიგონებთ სუნთქვისას (სულის ნთქმისას), კერძოდ, ფილტვებიდან ჰაერის გამოდევნისას [**ჰgg**+რე (**ჰgg** არის) ჰაერე ჰაერი], მაგრამ ეს ხდება ჩვეულებრივ გარკვეული ემფაზიის პირობებში, ხოლო თუ შევეცდებით ეს ქმედება შევასრულოთ თავისუფლად, ემფაზიის გარეშე, მივიღებთ ბგერას **ჰ**.

წყალი დუღილის დაწყების მომენტში გამოსცემს ბგერათა კომპლექსს **ფggg**. ამიტომ ეწოდა წყლის ამ მდგომარეობას **ფg**, რაც **იდუღას** ნიშნავს. ზოგადი ფორმით **დუღილი**. ამ სიტყვის ემფაზიის გარეშე წარმოთქმისას მივიღებთ ბგერას **ფ**.

ყავის საფქვავით, ან ხელის დოლაბით მარცვლეულის ფქვისას, გვესმის ბგერათა კომპლექსი **ქgg-ქgg-ქgg**... და ა.შ. **ქgg** ბგერათა კომპლექსს ხმაბაძვით მივიღეთ სიტყვა **ქg**, რაც მეგრულად **ფქვა**-ს ნიშნავს. ამ სიტყვის თავისუფლად წარმოთქმისას მიიღება ბგერა **ქ**, მაგრამ, ვიმეორებთ, მას და ვერცერთ თანხმოვანს, ირაციონალური **g** ბგერისგან აბსოლუტურად თავისუფალს, ვერცერთი ერის წარმომადგენელი ვერ წარმოსთქვამს. ამიტომ აქვთ მეგრულ (იბერიულ) ენაში თანხმოვან ბგერებს სრული სიტყვის მნიშვნელობა. ხოლო ყველა სხვა ენაში თანხმოვანი ბგერები, ცალცალკე აღებული, ყოველგვარ მნიშვნელობებს მოკლებულია.

აღსანიშნავია, რომ იბერიულ ენაში ერთეულ თანხმოვან ბგერა-სიტყვებს რამდენიმე მნიშვნელობა, ანუ ომონიმი გააჩნია, რომლებიც ადამიანთა თვისებებს ასახავენ. ეს კი ბუნების ერთ-ერთი საოცრებაა.

სამეტყველო ბგერები, როგორც ვნახეთ, ნაკარნახევია ბუნებისგან (ღვთისგან). ამიტომ ბგერებში ასახულ თვისებათა სიღრმისეულ შეცნობას და მათს რაციონალურ გამოყენებას და მართვას, შეუძლია ადამიანი მიიყვანოს განღმრთობამდე.

ამდენად, სამეტყველო ბგერების წარმოშობისა და მნიშვნელობების სრულყოფილ შეცნობას შეუძლია სამყაროსეული მოვლენებისა და ადამიანის **„შინაგანი მეს“** სრულყოფილებას გვაზიაროს.

ეს უდიდესი სიმდიდრე უარყოფილ იქნა ზოგ **„ქართველ“** მოღვაწეთა მიერ და მისი ათვისებისა და გამოყენების ნაცვლად, მეგრული (იბერიული) ენის ღირსებისა და როლის დაკნინებას მიჰყვეს ხელი. სამაგიეროდ, აღნიშნულ სიმდიდრეთა ათვისება და გამოყენება სცადეს 26 საუკუნის განმავლობაში იბერიაში მცხოვრებმა ებრაელმა ბრძენებმა, მაგრამ, რადგან მათ ენაში და არცერთ სხვა ენაში დედამიწაზე თითო თანხმოვნით გამოხატული სიტყვები არ არსებობენ, ებრაულ ენაში არსებული თანხმოვანი ბგერების აღმნიშვნელი ასონიშნები შექმნეს შესაბამის იბერიულ ბგერა-სიტყვებში ასახულ თვისებათა და მნიშვნელობათა მიხედვით და თავიანთ ასონიშნებს **„წმინდა ასოები“**, ხოლო ენას **„წმინდა ენა“** უწოდეს.

ებრაელი ბრძენის – საბა-ამნონას გადმოცემით სამყაროს შექმნამდე ღმერთმა შექმნა ასონიშნები (**„რა თქმა უნდა“** მხოლოდ ებრაული), რომლებშიც ჩადო ადამიანური თვისებები, ამ ადამიანური თვისებების **„მქონე“** ასონიშნების გახმოვანება ბგერებით მოხდა ადამიანის გაჩენისა და მეტყველების წარმოშობის შემდეგ.

ცნობილია, რომ ორფეხა ველური ცხოველი, შემდგომ წოდებული ადამიანად, თავიდან დანაწევრებული ბგერების გამოთქმის უუნარო არსება იყო. ამის დამადასტურებელ ფაქტად შეიძლება ჩაითვალოს აფრიკაში დღესაც მცხოვრები ნახევრადველური ტომი, რომელთა სამეტყველო ლექსიკა სულ 50-დე სიტყვით შემოიფარგლება. ამის დასტურია, თუნდაც ძველქართული და ახალი ქართული, ძველბერძნული და ახალი ბერძნული ენების განვითარების იმდროინდელი და თანამედროვე დონე.

ადამურ-იაფეტურ-იბერიული და ადამურ-სემიტურ-ებრაული მოდგმის ხალხს, ოდესღაც, ერთ ენაზე მეტყველი წინაპარი ჰყავდა, დასტურდება იმით, რომ თანამედროვე ებრაული სიტყვები **ემეტ** (სიმართლე), **მავეტ** (სიკვდილი) და **პდუტ** (განთავისუფლება) ე.წ. მეგრული ენით იშიფრება, მაგრამ ამ სიტყვების ეტიმოლოგიის გარკვევას ვერ ახერხებს თვით **„წმინდა“** ებრაული ენა, რადგან მას და ყველა სხვა ენას დედამიწაზე დაკარგული აქვთ თავდაპირველი, ადამისდროინდელი სამეტყველო ენის ლექსიკა, რომელიც ბიბლიური ცნობის თანახმად ერთიანი იყო.

აღნიშნული სიტყვები ებრაულ ენაზე ჩაიწერება შემდეგნაირად: המת (ემტ), המ (მეტ) და הדפ (პდტ), ხოლო იბერიულ ენაზე, რადგან თანხმოვანი ბგერები არ არსებობენ დამოუკიდებლად ირაციონალური **g** ბგერის თანხლების გარეშე, ასე ჩაიწერება ემgტg, მgგgტg და პgდgტg, სადაც მg მა (მე)-ს ნიშნავს, ტg – ტოვა-ს, ამასთან, შვა-საც, ზოგადად, შობა-ს, ვg-ვაებას, წუხილს, გოდებას, პg – მყო [ფიერებელ]-ს, დg-დო-ს, ზოგადად, დება-ს. მაშინ ემეტ (ემgტg) ნიშნავს ე.მემ ტოვა [კვალი, ანაბეჭდი, რაღაც თვალსაჩინო რეალობა], რაც მეს, ადამიანის მიერ დატოვებულ რეალობის ჭეშმარიტებას, **სიმართლეს** ადასტურებს. ვფიქრობთ, ამიტომ აღნიშნა ბგერათა კომპლექსმა ემეტ (სიმართლე) და არა იმიტომ, რომ სიტყვა **ემეტ ტ** ბგერით მთავრდება; **მავეტ** (მgვgტg) – **მემ ვაება ტოვა.** ცხადია, ღირსეული ადამიანი, თავისი სიკვდილით, გარემოცვაში ვაებას, გოდებას ტოვებს. ამიტომ აღნიშნა ბგერათა კომპლექსმა **მავეტ (სიკვდილი)** და არა იმიტომ, რომ სიტყვა **მავეტ ტ** ბგერით მთავრდება; პდუტ (პgდgტg) – **მყოფიერებელმა (შემოქმედმა) დო (დაადგინა) შობა,** ანუ ღედის მუცელში გამომწყვდეული ნაყოფის **განთავისუფლება** ქნა.

მიქაელ ლაიტმანის წიგნში „ЗОАР“ (იხ. გვ. 285) ვკითხულობთ:

„როცა შემოქმედმა ჩაიფიქრა სამყაროს შექმნა, მოვიდნენ მასთან ალფავიტის ყველა ასონიშნები უკუწესრიგით, ბოლო **ტავ**-იდან პირველ **ალეფ**-ამდე. პირველი შევიდა ასონიშანი ה (ტავ) და უთხრა: **„სამყაროს მპყრობელო! კარგია, ასევე შეგშვენის შენ ჩემით, ჩემი თვისებებით ააშენო სამყარო, რადგანაც მე ვარ ბეჭედი შენს ბეჭედზე (я печать на кольце Твоем), წოდებულზე სიმართლეთი – ემეტ, დამთავრებულით ასოთი ტავ; ამიტომ იწოდები შენ თვითონ სიმართლედ, ამიტომ შეეფერება მეფეს სამყაროს შენობა დაიწყოს ასონიშნით ტავ, და მისით, მისი თვისებებით შექმნას სამყარო“.** მაგრამ შემოქმედი უარს ეუბნება ასო-ნიშან **ტავ**-ს, რადგან **„მომავალში ის იქნება ჩაწერილი ალეფი-დან ტავ-ამდე როგორც ჭეშმარიტად მორწმუნეთა, ანუ თორას შემსრულებელთა ისე, მის მიერ დაღუპულთა შუბლზე“.**

სამყარო, ჩვენი აზრით, მუდამ არსებობდა და ეს სამყაროა თვითონ ღმერთი-შემოქმედი. მაგრამ მისი სიდიადის შეცნობა, ნამდვილი ღვთის ხატის გარდა, ვის შეეძლო? ამიტომ ადამიანის ცნობიერებაში ღმრთის მიერ სამყაროს შექმნა დაიწყო მას შემდეგ, როცა ადამიანში გამოვლინდა ღვთისგან ჩადებული ის თვისებები, რომლებმაც ველური ცხოველი ადამიანად აქცია.

რაკი **„მე მამაში ვარ, მამა კი ჩემშია“**, ღმერთი-შემოქმედი ყველგან და ყველაფერშია, ე.ი. ის ამ უსაზღვრო სამყაროსგან ცალკე კი არ არის, არამედ მის გარეშე უკიდეგანო სამყაროში ერთი ატომიც არ არსებობს. მაშასადამე, ჩვენში არსებული, მაგრამ მიძინებული, ანუ დაფარული ღვთიური ნაპერწკალი შემოქმედის ნათელია, შემოქმედის სულია, იგივე, ღვთიური თვისებაა. მაგრამ ასეთი შეფასება მატერიალურ სამყაროში ჩვენი გონების მიერ წარმოებული გააზრების შედეგია. სულიერში კი მატერიალური არაფერია. გრძნობის ორგანოები: ყური, თვალი, ფილტვები და ცხვირპირი, შეხებისა და გემოს შემგრძნობი სისტემა მატერიალურ სამყაროშია აუცილებელი, ამიტომ ეს და სხვა ორგანოები სულიერ სამყაროში არც უნდა არსებობდეს. მაშ, როგორია სულიერი სხეული? სამშვინველის დონეზე, ლოგიკისა და, ისევ, მატერიალური აზროვნების მიხედვით, მას არანაირი ფორმა არ უნდა ჰქონდეს, ე.ი. ის უნდა არსებობდეს მხოლოდ წარმოდგენაში, როგორც ყველგანმწვდომი და ყოვლისშემძლე ძალა, რომლის არსის შეცნობა, სრულყოფილად, მატერიალური აზროვნების დონეზე ჩვენთვის მიუღწეველია.

მაშ, როგორ ავიდეთ იმ სიმაღლემდე, სადაც და რომლითაც უზენაესს შევერწყმებით და მარადიულ ნეტარებაში შევალთ, როცა ჩვენთვის მთლად ნათელი არ არის რა არის სული და სულიერება?

იქნებ, სინქრონიულ-დიაქრონიულ დონეზე მისი ეტიმოლოგიის შესწავლამ გაგვიხსნას რამე?

ცხადია, სიტყვა **სული** ნაწარმოებია იბერიული სიტყვისგან **შური** (შური შული სული), ხოლო თვით **შური** ნაწარმოებია სიტყვათა კომპოზიტიდან **შg**+რე (**შgრg ®** შურე შური), რაც ნიშნავს: **ახსოვს არის,** ზოგად ფორმაში, **მახსოვრობაში არის,** უფრო სრულყოფილად, **მახსოვრობაში ყოფიერი,** ე.ი. **სული** – ესაა **მახსოვრობაში ყოფიერი ღვთიური ენერგია.** მაგრამ არც ასეთი განმარტება იძლევა ალბათ, სრულყოფილ წარმოდგენას **სულის** არსზე, რადგან ეს ისევ ჩვენი მატერიალური, გონებრივი აზროვნების ნაყოფია. მაღალ სულიერ დონეზე აზროვნების უნარი კი ჩვენ არ გაგვაჩნია და გაუგებარია, რატომ აყენებენ ებრაელი ბრძენები და ზოგი ქართველი მოღვაწენი ბგერის აღმნიშვნელ ასონიშანს ბგერაზე მაღლა. ნუთუ, უშუალოდ, ღვთით ბოძებულ რეალობაზე – **ბგერაზე** მაღლა დგას მისი აღმნიშვნელი გრაფიკული გამოსახულება, რომელიც, რა თქმა უნდა, ღვთის ნების, მაგრამ ადამიანის გონების ნაყოფია და, არავითარ შემთხვევაში, უშუალოდ ღვთისა? ნუთუ ღვთისგან გაჩენილი სამყაროს გვირგვინი – ადამიანი უფრო დაბალი დონეა, ვიდრე მისი სურათი?

თუ ღმერთმა შექმნა ებრაული ასონიშნები, მაშინ სად აისახა იგი ბუნებაში, როგორც ბგერებია ასახული? როგორ და რა გზით მიიღეს ებრაელებმა ეს ასონიშნები? თუ საბა-ამნონას გონებას მიაწოდა ღმერთმა ასონიშნები, როგორც, საერთოდ, ყველაფრის მოწოდება ღვთისგან ხდება, ასეთნაირად ჩვენი დამწერლობების შემქმნელსაც მიაწოდა ულამაზესი მხედრული და მაღალგანვითარებული ადამიანის გონების ნაყოფი – ასომთავრული, რომელიც ბევრად სრულყოფილია ებრაულზე. ჩვენი დამწერლობების შემქმნელის ვინაობა, საერთოდ აღარაა ცნობილი, იმდენად შორეულ წარსულშია შექმნილი და ჩვენ მეტი შანსი გვქონდა გვემტკიცებინა მსოფლიოსათვის ღვთის შექმნილი დამწერლობები გვაქვსო, მაგრამ **(უზენაეს) ნათელთან მოკავშირედ ყოფიერ** იბერთათვის მიუღებელი იყო ტყუილი და ამპარტავნობა და არც სხვა შორსმჭვრეტელ ერისთვის უნდა იყოს მისაღები. ხოლო საბა-ამნონა ცნობილი პიროვნებაა და, თუ ის ამაღლებული სულის მატარებელი იყო და ღმერთმა მზამზარეული ასონიშნები მიაწოდა, როგორც ბგერების შემთხვევაში მოხდა, უნდა გადმოეცა, რა ფორმით მიაწოდა მას უზენაესმა ეს ასონიშნები, რომლებიც სრულყოფილებით ახლოს ვერ დაუდგება ქართულ ასომთავრულს; ებრაელებს ცნობილი საბა-ამნონას დიდი ავტორიტეტი ღმერთმა შეარგოთ, მაგრამ ჩემთვის არასაკმარისია ჭეშმარიტების დასადასტურებლად. უფრო მეტი, დამარწმუნებელი რომ არ იყოს სახარებები (ოთხთავი), ბრმად ქრისტესაც ვერ მივენდობი, რამდენადაც მკრეხელობად არ ჩამეთვალოს ჩემი საქციელი.

კუკური ფიფია

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

სპორტული კუთხე მიჰყავს ჟურნალისტ გიორგი ჯალაღანიას

დავით კვირკველია: ამ სიტყვების შემდეგ ფულზე როგორ უნდა მელაპარაკა?!

მკითხველმა უკვე იცის, რომ საქართველოს ნაკრების მცველი დავით კვირკველია თბილისის "დინამოს" შემდეგ კარიერას "სამტრედიაში" გააგრძელებს.

მას ავადასახსენებელ "აქტობესთან" ტრავმის გამო არ უთამაშია. ამ გუნდთან ფიასკოს შემდეგ "დინამოში" საკადრო რევოლუცია მოხდა და კონტრაქტი კვირკველიასაც გაუწყვიტეს.

გთავაზობთ ინტერვიუს, რომელშიც კვირკველია საინტერესო თემებზე ლაპარაკობს.

– იყო ლაპარაკი, რომ კარიერას მშობლიურ ლანჩხუთის "გურიაში" დაასრულებდით...

– სულ ვფიქრობდი, კარიერის ბოლოს ჩემი ქალაქის გუნდს დავეხმარები-მეთქი. "გურიას" წარმომადგენლებსაც ველაპარაკე. მაგრამ "დინამოდან" წამოსვლის შემდეგ "სამტრედიიდან" დამიკავშირდნენ...

– კონტრაქტი რა ვადით გააფორმეთ?

– გუნდს დეკემბრამდე დავეხმარები, მერე კი არ ვიცი, სად ვითამაშებ. ისე, "სამტრედია" საკმაოდ კარგ გუნდად უნდა ჩამოყალიბდეს, რადგან ჩვენს ჩემპიონატში ნებისმიერი კლუბი ისურვებდა ისეთ მოთამაშეებს, როგორებიც არიან თომაშვილი, გეწაძე, დოლიძე, დათუნაიშვილი, გაბედავა...

– თქვენი ტრანსფერი ეროვნული ჩემპიონატის ლამის ერთ-ერთი მთავარი მოვლენა გახდა...

– რატომ? რა არის "სამტრედიაში" ჩემს გადასვლაში უცნაური?

– ყველა ფიქრობდა, რომ ეროვნული ნაკრების წევრსა და თბილისის "დინამოს" ვიცე-კაპიტანს დიდი მადა ექნებოდა, "სამტრედია" კი მდიდარი კლუბი არ არის...

– ამ დროს, რომ იცოდეთ, ცხოვრებაში ხელფასსა და პირობებზე არასდროს არც ერთ კლუბთან არ მივაჭრია. ეს ჩემს ხასიათში არ ზის.

– და მაინც, "სამტრედიაში" კარგი პირობები შემოგთავაზეს?

– დამიჯერეთ, მთავარი ეს არ ყოფილა. მთხოვეს, რომ გუნდს გვერდში დგომა სჭირდებოდა და გამიხარდა, ტრავმირებული კაცი რომ მიმიწვიეს. მადლობის მეტი რა მეთქმის. განსაკუთრებით შემოთავაზების შემდეგ ნათქვამმა სიტყვებმა გამახარა – შენი თამაში "სამტრედიისთვის" პრესტიჟი იქნებაო. ამ სიტყვების შემდეგ ფულზე როგორ უნდა მელაპარაკა?!

– ტრავმის გამო "სამტრედიას" ჯერ ვერ დაეხმარებით?

– მოედანზე დასაბრუნებლად მცირე დრო მჭირდება. ორი ნეკნი მქონდა ჩატეხილი... ისე კი, რომ იცოდეთ, ჯანმრთელიც რომ ვყოფილიყავი, მიხალ ბელეკი "აქტობესთან" მაინც არ მათამაშებდა.

– რატომ?

– თავისი შეხედულებები ჰქონდა. მისეულ შემადგენლობაში მე არ მოვიაზრებოდი. თუ რატომ, ახლაც ვერ ვხვდები.

– როგორც მწვრთნელი არ მოგწონდათ?

– ვერ ნახეთ, "დინამო" როგორ ათამაშა?! საბოლოოდ დააცია გუნდი. აბა, მარცვალაძის უთამაშებლობას გამართლება ჰქონდა?! უკეთესი ვინ ჰყავდა?!

– "დინამოდან" ნაწყენი წახვედით?

– არ დაიჯეროთ! პატარა ბიჭი არ ვარ, მომხდარი რომ ვერ გამეგო. თანაც, წასვლამდე ადამიანურად მადლობაც მითხრეს.

მეც რომ ვიყო "დინამოს" მეპატრონე, "აქტობესთან" წაგებას ჩვეულებრივად ვერ გადავიტანდი. ფიფიაც გამწარდა – ამდენი ხანია, კაცი ფულს აბანდებს და პირველივე წრიდან მაშინ გავარდა გუნდი, როცა, ერთი შეხედვით, ყველაზე მეტი იმედი ჰქონდა. ასეთი საკადრო პოლიტიკა ამჯობინეს და "დინამოს" გადაწყვეტილებას პატივს ვცემ.

სხვა რა გზა მქონდა? ეგაა, ცუდ დროს გამიშვეს – ყველა გუნდი დაკომპლექტებული იყო და ახლის მოსაძებნად დრო აღარ მქონდა. უფრო ის გამიკვირდა, გამოცდილი ბიჭები რომ გაუშვეს – მარცვალაძე, ლორია... სხვებიც. ასეთი ბიჭები მეტ დაფასებას საჭიროებდნენ.

– წინა წლებში ქართული გუნდები "პლეი-ოფამდე" მაინც გადიოდნენ. თქვენი აზრით, ახლანდელი წარუმატებლობის მიზეზი რა არის?

– მიზეზი მცირე ფინანსებიც არის და არასახარბიელო პირობებიც, მაგრამ ყველაზე მთავარი არასტაბილურობაა. ცხადია, ფულს დღევანდელ ფეხბურთში ძალიან დიდი ძალა აქვს, მაგრამ როცა ყოველ ნახევარ წელიწადში შემადგენლობასა და მთავარ მწვრთნელს ცვლი, რა შედეგი გექნება?!

მეტ-ნაკლებად, "ჩიხურამ" შეინარჩუნა მწვრთნელი და შემადგენლობის ბირთვი და სხვებზე უკეთაც ითამაშა. ეს ყველასთვის მაგალითი უნდა გახდეს - თუ გუნდს ორი წლის განმავლობაში მაინც შევინარჩუნებთ, ევროპელებთან უფრო მეტად გავიბრძოლებთ. მაგრამ ევროპალიგის თამაშები დამთავრდა თუ არა, "ჩიხურა" ექვსმა მოთამაშემ დატოვა და გუნდიც, ფაქტობრივად, დაიშალა. ასე რა წარმატებას მივაღწევთ?! შარშანდელი "დილაც" ამ დღეში არ ჩავარდა?! ასე როდემდე უნდა გაგრძელდეს?!

– თქვენი აზრით, "სამტრედიის" მოთამაშეს თემურ ქეცბაია ეროვნულ ნაკრებში კიდევ მიიწვევს?

– ჯერ ტრავმა არ მომიშუშებია და მეეჭვება, სექტემბრის შეხვედრებში გამომიძახოს. მერე კი ვნახოთ... თუ არ მიმიწვევს, არც გამიკვირდება და არც მეწყინება. მაგრამ თუ გამომიძახა, ძალიან გამიხარდება.

გიორგი მერებაშვილი: ბედნიერი ვარ, რომ თბილისის "დინამოდან" წამოვედი

ბედნიერი ვარ, რომ თბილისის **"დინამოდან"** წამოვედი, – ამის შესახებ **"ინტერპრესნიუსს"** თბილისის **"დინამოს"** ყოფილმა ფეხბურთელმა გიორგი მერებაშვილმა კლუბში განხორციელებულ ცვლილებებზე კომენტირებისას განუცხადა. მისი თქმით, **"დინამო"** გახდა კონკრეტული პიროვნებების გუნდი და არა ხალხის, როგორც ადრე იყო.

"ინფორმირებულები ვიყავით. რამდენიმე დღის წინ უკვე ვიცოდი, რომ მეც შემეხებოდა ეს ცვლილებები. რამ განაპირობა, არ ვიცი, ეს ხელმძღვანელობის გადასაწყვეტია. თუმცა, მე ბედნიერი ვარ, რომ თბილისის "დინამოდან" წამოვედი, რადგან დღევანდელი "დინამო" არის კონკრეტული პიროვნებების გუნდი და არა ხალხის გუნდი, როგორც ოდითგან იყო.

სამწუხაროა, რომ ისეთი თბილისის "დინამო" აღარ არსებობს, რომელშიც მე გავიზარდე და ჩამოვყალიბდი, როგორც ფეხბურთელი", – განაცხადა მერებაშვილმა.

მისივე თქმით, გუნდის შედეგები, პირველ რიგში, არასწორმა მენეჯმენტმა განაპირობა. მერებაშვილის განმარტებით, ძალიან ხშირად იცვლებოდა ძირითადი ბირთვი, რაც ფეხბურთელებზე ძალიან მოქმედებდა.

"თავიდან ძალიან წვრილმანები იყო, თუმცა საბოლოო ჯამში, ერთიანობად იქცა, რამაც გუნდის შენებას ხელი შეუშალა. ეს ეხება იმას, რომ ყოველ ორ-სამ თვეში ერთხელ ძირითადი ბირთვი, სამწვრთნელო შტაბი იცვლებოდა. ეს ფეხბურთელებსა და ჩვენს შეთავაზებაზე ძალიან მოქმედებდა. მიმაჩნია, რომ გუნდში, რომელსაც დიდი მიზნები აქვს დასახული, მინიმუმ 2 წელი მაინც უნდა იყოს ძირითადი ბირთვი შენარჩუნებული, რათა სქემა ბოლომდე დამუშავდეს და დიდი მიზნებისთვის იბრძოლოს.

2-3 თვეში ერთხელ როცა იცვლება ძირითადი ბირთვი, რაც უნდა მაგარი ფეხბურთელები და მაგარი მწვრთნელი გყავდეს, გამორიცხულია, დიდ შედეგს მიაღწიო", – განაცხადა მერებაშვილმა.

რაც შეეხება კლუბის პრეზიდენტ რომან ფიფიას განცხადებას ხელფასებთან დაკავშირებით, მერებაშვილის თქმით, ეს ხელფასები თავად კლუბისგან იყო შეთავაზებული.

"ჩემგან ხელფასებზე მართებული არ არის საუბარი, რადგან ჩემი მოვალეობაა, მინდორზე გავიდე და ვითამაშო. თუმცა, ეს განცხადება სამწუხაროა. მე როდესაც გუნდში მოვედი, მე თვითონ ხომ არ ჩავწერე კონტრაქტში ჩემი ხელფასი? ჩემზე რომ ყოფილიყო დამოკიდებული, უფრო მეტს ჩავწერდი. ეს ხელფასი კლუბისგან იყო წამოსული. თუ არ აწყობდათ, მაშინ კონტრაქტი გაეუქმებინათ. რადგან მოქმედებდა ეს კონტრაქტი, ე.ი. აწყობდათ. ხელფასები მთლიანობაში არაფერ შუაშია, რადგან არიან ფეხბურთელები, რომლებსაც უფრო მეტი ხელფასი ჰქონდათ და დღეს გუნდში არიან.

ყველაზე დიდი პრობლემა არის, რომ ძალიან ხშირად იცვლებოდა სამწვრთნელო შტაბი, ფეხბურთელები, რამაც განაპირობა, რომ გუნდი ვერ დაადგა იმ გზას, რომელსაც უნდა დადგომოდა", – აღნიშნა მერებაშვილმა.

ფეხბურთელი აღნიშნავს, რომ გუნდიდან წამოსვლაზე, სამართლებრივი მხრივ, პრობლემა არ ყოფილა, რადგან ეს ურთიერთშეთანხმების საფუძველზე მოხდა.

მერებაშვილის თქმით, დაახლოებით ერთ კვირაში გახდება ცნობილი, თუ სად გააგრძელებს კარიერას.

"დინამოში" ცვლილებები რამდენიმე მიმართულებით განხორციელდა, კერძოდ, მთავარი მწვრთნელი მიხალ ბილეკი კახა გოგიჩაიშვილმა შეცვალა.

თანამდებობიდან გათავისუფლდა სპორტული დირექტორი ირაკლი ვაშაკიძე და გუნდიდან წავიდნენ შემდეგი ფეხბურთელები: გიორგი მერებაშვილი, ელგუჯა გრიგალაშვილი, დავით კვირკველია, გიორგი ხიდეშელი, თორნიკე გორგიაშვილი, ოთარ მარცვალაძე, დავით ხურცილავა, რაფა ჯორდა, რაულ გარსია, რადიკ დოსოუდილი, პატრიკ ვუო და გიორგი ლორია.

გამოვიდა კრემლიოვის წიგნ "ლავრენტი ბერიას" თარგმანის მესამე ტომი



გამოვიდა I. II და III ტომები სერგეი კრემლიოვის წიგნისა "ბერია – XXI საუკუნის საუკეთესო მენეჯერი" (რედაქტორი ალექსანდრე შენგელია). გამოცემა განხორციელდა სახალხო მოძრაობა "სამეგრელოს" მხარდაჭერით. წიგნის შეძენა შეიძლება ზუგდიდში, რუსთაველის ქ.№68-ში, სახალხო მოძრაობა "სამეგრელოს" ოფისში. ტელ. 599.209.624

თბილისში წიგნის რეალიზაცია მოხდება ყოველ ოთხშაბათ დღეს, დილის 9 საათზე, ბაქრაძის ქ.№6-ში (დიდუბე), ან, ყოველდღე, მეტრო "მარჯანიშვილის" ამოსასვლელში, გაზეთების გამყიდველ პაატასთან.

ცნობისათვის დარეკეთ – 599.573.322

სახალხო მოძრაობა "სამეგრელო" და გაზეთი "ილორი" თანაბრძნობას უცხადებენ ბატონ ლადო ძირიას დედის

ნათელა გერგედავა-ძირიას

გარდაცვალების გამო

სახალხო მოძრაობა "სამეგრელოს" ზუგდიდის ორგანიზაცია სამძიმარს უცხადებს ბატონ ედიშერ არღვლიანს მეუღლის

ნათელა მანია-არღვლიანის

გარდაცვალების გამო

სახალხო მკურნალმა მოუგო ომი ჯერ კიდევ მძლავრ ნაციონალურ ფარმაკომაფიას, რომელიც მის დაჭირვას ცდილობდა და კვლავ ჩადგა ხალხის ჯანმრთელობის სამსახურში



დომენტი გაბნიძის მიერ შექმნილი პრეპარატი არჩენს ავთვისებიან სიმსივნურ დაავადებებს, კუჭ-ნაწლავის გაუვალობას, კოლიტს, ფისტულას, პროსტატიტს, ბუასილს, ნერვის ანთებას, ნევროზს, ფსიქიკურად დაავადებულებს, ჰკურნავს გაფანტული სკლეროზს და შიდსს, შველის ცერებრალურ დამბლას, ყურებიდან ჩირქდენას, ბოტულიზმს, ტუბერკულოზს, ცეროზს I და II სტადიებში, ცეპეპატიტს, ნაღვლის ბუშტის დაავადებებს, ანთებით პროცესებს, სახსრების დაავადებებს, ამყარებს იმუნიტეტს, და სხვა მრავალ დაავადებას.

მკურნალის კოორდინატებია: თელავი, სოფელი შალაური, გაბნიძე ბიჭიკო (დომენტი). **ტელ: 893-22-66-51**

თბილისი, აწყურის ქუჩა №70 (მეტრო "ისანთან"), ყოველდღე – შაბათ-კვირის გარდა, 10-დან 16 საათამდე.

მასთან სიცოცხლეზე ხელჩაქნეულები მიდიან და ჯანმრთელები ბრუნდებიან

ISSN 1987-8966 ilori

ავტორებს ეკისრებათ პასუხისმგებლობა ფაქტებისა და მონაცემების სიზუსტეზე. ხელნაწერები ავტორებს არ უბრუნდებათ.

რედაქციის მისამართი: თბილისი, ბაქრაძის ქუჩა №6 სარეგ. №01018002930
234-32-95
ორი თაბახის ფურცელზე მეტი მოცულობის ტექსტი რედაქციას უნდა გაეგზავნოს ელ.ფოსტით (ან ლაზერის დისკით).

მთავარი რედაქტორი: როლანდ ჯალაღანია
ტექნიკური რედაქტორი: მიხეილ ჩოდრიშვილი
გაზეთის მენეჯერი: ზურაბ ძობალია 599-34-37-27
სარედაქციო საბჭო: ზაურ გახარია, ზურაბ ჯამბურია, თენგიზ კუბლაშვილი, ზვიად მირგატია, გივი სომხიშვილი, ვიქტორ ცაავა, გიორგი სიჭინავა, ნუგზარ სალაყაია (გალი)

გაზეთ "ილორის" გაცნობა შეგიძლიათ "საქინფორმის" ვებგვერდზე WWW.saqinform.ge